საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№12 (577)
7 - 13 აპრილი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ფეხბურთის პროფესორი

23 ალექსანდრე ჩივაძე 66 წლისაა

## ერი ვიყავით, ბრბოდ გვაქციეს...

6-7



რეგვენთა პატრიოტიზმი და მძევლად აყვანილი საქართველო

## რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ ხვალ გვიან იქნება!

10



გამოძახილი რუსოფობიურ ისტერიკაზე

## ღირსეული საქციელი

«ძეგლებს პატივი უნდა ვცეთ, მით უმეტეს ჩვენი სიძეების ძეგლებს» 11



## «სტრატეგიული პარტნიორები» და «ნომერი პირველი მტერი»

2



## ხალხმა რა ქნას, ხალხმა?

3

დიმიტრი ლორთქიფანიძე:



## ერთნაირსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად პირველი ნაბიჯი გადაიდგა

5



## ვინ დალევს «ბორჯომს» აშშ-სა და ევროპაში?

14



## აშშ უკრაინას ახალი ავანტიურისთვის აქეზებს

15

«განვითარებადი» ქვეყანა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიხვდა ევროპა, რომ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და იდეალური ტერიტორია იყო რუსეთისთვის ნერვების მოსაშლელად. გვაომეს კიდეც რუსეთთან, სტრატეგიული პარტნიორი გვიწოდეს, წელიწადში იმის მეასედს გვიგდებენ, რისი მიღებაც თუნდაც ქართული წყლებისა და ღვინის გატანით შეიძლებოდა და დაგვარქვეს ე.წ. განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ავტომატურად ნიშნავს ქვეყანას წარმოების უფლების გარეშე.**

# «სტრატეგიული პარტნიორები» და «ნომერი პირველი მტერი»

**დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, როცა დღის წესრიგში დადგა საკითხი, თავი რით უნდა გვერჩინა, იმედიანი პასუხი ისმოდა, — მხოლოდ მტკნარი წყლები, „ბორჯომი“ და ჩაი გვიშველის, სრულიად ევროპას გავაოცებთო. სიმართლე რომ ითქვას, კომუნისტებს ისე ჰქონდათ აწყობილი ყველა რესპუბლიკაში საქმე, ჭკვიანურად რომ გავყოლოდით, თავის რჩენა მართლა არ გაგვიჭირდებოდა. საკავშირო მასშტაბის ქარხნები და საწარმოები პროდუქციას აწარმოებდნენ, სხვასაც ინახავდნენ და თავსაც ირჩენდნენ. საქართველოს მოჰყავდა იმდენი კარტოფილი და ხახვი, რომ მთელ ქვეყანას ჰყოფნიდა და სხვა რესპუბლიკებსაც აწვდიდა; ჰყავდა იმდენი მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვი, რომ ქვეყანას ჰყოფნიდა და, რაც მთავარია, დასაქმებული იყო ყველა, რაც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, ეს ჭარბი პროდუქცია არ ჩაწოლილიყო, ყველას ჰქონოდა მისი შეძენის შესაძლებლობა, ყველას შეეძლო, ნოყიერი საკვები მიელო და მოსახლეობის 99%-ს არ შიოდა.**



**ნებისმიერი ქართული პროდუქტი ყველაზე დიდი რაოდენობით რუსულ ბაზარზე გადის. და, ამ პირობებში ევროპასა და ამერიკას სტრატეგიული პარტნიორი რომ ჰქვია, რუსეთს კი ნომერი პირველი მტერი, უცნაურია. უცნაურია ისიც, რომ ნომერი პირველი მტრისგან ენერგოპროდუქტებს ვიღებთ, ისიც, რომ რუსეთმა ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია რომ არ მოგვაწოდოს, საქართველო ჩაბნელდება და გაიყინება, მაგრამ ამას არ აკეთებს**

ნაცვლად იმისა, რომ წარმოება გაგვევითარებინა, უკვე აშენებულის დანგრევა დავიწყეთ: ჯართად გავყიდეთ საწარმოები, რაც არ გაიყიდა, უბრალოდ, დავანგრიეთ, გავანადგურეთ, პირველი პრეზიდენტი მოვკალით, მეორე — რევოლუციით გავუშვით, მესამე — დღემდე სისხლის სამართლის დამნაშავის სტატუსით არის ძებნილი. **როცა მივხვდით, რომ რაღაც საკუთარი უნდა გვეწარმოებინა, გაირკვა, რომ არც მოსახლეობასა და არც სახელმწიფოს ამის რესურსი აღარ ჰქონდათ. ჩაის პლანტაციები განადგურებულ-გადამწვარი იყო, მტკნარი წყლები კი... არ მიგვიღო ევროპამ და ამერიკამ თავის ბაზარზე, დაკავებული აღმოჩნდა ყველა და ყველაფერი. ეს იმის მიუხედავად, რომ გემოთი და სარგებლიანობით ქართული პროდუქტი უკეთესია.** მაინც არ შეგვიშვეს, თუმცა იმას კი მიხვდა ევროპა, რომ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და იდეალური ტერიტორია იყო რუსეთისთვის ნერვების მოსაშლელად. გვაომეს კიდეც რუსეთთან, სტრატეგიული პარტნიორი გვიწოდეს, წელიწადში იმის მეასედს გვიგდებენ, რისი მიღებაც თუნდაც ქართული წყლებისა და ღვინის გატანით შეიძლებოდა, და დაგვარქვეს ე.წ. განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ავტომატურად ნიშნავს ქვეყანას წარმოების უფლების გარეშე. წარსულის სიღრმეებში აღარ წავალთ, ძალიან მტკივნეული და ძალიან ვრცელი თემაა, დღევანდელობაზე ვთქვათ.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა ახალი ციფრები. თურმე, საქართველოდან სატაცურის ექსპორტი რეკორდულად იზრდება. საქსტატის მონაცემებით, თუ 2018 წელს ქვეყნიდან 200 კილო სატაცური გავიდა, 2019 წელს ეს მაჩვენებელი 5.9 ტონამდე გაიზარდა, ხოლო 2020 წელს ექსპორტზე 9.5 ტონა გავიტანეთ. მოგვიწოდეს კიდეც — არიქა, სატაცური მოიყვანეთ, მოთხოვნა უზარმაზარია, წელს შარშანდელზე, სულ ცოტა, ორჯერ მეტი დაგვჭირდებაო. ცოდვა გამხელილი სჯობს და გაგვახსენდა, ჯერ მოცვს რომ უნდა გადაერჩინა ქვეყანა და მერე — ფოთის ბაყაყებს, თუმცა სატაცურზე მოთხოვნა ნამდვილად არის...

როგორ გგონიათ, შარშან გაყიდული 9.5 ტონა სატაცურიდან, რომელმა ქვეყანამ რამდენი შეიძინა? რამდენია ამ მონაცემებში სტრატეგიული პარტნიორების წილი და რამდენი წაიღო მტრად შერაცხილმა რუსეთმა? 200 კილოგრამი შეისყიდა სომხეთმა, დანარჩენი 9.3 ტონა კი რუსეთში გაიყიდა. ეს კიდევ ყველაფერი არ არის — ის გაორმაგებული შეკვეთაც, წელს რომ უნდა გავყიდოთ, ასი პროცენტით რუსეთის არის.

ლოგიკას რომ მივყვეთ, როგორც ევროპასა და ამერიკაში, ისე რუსულ ბაზარზეც წესითა და რიგით ყველა კვოტა დაკავებული და გადანაწილებული უნდა იყოს. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი ყველასთვის სასურველი და მიმზიდველია. ჰოდა, ამავე ლოგიკით, ქართულ პროდუქციას იქ არაფერი ესაქმება, ანუ უნდა იბლოკებოდეს ზუსტად ისე, როგორც ეს ევროპასა და ამერიკაში ხდება, მაგრამ არა! რუსეთი იღებს ყველაფერ ქართულს და იღებს ერთადერთი მიზეზით — **რუსეთის მოსახლეობა ქართულ პროდუქციას პატივს სცემს, უყვარს, ყიდულობს, ითხოვს. ჰოდა, რუსეთის ხელისუფლებაც პირველ ადგილზე სწორედ საკუთარი მოსახლეობის ინტერესებს აყენებს. საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში რომ დაიდოს დახლზე ქართული პროდუქცია, იქაც გაიყიდება, მითუმეტეს, ფასი ექნება დაბალი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დიდი კომპანიები ნახავენ მცირე, მაგრამ მაინც ზარალს და ეს ხელს არ აძლევთ.** რუსეთი კი კომპანიების ზარალზე არ ფიქრობს, ფიქრობს თავის მოსახლეობაზე და იქნებ, ეს მაინც გადავიღოთ, ამაში მაინც მივბაძოთ, პირველ ადგილზე ხალხი, ადგილობრივი მოსახლეობა დავაყენოთ და მერე — ყველა დანარჩენი.

იმავე **საქსტატის მონაცემებს რომ გადავხედოთ, ნებისმიერი, ვიმეორებ, ნებისმიერი ქართული პროდუქტი ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ რუსულ ბაზარზე გადის. ხშირად პროცენტული წილი 90%-ს აჭარბებს, დანარჩენი 10% კი ევროპის 10-15 ქვეყანაზე მოდის. ამერიკა შეგვიძლია სათვალავშიც არ ჩავაგდოთ, რადგან იქ, პრაქტიკულად, არაფერი გაგვაქვს და, თუ გაგვაქვს და იყიდება, იმაზე ნაკლები, ვიდრე თბილისში ერთი გამართული მარკეტი ვაჭრობს. ჰოდა, ამ პირობებში, ევროპასა და ამერიკას სტრატეგიული პარტნიორი რომ ჰქვია, რუსეთს კი ნომერი პირველი მტერი, ცოტა უცნაურია. უცნაურია ისიც, რომ ნომერი პირველი მტრისგან ენერგოპროდუქტებს ვიღებთ, ისიც, რუსეთმა ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია რომ არ მოგვაწოდოს, საქართველო ჩაბნელდება და გაიყინება, მაგრამ ამას არ აკეთებს.**

ერთ დღეს რომ გადავწყვიტოთ, უარი ვთქვათ რუსეთთან ნებისმიერ ურთიერთობაზე, არც ვიყიდოთ რამე, არც გავყიდოთ, ევროპა და ამერიკა ალტერნატივას, უბრალოდ, ვერ შემოგვთავაზებს. ისინი არც ბაზრებს გახსნიან ქართული პროდუქციისთვის, ვერც ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიას მოგვაწოდებენ, რადგან... თვითონაც რუსეთიდან იღებენ და ამ ყველაფერს ძალიან მშვიდად აკეთებენ. **რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მიუხედავად, ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა უარს არ ამბობს რუსულ ბაზარზე და იქ ქართული პროდუქცია არ მოსწონთ, რადგან კონკურენციას უწევს, მათ ყულაბაში წასასვლელი თანხა საქართველოში მოდის, თუმცა ვერ გვაძალებენ, რუსულ ბაზარზე არ შეხვიდეთო. ალტერნატივა ხომ უნდა შემოგვთავაზონ და ამის არც შესაძლებლობა და, რაც მთავარია, არც სურვილი არ აქვთ.** ამიტომაც არის, ხელისუფლების უმაღლეს პირებს, ოპოზიციის ლიდერებს რომ აიძულებენ (ჰო, აიძულებენ), რუსეთი ნებისმიერი ტრიბუნიდან ლანძღონ, რადგან ეგებ თავად რუსეთმა გადაგვიკეტოს ყველაფერი და მერე უკვე მტრის ხატის შექმნაც უფრო მარტივი იქნება და ხალხიც უფრო ადვილად დაიჯერებს.

კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით. **ქართულმა თაფლმა ევროპაში ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ მოსახლეობა ეძებდა ქართულ პროდუქტს. ჰოდა, ევროკავშირმა მიიღო ახალი წესი, რომლის მიხედვით, ის თაფლი, რომელშიც სუფთა მარილი არ იქნებოდა (და მარილი თაფლში 0,001%-ზე მეტი არ არის), ევროკავშირის ქვეყნებისთვის უყვარგისად სცნეს.** საქართველოში ფუტკარი სოფლებში საპირფარეშოებიდან იღებს მარილს და, შესაბამისად, ეს პრობლემა შეიქნა მოსაგვარებელი. საქართველო მთლიანდ რომ გადავიდეს საკანალიზაციო სისტემაზე და სოფლებში საკუთარი საპირფარეშოები არ იდგეს, დაახლოებით 15 მილიარდ ლარამდეა საჭირო, ამ თანხას კი ქართული ბიუჯეტი დიდი ხნის განმავლობაში ვერ გაიმეტებს. **ამით ევროპაში ქართული თაფლის ექსპორტზე ოცნება, სულ ცოტა, მომდევნო 10 წლით დასამარდა და, თუ ამ პრობლემას მოვაგვარებთ, ახალ რამეს მოიგონებენ და მაინც არ შეგვიშვებენ. არ გაახარებენ ქართულ ღვინოს, რადგან ესპანეთი, საფრანგეთი და პორტუგალია დარჩებიან შემოსავლის გარეშე, არ შევა ქართული წყალი, რადგან საფრანგეთი და შვეიცარია იზარალებენ.** კიდევ გავიმეორებთ: საუბარი არ არის მილიარდებზე, საუბარი რამდენიმე ათეულ მილიონზეა, რომელიც ქართულ ეკონომიკას ჰაერივით სჭირდება, ევროპის წამყვან ქვეყნებს კი ეს არც დაეტყობათ, მაგრამ იმ მცირედითაც არ უნდათ იზარალონ, **ყურებით ჰყავთ დაჭერილი საქართველოს ხელისუფლება. ახლა თქვეს: თუ ჭკუით არ მოიქცევით, 20 მილიონი ევროს დახმარებას ვერ მიიღებთო. არადა, ბაზარზე მხოლოდ ღვინო რომ შეუშვან, 20-ჯერ 20 მილიონს ერთ წელიწადში მიიღებს ქართული ეკონომიკა.**

სატაცურით დავიწყეთ და... სატაცური, ალბათ, ვერ გადაარჩენს ჩვენს ეკონომიკას, მაგრამ ის კი დადასტურებული ფაქტია, რომ მოთხოვნა არის და მწარმოებლებმა მისი მოყვანა, სულ ცოტა, რომ გააორმაგონ, გასაღების პრობლემა არ იქნება. ხელისუფლებამ თანხები სოფლის მეურნეობისკენ რომ მიმართოს და პრიორიტეტად ეს იქცეს, ნამდვილად გვეშველება. თუ არ გასაღდება, ადგილზე მაინც იაფი იქნება ქართული პროდუქცია და ზეთიც არ ეღირება კატასტროფული ფასი. **გახსოვთ, ბატონებო, კომუნისტების პერიოდში კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში მზესუმზირის ველები რომ იყო გაშენებული და ზეთის წარმოება საოცრად განვითარებული? ქართული ზეთი მთელ ქვეყანას ყოფნიდა და სხვა რესპუბლიკებსაც ვუნაწილებდით. ის ველები არსად წასულა, ახლაც შეიძლება მოყვანა, მაგრამ...** დასავლეთმა „განვითარებადი“ ქვეყანა დაგვარქვა და ფართო მასშტაბებზე გასვლა აკრძალული გვაქვს, თუმცა შიდა ბაზრის ასი პროცენტით ათვისება მარტივად შეიძლება.

**ბესო ბარბაქაძე**

**როგორ გგონიათ, შარშან გაყიდული 9.5 ტონა სატაცურიდან, რომელმა ქვეყანამ რამდენი შეიძინა? რამდენია ამ მონაცემებში სტრატეგიული პარტნიორების წილი და რამდენი წაიღო მტრად შერაცხილმა რუსეთმა? 200 კილოგრამი შეისყიდა სომხეთმა, დანარჩენი 9.3 ტონა კი რუსეთში გაიყიდა. ეს კიდევ ყველაფერი არ არის — ის გაორმაგებული შეკვეთაც, წელს რომ უნდა გავყიდოთ, ასი პროცენტით რუსეთის არის**

**რა გაძვირდა ყველაზე მეტად ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში? საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ათეული ასე გამოიყურება: მზესუმზირის ზეთი — 62,79%, ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი — 40,39%, წიწიბურა — 36,39%, ლურსმანი — 35,20%, თერმომეტრი — 31,89%, სტომატოლოგის მომსახურება (კბილის ამოღება) – 31,84%, მწვანე ლობიო — 30,83%, თევზის კონსერვი — 30,60%, შაქარი — 30,12%, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები — 29,21%.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში დავწერეთ პირველად იმის შესახებ, რომ 1 აპრილიდან პროდუქტები გაძვირდებოდა. შემდეგ პრაქტიკულად ნომერი არ ჩაგვიგდია, ხელისუფლებისთვის რომ არ გვეთქვა, რომ გაძვირება გარდაუვალი იქნებოდა და ზომები იყო მისაღები, მაგრამ ბევრს არ სჯეროდა ფასების მომატების, ბევრი შეგუებული იყო, რეალურად კი ისე ჩანდა, რომ ხელისუფლება გამოსავალს ვერ პოულობდა. თანაც, იმხანად პროდუქტებისა და მოსახლეობისთვის არავის ეცალა, ხელისუფლება იყო შესანარჩუნებელი, ოპოზიციას კი იმედი ჰქონდა, რომ სათავეში მოვიდოდა. ეს იწილო-ბიწილო პოზიციასა და ოპოზიციას შორის დღემდე გრძელდება, ქვეყანა კი თავზე დაგვექცა, ლარი გაგვექცა, პროდუქტი კი...**

# დასავლეთზე ჩამოკიდებული და გამოკიდებული პოლიტიკოსები თვითონ კი არიან დანაყრებული, მაგრამ ხალხმა რა ქნას, ხალხმა?

## სოციალური აფეთქების მოლოდინი უნდა გქონდეთ, ბატონებო, ოღონდ ისეთი აფეთქების, თქვენც რომ გაგიყოლებთ და იმ ოპოზიციასაც, ჩასაფრებული რომ ელოდება ხალხის ჯანყს

საგანგაშო არაფერი ხდებაო. ის კაცი, რომელიც ამას გვიმტკიცებდა, გასულ კვირას თანამდებობიდან წავიდა, მაგრამ ლარის გაუფასურებას მაინც ვერ გაასწრო — ეროვნული ვალუტა მასზე სწრაფად გარბოდა. ფინანსთა მინისტრზე მოგახსენებთ, რომელიც ჯიუტობდა: ნუ შემჭამეთ, ისეთი ბიუჯეტი და ისეთი გათვლები გვაქვს, მშვიდი წელი გველოდებაო. ჰოდა, ამ სიმშვიდის ფონზე, 1 აპრილს მაღაზიაში შესულ მომხმარებელს სახუმარო ფასები ნამდვილად არ დახვედრია. ხუმრობა იქით იყოს და ხალხს მომავალში შემწვარი კარტოფილი მოენატრება, მის ხარშვაზე გადავა, რადგან ზეთს ისეთი ფასი აქვს, რაღა ეგ დაგისხამთ ტაფაზე და რაღა ოქროს წყალი.

**ივანე მაჭავარიანის** მსგავსად, თანამდებობიდან წასვლა არ უფიქრია ეროვნული ბანკის პრეზიდენტ **კობა გვენეტაძეს.** როგორი დასატოვებელია, როცა ორი ხელფასი გაქვს — ბატონი კობა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისთვის წელიწადში 62 712 ლარს იღებს, ხოლო იმავე საბჭოს პრეზიდენტობისთვის წლიურად 142 771 ლარი აქვს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბატონი კობას მეუღლე, ქალბატონი **ირინე კოკაია** საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში საოპერაციო ოფიცრად მუშაობს და მისი წლიური ჯამაგირი... 176 250 ლარია. დაგვეთანხმებით, **ძნელია ასეთი შემოსავლების შემთხვევაში ლარის გაუფასურება ან ზეთის გაძვირება იგრძნო, თუმცა ის, რაც გვენეტაძემ თქვა, ცოტა არ იყოს, სასაცილოცაა. თურმე, ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა ის, რომ თურქეთში ლირა გაუფასურდა და, რადგანაც თურქეთზე ბევრი რამით ვართ დამოკიდებულნი, ამან ლარზეც იმოქმედა.**

ბატონო კობა, შარშან, დეკემბერ-იანვარში ლირა რომ გამყარდა, ეროვნულ ვალუტას რატომ არ დაეტყო? თუ მხოლოდ ინფლაცია ეტყობა და სიმყარის შემთხვევაში არაფერი მოქმედებს? სამწუხაროდ, **ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ან არ იცის, რა სჭირს ვალუტას, ან იცის და არ ამბობს. ორივე შემთხვევაში საქმე სავალალოდ არის და, თუ იმასაც დავიჯერებთ, რასაც მაჭავარიანზე ამბობენ, ყველაზე საინტერესო წინ გველოდება.** მაჭავარიანზე კი იმას ამბობენ, რომ ლარს კატასტროფული ინფლაცია ელის და ბატონ ივანეს არ სურდა, ეს ყველაფერი მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებულ-ასოცირებული. და მაინც, რა გაძვირდა ყველაზე მეტად ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში? საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ათეული ასე გამოიყურება: **მზესუმზირის ზეთი — 62,79%, ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი — 40,39%, წიწიბურა — 36,39%, ლურსმანი — 35,20%, თერმომეტრი — 31,89%, სტომატოლოგის მომსახურება (კბილის ამოღება) — 31,84%, მწვანე ლობიო — 30,83%, თევზის კონსერვი — 30,60%, შაქარი — 30,12%, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები — 29,21%.** ათეულში ხუთი საკვები პროდუქტია, თუმცა... **პურის მწარმოებლები ამბობენ, რომ უახლოეს დღეებში იძულებულნი იქნებიან, პურიც გააძვირონ. 1 აპრილს სახელმწიფო სუბსიდიების პროგრამა დასრულდა და, როგორც კი სუბსიდირებული ფქვილი ამოიწურება, ფასი მთავარ საკვებ პროდუქტზე, სულ ცოტა, 20%-ით მომატებს.** თუ გახსოვთ, ამის შესახებაც არაერთხელ დავწერეთ და ისიც ვთქვით, რომ აუცილებელი იყო რუსეთში ჩასვლა, რუსულ მხარესთან მოლაპარაკება ფასზე, რომელიც მისაღები იქნებოდა. **დასავლელმა მეგობრებმა, რა თქმა უნდა, ამის უფლება არ მოგვცეს და შედეგად მივიღეთ გაძვირებული ხორბალი. არადა, პურისთვის საჭირო ხორბლის თითქმის 100% რუსეთიდან რომ შემოდის, კარგად მოგეხსენებათ.**

ზუსტად ვიცით, ხელისუფლებას გაზაფხულისა და ზაფხულის იმედი აქვს, რადგან ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქტები შემოდის, სეზონურად კი ეს პროდუქტები იაფი ღირს და, წესით, მოსახლეობამ ფინანსური წნეხი ვერ უნდა იგრძნოს, თუმცა აქაც ცდებით, ბატონებო. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ცოტა მიწა სწორედ წელს დაიხნა (ეს პანდემიითაც არის გამოწვეული), რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონური პროდუქტი მოსალოდნელზე გაცილებით მცირე იქნება, ხოლო ის, რაც მცირეა, ძვირი ღირს.

თუ აკვირდებით, ოპოზიცია სოციალურ ფონს ნაკლებად ახსენებს. წესითა და რიგით, ისინი ახლა ბოლო ხმაზე უნდა გაჰყვიროდნენ, მოსახლეობას შიმშილით სული სძვრება, მაგრამ, როცა ამას იტყვიან, ისიც უნდა თქვა, სად და რაშია გამოსავალი. ეს კი ოპოზიციამ ან არ იცის, ან არ სურს, ხმამაღლა თქვას. ორივე შემთხვევაში, **ხელისუფლების შეცვლა გამოსავალი არ არის, რა ვითარებაც არის ახლა, ის იქნება ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც, უბრალოდ, მაღალ ხელფასებს სხვები აიღებენ და ისინი, ვინც ახლა იღებს, ქუჩაში გავლენ გადადექი-გადადექის ძახილით.** პოლიტიკა და პოლიტიკოსები ჩვენი საშველი რომ არ არის, ამას, დიდი ხანია, მივხვდით. სამწუხაროდ, დრომ ისე მოიტანა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს დანაზოგი, რათა საკუთარი შექმნას, საკუთარი მოიფიქროს და ესეც არ იყოს, **რამე რომ შექმნა და აწარმოო, გასაღების ბაზარიც ხომ გინდა?! ვიღაცამ ხომ უნდა იყიდოს და იმ ვიღაცას, ანუ მეზობელს, მეგობარს, ნათესავს ფული, უბრალოდ, არ აქვს.** თუ გახსოვთ, ოპოზიცია ხელისუფლებას ხშირად ახსენებს, — არჩევნები 5-5 კილო კარტოფილითა და ხახვით მოიგეო, მაგრამ ახლა იმასაც აღარ ამბობს, ამ 5-5 კილო კარტოფილისა და ხახვის ფასი ერთი ბოთლი ზეთი რომ ღირს. **დასავლეთზე ჩამოკიდებული და გამოკიდებული პოლიტიკოსები თვითონ კი არიან დანაყრებული, მაგრამ ხალხმა რა ქნას, ხალხმა? სწორედ შიმშილის ბრალია ის, რომ მოსახლეობას არ აინტერესებს ქუჩაში გასვლა და პროტესტი, რომ არა სამსახურის დაკარგვის შიში, ვერც ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებდა მმართველი გუნდი და ხალხსაც ვერ გამოიყვანდა ქუჩაში.** ამჟამად არ არსებობს ძალა, რომელსაც ხალხი გულითა და სულით გაჰყვება. ხელისუფლებას ქუჩაში გაჰყავს ისინი, ვისაც სამსახურის დაკარგვის შიში აქვს, ოპოზიციას კი ისინი, ვისაც სამსახურის დაწყების იმედი აქვს. ორივე შემთხვევაში ამ ადამიანების რაოდენობა ძალიან მცირეა.



**მოსახლეობა თვითონ უყურებს სიკვდილს თვალებში და ამ შემთხვევაში სიკვდილს შიმშილი ჰქვია. ვინმე აუხსნის პენსიონერებს, გაძვირებული მედიკამენტების, გაუფასურებული ლარის, პროდუქტებზე საშინლად მომატებული ფასების ფონზე, როგორ უნდა ირჩინონ თავი? ოღონდ ამ კითხვაზე პასუხი ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძეს არ გააცემინოთ. ბატონი კობა წლიურად იმდენ ხელფასს იღებს, რამდენსაც 80 პენსიონერი ერთად აღებული**

წინ — წყალი, უკან — მეწყერიო, ხომ გსმენიათ? ჰოდა, ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვართ ახლა. პოლიტიკოსები ვერაფერს აკეთებენ, პანდემია არ ჩერდება და ყოველდღიურად მიაქვს ადამიანების სიცოცხლე. აგერ, ორი დიდი ხელოვანი ერთ კვირაში გამოგვეცალა ხელიდან, მაგრამ თითქოს ესეც ვერ აღვიქვით ეროვნულ ტრაგედიად. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ **მოსახლეობა თვითონ უყურებს სიკვდილს თვალებში და, რაც ყველაზე საშინელია, ამ შემთხვევაში სიკვდილს შიმშილი ჰქვია.** ვინმე აუხსნის პენსიონერებს, გაძვირებული მედიკამენტების, გაუფასურებული ლარის, პროდუქტებზე საშინლად მომატებული ფასების ფონზე, როგორ უნდა ირჩინონ თავი? ოღონდ ამ კითხვაზე პასუხი ეროვნული ბანკის პრეზიდენტ **კობა გვენეტაძეს** არ გააცემინოთ, ბატონი კობა წლიურად იმდენ ხელფასს იღებს, რამდენსაც 80 პენსიონერი ერთად აღებული. ლამის მილიონი პენსიონერი შიმშლისთვის ჰყავს განწირული ხელისუფლებას და, პენსიამ რომც მოიმატოს, დიდი ვერაფერი ბედენაა. გაუფასურებული ლარის ფონზე, პრაქტიკულად, იგივე გამოდის, რაც ადრე. ოღონდ ადრეს რომ ვამბობთ, ბოლო ათ წელს ვგულისხმობთ, ლარის კურსითა და პროდუქტების გაძვირების სკალით თუ ვიმსჯელებთ, პენსიონერებს არაფერი მომატებიათ.

**გაძვირება კვლავ გარდაუვალია. იმის ფონზე, როცა ნავთობპროდუქტების ფასი კატასტროფულად იმატებს, ავტომატურად ძვირდება ყველაფერი, იმიტომ, რომ ნებისმიერ რამეს ტრანსპორტირება სჭირდება, ტრანსპორტირებას — ბენზინი, დიზელი, გაზი. ხორბლის სუბსიდირებას ის სჯობს, ხელისუფლება რუსეთს ხორბლის ფასზე დაელაპარაკოს, დააკლებინოს და ეგებ პური მაინც გადავარჩინოთ გაძვირებას.** ისე, პურის გარდა, ფქვილისგან წარმოებული ყველა პროდუქტი გაძვირდა, რადგან მთავრობა მხოლოდ პურის ქარხნებს აფინანსებს, თორემ ვიღაც ფუნთუშას რომ აცხობს და მცირე ბიზნესს ეწევა, ის მომატებულ ფასს იხდის როგორც ფქვილში, ისე გაზსა და ელექტროენერგიაში. სოციალური აფეთქების მოლოდინი უნდა გქონდეთ, ბატონებო, ოღონდ ისეთი აფეთქების, თქვენც რომ გაგიყოლებთ და იმ ოპოზიციასაც, ჩასაფრებული რომ ელოდება ხალხის ჯანყს.

**აუცილებელი იყო რუსეთში ჩასვლა, რუსულ მხარესთან მოლაპარაკება ფასზე, რომელიც მისაღები იქნებოდა. დასავლელმა მეგობრებმა, რა თქმა უნდა, ამის უფლება არ მოგვცეს და შედეგად მივიღეთ გაძვირებული ხორბალი. არადა, პურისთვის საჭირო ხორბლის თითქმის 100% რუსეთიდან რომ შემოდის, კარგად მოგეხსენებათ**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველომ, მიუხედავად საკმაოდ მწარე გამოცდილებისა, რომელიც, წესით, კარგი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, ვერ გამოიტანა დასკვნები; ჩვენ ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ვერ ავწონ-დავწონეთ და დავინახეთ ის შეცდომები, რომელთა შედეგად პირისპირ აღმოვჩნდით უდიდეს სახელმწიფოსთან. საერთოდ, დიპლომატიის მიზანი არის ის, რომ მტერი გადააქციო მოკავშირედ ან, სულ ცოტა, მისგან საფრთხეები შეამცირო. ჩვენ კი რას ვშვრებით? — ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო ღრმა გეოპოლიტიკურ ჩიხში შევიდეთ“.**



### სოსო ცინცაძე:

# დღევანდელ ვითარებაში ოკუპაციის საწინააღმდეგო მიტინგები სასტუმროსთან კი არ უნდა გავმართოთ, არამედ, პირველ რიგში, შერიგების სამინისტროსთან, რომელიც არაფრის გამკეთებელი არ არის

**ცნობილი რუსი ჟურნალისტის, ვლადიმერ პოზნერის, თბილისში ვიზიტს აგრესიული „ლიბერალების“ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა სასტუმრო „ვინოტელთან“ მორიგი რუსოფობიური წარმოდგენით უპასუხა და ლოზუნგებით: „არა ოკუპანტს, არა ოკუპაციას!“ დაწესებულების კედლებს კვერცხები და სხვადასხვა საგანი დაუშინა (ნასროლი საგნები არა მხოლოდ შენობის ფასადს, სამართალდამცველებსაც მოხვდათ); „გავრილოვის ღამის“ შემდეგ რიგით მეორე „ურალიბერალური“ მასკარადი, რომლის ავანგარდშიც ძველი სახეები — ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები, ლგბტ პროპაგანდისტები, ფემინისტები და უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა არასამთავრობოს წარმომადგენლები იყვნენ, ამჯერადაც კარგად ორგანიზებული აღმოჩნდა. მეტიც, „პროტესტანტებმა“ ყოფილი ევრონაცის, ელენე ხოშტარიას, თაოსნობით ზუსტად იცოდნენ სტუმრების გადაადგილების განრიგი, მათი შესვლა-გამოსვლის დრო, დაგეგმილი ღონისძიებები და ა.შ., მაგრამ ვისგან ჰქონდათ ეს ინფორმაცია, უცნობია.**

**«ხვალ პუტინს თავში რაღაც რომ გადაუბრუნდეს, იდეაში ვამბობ, და გასცეს ბრძანება, მოდი, მავთულხლართები გორამდე ჩავიტანოთო, ვინ არის ჩვენი დამხმარე, ვინ დაგვიცავს ან რით დაგვიცავს — კვერცხებით?»**

ვლადიმერ პოზნერმა სასტუმროს შენობა მალე დატოვა და მეგობრებთან ერთად საქართველოდან გაემგზავრა, მაგრამ ინციდენტი ამით არ ამოწურულა — 87 წლის ჟურნალისტის წარმატებით გაძევების შემდეგ „ბრძოლა ოკუპაციასთან“ თბილისის ქუჩებში გაგრძელდა — „გაურკვეველმა პირებმა“ **ალექსანდრე ჭავჭავაძის** ქალიშვილის, **ნინო ჭავჭავაძის** ქმრის, დიდი რუსი მწერლისა და დრამატურგის, **ალექსანდრე გრიბოედოვის,** ძეგლი შეურაცხყვეს... მოგვიანებით წარწერა „რუსეთი ბოროტებაა“ თბილისის საკრებულოს დეპუტატმა **ერეკლე კუხიანიძემ** წაშალა...

**რა მიზანს ემსახურებოდა კონკრეტული აგრესიული ჯგუფის მიერ პოზნერის გასაძევებლად გამართული წარმოდგენა და როგორ აისახება მსგავსი ქმედებები ისედაც დაძაბულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინათ ზუსტად იმ ხალხმა, რომელმაც თავის დროზე „გავრილოვის ღამის“ პროვოკაცია მოაწყო და პარლამენტზე შტურმით სახელმწიფო გადატრიალება სცადა, რუსი ჟურნალისტის, ვლადიმერ პოზნერის, თბილისში ვიზიტის გამო მორიგი წარმოდგენა გამართა. სასტუმროს შენობას კვერცხები დაუშინეს და სამართალდამცველები სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყვეს... როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და საერთოდ, რას მოგვიტანს მსგავსი ინციდენტები რუსეთთან ურთიერთობაში?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, **როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა, იყვნენ გარკვეული ცხელი თავები, რომლებიც აბსოლუტურად გაუაზრებლად გაიძახოდნენ, ჩვენ არ უნდა გადავყვეთ რუსეთის ბაზარსო. მათი პოზიცია იყო ის, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა რუსული ბაზარი და მთავარ ამოცანას დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობა რომ უმნიშვნელოვანესია, ამაზე, რა თქმა უნდა, ყველა ვთანხმდებოდით,** მაგრამ იმხანად ისმოდა ურაპატრიოტული ლოზუნგები, რომ ბალახს მოვძოვთ და ვიშიმშილებთ, ოღონდ თავისუფლები ვიყოთ, დამოუკიდებლობას ვეღირსოთო... ის კი არა, ვიღაცამ ემბარგოს დაწესებაც კი მოინდომა რუსეთისთვის. აი, რა მივიღეთ შედეგად: საბჭოთა კავშირი დაიშალა, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და დაიწყო შიმშილი. ყველას გვახსოვს ის უსაშინლესი წლები, როცა პური არ იშოვებოდა და ელექტროენერგია არ იყო. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვყვები: **საქართველომ, მიუხედავად საკმაოდ მწარე გამოცდილებისა, რომელიც, წესით, კარგი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, ვერ გამოიტანა დასკვნები; ჩვენ ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ვერ ავწონ-დავწონეთ და დავინახეთ ის შეცდომები, რომელთა შედეგადაც პირისპირ აღმოვჩნდით უდიდეს სახელმწიფოსთან.** საერთოდ, დიპლომატიის მიზანი არის ის, რომ მტერი გადააქციო მოკავშირედ ან, სულ ცოტა, მისგან საფრთხეები შეამცირო. ჩვენ კი რას ვშვრებით? — **ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო ღრმა გეოპოლიტიკურ ჩიხში შევიდეთ.** რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს და პროტესტს რუსი ჟურნალისტის ვიზიტის გამო, შეიძლება, იქ ბევრს მართლა გულწრფელად ეგონა, რომ პატრიოტულ საქმეს აკეთებდა, ამას არ გამოვრიცხავ, ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება ადამიანს შეცდომა დააშვებინო, მაგრამ ჩემთვის პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა მიუღებელია. კვერცხების სროლა და შეურაცხყოფა 21-ე საუკუნის ცივილიზებული ადამიანების ქცევა არ არის. ეს ერთი. და მეორე — კაცს ქვეყანა რომ სძულდეს, იქ არ ჩავა დაბადების დღის აღსანიშნავად. ქართველი მდიდრები — პარლამენტარები თუ მინისტრები — კანარის კუნძულებზე მიდიან ხოლმე და იქ აღნიშნავენ იუბილეს ან რაღაც საზეიმო მოვლენას. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — თქვენ წახვალთ დაბადების დღის აღსანიშნავად იმ ქვეყანაში, რომელიც გეჯავრებათ?

**— ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებებზე რას ფიქრობთ? დაწყებული პრემიერიდან, დამთავრებული პარლამენტის თავმჯდომარითა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებით, ყველამ დაგმო ეს ფაქტი. სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა საყურადღებო განცხადება. მან თქვა, რომ ეს ამჯერადაც გააკეთეს იმ ფონზე, როცა ქვეყანა ნაწილობრივ იხსნება ტურისტებისთვის, არადა, ყველამ იცის, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ტურიზმს...**

— ვფიქრობ, ხელისუფლებამ მსგავსი პოზიცია ერთადერთი მიზნით დაიკავა, რომ ოპოზიციას დაუპირისპირდეს და მომხდარი ფაქტი მისი მარგინალიზაციისთვის გამოიყენოს, თორემ რეალურად თვითონაც რისი გამკეთებლები არიან — რამდენი წელია, ქვეყნის სათავეში მოვიდნენ და აბაშიძე-კარასინის ფორმატს ვერ გასცდნენ. რაც შეეხება კონკრეტულად ღარიბაშვილის განცხადებას და მინიშნებას ეკონომიკაზე, მოგეხსენებათ, ლარი დღითიდღე უფასურდება და ამის ერთ-ერთი მიზეზი პანდემიის ფონზე ტურისტების ნაკლებობაა. ჩნდება შეკითხვა — ვინ არიან ჩვენი ძირითადი ტურისტები? თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში ამერიკელი მილიონერები ჩამოვლენ და დაისვენებენ, ძალიან ცდება, ისინი, ყველამ ვიცით, სადაც დადიან... ახლა სოფლის მეურნეობა ავიღოთ, ბოლო წლებში ყურძენს ფასი რომ დაედო და კახელ გლეხს ხილი არ ულპება, რისი შედეგია? ან რისი შედეგია ის, რომ ღვინის ექსპორტი მეტ-ნაკლებად კარგად მიდის? **დაუშვებელია, ქუჩაში კვერცხების სროლა ატეხო და დედა აგინო ადამიანს, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მეორე დღეს გრიბოედოვის ძეგლი შეურაცხყვეს. სხვათა შორის, ამან რა გამახსენა, იცით? თავის დროზე გურამ პეტრიაშვილი მიტინგებს რომ აწყობდა, პუშკინის მონუმენტი ავიღოთო... ჩემი აზრით, ეს ველურობაა.** ძალიან დიდი **მნიშვნელობა აქვს ფორმასა და შინაარსს, ამიტომ ერთმა მეორის დისკრედიტაცია** არ უნდა მოახდინოს. ეს ერთი და მეორე — მე თუ მკითხავთ, დღევანდელ ვითარებაში ჩვენ ოკუპაციის საწინააღმდეგო მიტინგები სასტუმროსთან კი არ უნდა გავმართოთ, არამედ, პირველ რიგში, შერიგების სამინისტროსთან, რომელიც არაფრის გამკეთებელი არ არის. აბა, მითხრას ვინმემ, რას აკეთებენ, ერთი მაგალითი მაინც მოიყვანონ, რას შვრებიან საიმისოდ, რომ თუნდაც უმნიშვნელო ძვრა იყოს აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობების ნორმალიზაციის კუთხით.

**— სხვათა შორის, ამას წინათ სერგეი შამბამ განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ დღეს საქართველოში გაცილებით მეტია პოლიტიკური რადიკალიზმი აფხაზებისა და ოსების მიმართ, ვიდრე ოდესმე. ეს ადეკვატური შეფასებაა?**

— მართალია, იმიტომ, რომ ჩვენ საერთოდ რას ვაკეთებთ ამ მიმართულებით, გაუგებარია. ერთადერთი, რაც „წარმატებით“ კეთდება, არის პერფორმანსები, რომლებსაც პერიოდულად ვაწყობთ ხოლმე კონფლიქტისპირა სოფლებთან და გავიძახით: „რუსეთი ოკუპანტია!“ შედეგი — ნული. აი, ეს არის ზუსტად იმის მაჩვენებელი, რომ ქართული დიპლომატია არ არსებობს. ქართული დიპლომატია დღეს, სამწუხაროდ, დასულია კვერცხების სროლის, ძეგლების შეურაცხყოფისა და ტრაბახის დონეზე, რომ თურმე ოკუპანტს კუდით ქვა ვასროლინეთ. ისე, ძალიან მაინტერესებს, **ხვალ პუტინს თავში რაღაც რომ გადაუბრუნდეს, იდეაში ვამბობ, და გასცეს ბრძანება, მოდი, მავთულხლართები გორამდე ჩავიტანოთო, ვინ არის ჩვენი დამხმარე, ვინ დაგვიცავს ან რით დაგვიცავს — კვერცხებით?** რაც შეეხება საერთაშორისო პარტნიორებს, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებს ზოგიერთი, **მე ვერ მოვისმინე მათგან თუნდაც ირიბი მოწოდებები იმის შესახებ, რომ საქართველო უნდა იყოს უკომპრომისო რუსეთთან ურთიერთობაში. კი, იქ აცხადებენ და ამას ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ მხარს უჭერენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ასევე გვეუბნებიან, რომ აუცილებელია ურთიერთობების ნორმალიზება.** ეს აშკარაა და, საერთოდ, ეს მოწოდებებიც რომ არ კეთდებოდეს, თავისთავად ცხადია, რანაირი საქართველოა დასავლეთისთვის თავის ტკივილი.

**— გამოსავალი რა არის? რა პერსპექტივას ხედავთ, რომ მომავალში მაინც მეტ-ნაკლებად პრაგმატული საგარეო პოლიტიკა გვქონდეს?**

— უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, პროფესორი ვარ, სტუდენტებთან მაქვს მუდმივად საქმე და ვხედავ, რომ ყოველ წელიწადს სულ უფრო უწიგნური თაობა მოდის, სულ უფრო დაბალია განათლების დონე, ხარისხი და კლასი, ამიტომ თქვენი კითხვის პასუხად მომავალზე, სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს ვიტყვი. პესიმისტურად ვარ განწყობილი. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას და ამ მიმართულებით საჭირო ცვლილებებს, ვფიქრობ, უწინარესად, საშინაო პოლიტიკის რეფორმირებაა აუცილებელი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი სხვა ცვლილებებზე და გარდაქმნებზე, რაც ასევე აუცილებელია, თუმცა, **სანამ ქვეყანაში არ დაიწყება პოლიტიკური მეცნიერების, როგორც საგნის, საფუძვლიანი შესწავლა, თავისთავად ცხადია, ყოველთვის გვექნება პროფესიონალი, მცოდნე ადამიანების დეფიციტი მმართველ ელიტაში.** დღეს რაც გვაქვს და რა ხალხიც გვმართავს, ეს არის ამის ნათელი მაგალითი. ქუჩაში კვერცხების სროლასა და ლანძღვა-გინებას პოლიტიკა ჰქვია. **არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უბიოგრაფიო, გამოუცდელ ადამიანებს პოლიტიკოსებს ეძახიან... მე ასეთი პოლიტიკისა და პატრიოტიზმის არ მწამს. მე ასეთი მიდგომებით უკეთესი მომავლის მიღწევის არ მჯერა...**

**«უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, პროფესორი ვარ, სტუდენტებთან მაქვს მუდმივად საქმე და ვხედავ, რომ ყოველ წელიწადს სულ უფრო უწიგნური თაობა მოდის; სულ უფრო დაბალია განათლების დონე, ხარისხი და კლასი, ამიტომ თქვენი კითხვის პასუხად მომავალზე, სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს ვიტყვი. პესიმისტურად ვარ განწყობილი... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უბიოგრაფიო, გამოუცდელ ადამიანებს პოლიტიკოსებს ეძახიან. მე ასეთი პოლიტიკისა და პატრიოტიზმის არ მწამს. ასეთი მიდგომებით უკეთესი მომავლის მიღწევის არ მჯერა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ხვალ-ზეგ, მაგალითად, მასწავლებლებად შეიძლება ვიხილოთ პირი, რომელიც ბავშვებთან ილაპარაკებს თავის გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციაზე და ვერც მოსწავლე ამოიღებს ხმას და ვერც მშობელი. თუ ამოიღებს, მის მიმართ, როგორც „ირაციონალური შიშითა და ზიზღით შეპყრობილი“ ადამიანის მიმართ, დაიწყება სამართლებრივი დევნა. თავიდან ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული წესით, შემდეგ უკვე — სისხლის სამართლით“.**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე დღის წინათ ე.წ. ლიბერალურმა მედიამ მოსახლეობას ამაყად ამცნო, რომ საქართველოში პირველად „ტრანსი“, როგორც ადამიანის „გენდერი“, სამართლებრივად აღიარეს. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ერთმნიშვნელოვნად დააკმაყოფილა „ტრანსი ქალის“ — ლ. მ.-ს მოთხოვნა და მისი გენდერის მარკერი „მამრობითი“ შეიცვალა „მდედრობითით“ (ე.ი., კაცს, რომელიც თავს ქალად ასაღებდა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მისთვის სასურველი სქესის მითითებას ითხოვდა, სახელმწიფომ სურვილი დაუკმაყოფილა). აღსანიშნავია ისიც, რომ კაცის ქალად და ქალის კაცად აღიარების „იურიდიულ“ პრაქტიკას წინ უძღოდა უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა „არასამთავრობოს“ ხანგრძლივი „სამართლებრივი“ ბრძოლა, რომლის ფარგლებშიც იყო არაერთი ანგარიში და საჩივარი საერთაშორისო დონეზეც.**

# საქართველოში «ტრანსი», როგორც ადამიანის «გენდერი», სამართლებრივად აღიარეს



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## ყველა ამბიონიდან ყველა სასულიერო პირმა უნდა თქვას, რომ განსხვავება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებასა და ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობას შორის არ არსებობს

მოგვიანებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „გენდერის“ სამართლებრივი არაღიარება, ერთი მხრივ, ზრდის ქვეყანაში „ტრანსი“ ადამიანების სილატაკის რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მათ მარგინალიზაციას: „ამ დრომდე არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმი. ეს ფაქტი მხოლოდ ილუსტრაციაა ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია...“

**ცნობისთვის:** საქართველოში კაცის ქალად აღიარების პირველი პრეცენდენტი, რომელსაც, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებებიც მოყვება, დაემთხვა ამერიკის პრეზიდენტის, ლგბტ თემის ცნობილი დამცველის, აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** განცხადებას, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრანსგენდერების უფლებები ადამიანის უფლებებია: „მე ყველა ამერიკელს მოვუწოდებ, რომ შემომიერთდეს ტრანსგენდერი ამერიკელების ღირსების ამაღლებაში. ერთად ჩვენ შეგვიძლია, აღმოვფხვრათ დისკრიმინაცია და შევასრულოთ ჩვენი ერის დაპირება ყველასთვის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ...“

**რას ნიშნავს საქართველოსთვის დღევანდელ ვითარებაში კონკრეტული სახელმწიფო უწყების მიერ მამაკაცის ქალად და ქალის მამაკაცად აღიარების პრაქტიკის დანერგვა, რა მიზანს ემსახურება ეს და რა სახის საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს მომავალში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამ დღეებში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დააკმაყოფილა ტრანსგენდერი ქალის მოთხოვნა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში მამრობითის ნაცვლად მდედრობითი ჩაუწერა. ეს არის პრეცენდენტი ქვეყანაში, როცა სახელმწიფომ მამაკაცი ქალად აღიარა. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ჩემთვის ეს ყველაფერი მოულოდნელობა არ ყოფილა. რაც ხდება, ლოგიკური და ბუნებრივია, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ევროკავშირისგან დღითიდღე ძლიერდება წნეხი და, პრაქტიკულად, უკვე ღია ტექსტებით გვესმის მითითებები რიგი მიმართულებებით კანონმდებლობის „ლიბერალიზაციის“ აუცილებლობაზე. სხვათა შორის, ამ მიმართულებით ბოლო კატეგორიული სიგნალი იყო ევროკომისიის ვრცელი დოკუმენტი, რომელიც რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებს შეეხებოდა და ეკლესიის მწვავე კრიტიკასაც შეიცავდა... ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ეს იყო ჯერ კიდევ **შტეფან ფულეს** ევროკომისრობის პერიოდში, როცა დირექტივას დირექტივა მოსდევდა და მითითებას — მითითება. აი, ზუსტად მაშინ წამოვიდა კატეგორიული მოთხოვნები, რომლებიც ე.წ. მესამე სქესისადმი ემპათიის გაჩენას უკავშირდებოდა. რა იყო საბოლოოდ შედეგი, ყველამ ვნახეთ...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ ევროკომისიის ვრცელი დოკუმენტის გამოქვეყნებიდან მალევე სახალხო დამცველმა გამოთქვა ტრანსგენდერებისთვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მათთვის სასურველი სქესის მითითების მარეგულირებელი ნორმის შექმნის ინიციატივა. ამით, ფაქტობრივად, მოხდა პროცესის დაწყება და მერე კი გააქტიურდნენ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები. გავიმეორებ: ევროკავშირი საქართველოსგან დაჟინებით ითხოვდა ლგბტ პირებისთვის პასპორტში მათთვის სასურველი სქესის მითითების უფლებას. თუმცა ევროკავშირი არ ყოფილა ერთადერთი. ე.წ. რეკომენდაციები საკმაოდ ხშირად მოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც, განსაკუთრებით **ჯო ბაიდენის** ვიცეპრეზიდენტობის დროს...

**— სხვათა შორის, ბაიდენმა ამას წინათ განაცხადა, რომ „ტრანსგენდერების უფლებები ადამიანის უფლებებია...“ მან ამერიკელ ხალხს მოუწოდა, რომ მხარი აუბან მას „ტრანსგენდერი ამერიკელების ღირსების ამაღლებაში...“ ხომ არ ფიქრობთ, ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში საქართველოზე წნეხი კიდევ უფრო გაძლიერდება?**

— ცხადია, ეს მოსალოდნელია და ამის ნიშნები უკვე არის. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ჩვენს ქვეყანაში ერთგვარი აგენტურული ქსელი აქვს შექმნილი არასამთავრობოების სახით და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბედავს, მაღალი იერარქების ქადაგებებზე კრიტიკული ანგარიშები მოამზადოს, ხან ანტისემიტიზმის ბრალდებით, ხან სიძულვილის ენით საუბარში „მხილებით“ და ა.შ. ეს სერიოზული სიგნალია. რაც შეეხება კონკრეტულად **ბაიდენს** და მის გარემოცვას, მოგეხსენებათ, სწორედ ბაიდენია ერთ-ერთი მთავარი ლობისტი მსოფლიოში ე.წ. გენდერის თეორიისა და მთლიანად „დემოკრატები“ ამის აპოლოგეტები არიან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადმინისტრაცია, განსხვავებით ტრამპის ადმინისტრაციისგან, ძალისხმევას არ დაიშურებს იმისთვის, რომ გენდერი პოლიტიკური მართვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გამოიყენოს, განსაკუთრებით ისეთ „ურჩ“ სახელმწიფოებში „წესრიგის“ დასამყარებლად, როგორიც საქართველოა...

**— საქართველოს ხელისუფლებაზე ვისაუბროთ. ერთია წნეხი, რომელიც თქვენ ახსენეთ, მაგრამ მმართველი გუნდიც ხომ ზედმიწევნით ასრულებს ყველაფერს?**

— ჩემი აზრით, **საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე დიდი ანტიქართული საქმე უკვე გააკეთა, როცა მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი.** მოხდა ის, რომ ხვალ-ზეგ, მაგალითად, მასწავლებლებად შეიძლება ვიხილოთ ადამიანები, რომლებიც ბავშვებთან ილაპარაკებენ თავიანთ გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციაზე და ვერც მოსწავლე ამოიღებს ხმას და ვერც მშობელი. თუ ამოიღებს, მის მიმართ, როგორც „ირაციონალური შიშითა და ზიზღით შეპყრობილი“ ადამიანის მიმართ, დაიწყება სამართლებრივი დევნა. თავიდან ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული წესით, შემდეგ უკვე სისხლის სამართლით... ვიღაცას ეს შეიძლება წარმოუდგენლად ეჩვენება, მაგრამ მერწმუნეთ, მათ საკმაოდ სერიოზული ბერკეტები აქვთ ამისთვის...

**— მაგალითად?**

— ავიღოთ თუნდაც კადრები. ჯერ კიდევ **შევარდნაძის** პერიოდში, როდესაც **გამსახურდიას** კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, ამბობდნენ, რომ მთავრობის კანცელარია სავსე იყო ასეთი პირებით. მეტიც, თუ გინდოდა, რამისთვის მიგეღწია კარიერაში, ეს იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა...

**— კი მაგრამ, რისთვის სჭირდებოდათ ეს?**

— ეს ადვილი მისახვედრია; უბრალოდ, ისინი ყველაზე ადვილი სამართავები იყვნენ. ითვლებოდა, რომ ასეთი ადამიანი ყველაზე საიმედო კადრი იყო, რაც ნაწილობრივ, ალბათ, დღესაც ასეა. აი, ეს იყო ის, რაც ამოძრავებდა მსოფლიოში მთელ რიგ ინსტიტუტებს და ამიტომაც არის, რომ დღეს კაცობრიობის გადაგვარებისკენ მიმართული ამ ამორალური მოძრაობების უკან არსებული ეკონომიკა დაახლოებით 4 ტრილიონი დოლარია.

**— ვრცელდება კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ახლო მომავალში პოლიტიკურ დღის წესრიგში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის „სამოქალაქო პარტნიორობის“ დაკანონების საკითხი დადგება. მერე, ალბათ, მათთვის შვილის აყვანის უფლების მინიჭებაზეც დაიწყება საუბარი...**

— ის, რაც უკვე დაუშვა და განახორციელა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, ამაზე არანაკლებ საგანგაშოა. წარმოიდგინეთ, **კაცს რომ ქალად აღიარებ და ქალს — კაცად, ამაზე დიდი აბსურდი, ამაზე მეტი დეგრადაცია რამე შეიძლება იყოს?! ძალიან მალე დადგება ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონების საკითხი და ამასაც ასე უხმაუროდ გააკეთებენ, თუმცა ყველამ ვიცით, რომ არანაირი სამოქალაქო პარტნიორობა არ არსებობს, ეს არის იგივე ქორწინება და ტერმინები მოგონილია საზოგადოების დასაბნევად.** რაც შეეხება შვილის აყვანის უფლებას, საქართველოში, მართალია, ოჯახის ცნება კონსტიტუციითაა განსაზღვრული, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, მაგრამ აქაც აქვთ მზაკვრული მანიპულაციების შესაძლებლობა. ვგულისხმობ იმას, რომ, თუ ადამიანს მიეცემა შესაძლებლობა, აიყვანოს შვილი და ამის შემდეგ შევიდეს პარტნიორულ სამოქალაქო ურთიერთობაში თავისივე სქესის წარმომადგენელთან, ამით ბავშვის უფლებები არ ჩაითვლება დარღვეულად. ხვდებით, რას ვამბობ? **ჯერ აიყვანს ბავშვს და მერე გააფორმებს ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობას.** აი, ეს შეიძლება იყოს მათი ერთ-ერთი ჩანაფიქრი და ასე დამკვიდრდება ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის პირთა მიერ ოჯახების შექმნის, მათ შორის მათთვის ბავშვის აყვანის უფლების მიცემის პრაქტიკაც. სხვათა შორის, ეს არის ერთ-ერთი კაზუსტიკური მხარე, რომელზეც დღემდე მსჯელობა არ გამართულა...

**— დასასრულ, საზოგადოებაზეც შეგეკითხებით: მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა აზროვნებით, მსოფლმხედველობით კონსერვატორია, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კაცის ქალად აღიარების პრეცენდენტს მოსახლეობის მხრიდან პროტესტი არ მოჰყოლია (თუ არ ჩავთვლით სოციალურ ქსელებში გამოხატულ უკმაყოფილებას). ხომ არ ფიქრობთ, რომ საზოგადოება გარკვეულწილად დაიღალა და, თუ ასეა, გამოსავალს ხედავთ?**

— საზოგადოებაში დიდი ხანი ნიჰილიზმი რომ არის გამეფებული, ყველამ ვიცით, თუმცა ისიც ვიცით, რომ ყველაფერზე ხელის ჩაქნევით ხვალ-ზეგ უარესი გველოდება. გამოსავალს რაც შეეხება, მიუხედავად წნეხისა, მიუხედავად დირექტივებისა და თითის ქნევისა დასავლეთიდან, საჭიროა კიდევ უფრო მეტი პრინციპულობა და უკომპრომისობა. ყველა ამბიონიდან, ყველა სასულიერო პირის და განსაკუთრებით მაღალი იერარქების მხრიდან უნდა ითქვას სიმართლე, რომ განსხვავება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებასა და ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობას შორის, უბრალოდ, არ არსებობს. ეს არის საზოგადოების დასაბნევად მოფიქრებული სიტყვების თამაში, რომელიც უნდა ვამხილოთ. აი, ამაში ვხედავ გამოსავალს და აქ ერთიანი უნდა იყოს ერი და ბერი. სხვა შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთიდან თავსმოხვეული ყველა კანონპროექტი ზედმიწევნით განხორციელდება; ყველას დაერქმევა კანონი და მერე გვეტყვიან, რომ ყველაფერი თურმე ჩვენს უფლებებს, ჩვენს კეთილდღეობასა და ნათელ მომავალს ემსახურება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ჩვენს ქვეყანაში ერთგვარი აგენტურული ქსელი აქვს შექმნილი არასამთავრობოების სახით და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბედავს, მაღალი იერარქების ქადაგებებზე კრიტიკული ანგარიშები მოამზადოს, ხან ანტისემიტიზმის ბრალდებით, ხან სიძულვილის ენით საუბარში «მხილებით» და ა.შ.»**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერის ბრბოდ ქცევის საშინელი პროცესი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ხელოვნურად თავსმოხვეული ეროვნული იდეალებით აღტყინება ხალხს საკუთარი არსისა და რაობის წინააღმდეგ მიმართულ იმ ქმედებად უქციეს, რომელმაც აწმყოსთან ერთად მომავალიც დაუნგრია და გაუცამტვერა. მოტყუებულსა და გაბითურებულ ერს საკუთარი თავისთვის თვითონვე გამოატანინეს განაჩენი. ერი თუნდაც ომში დამარცხდეს, თუკი სულიერად არ გატყდება, ერად რჩება; ხოლო ერი, რომელსაც მოატყუებენ, ხაფანგში გააბამენ და საკუთარი თავის წინააღმდეგ აღძრავენ, ერის თვისებას კარგავს.**



# ერი ვიყავით, ბრბოდ გვაქციეს...

## რეგვენთა პატრიოტიზმი და მძევლად აყვანილი საქართველო

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეთერთმეტე გამოშვება

**„ყველა ერი საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებს, ეს ბადებს პატრიოტიზმს და... ომებს“.**
**დეილ კარნეგი**

**ერი, ხალხი, ბრბო...**

**ერი ეთნიკური ნიშნით ერთობაა, ხალხი — სოციალური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ნიშნით. ბრბო დეგრადირებული მასაა, რომელიც ერისა და ხალხის ნიშნებს ებღაუჭება, მაგრამ ერთიც დაკარგული აქვს და მეორეც.**

**ოცდაათი წელიწადია, რაც ქართველი ხალხის დეგრადაცია მიმდინარეობს. სახე დავკარგეთ და ღირსება ზედ მივაყოლეთ. აღარც ფორმა შეგვრჩა და აღარც შინაარსი. როგორი გასაკვირიც უნდა გეჩვენოთ, პატრიოტიზმი (ნაციონალიზმი) აღმოჩნდა ის ხაფანგი, რომელშიც ორივე ფეხით გაგვაბეს...**

ყველაფერი იქამდე დაიწყო, ვიდრე ჩვენ გვგონია, რომ დაიწყო. გასული საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლები გაიხსენეთ — საბჭოთა პერიოდი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალური თანასწორობის იდეალების ეპოქა. საქართველოს ტელევიზია გადაცემებს **მერაბ ბერძენიშვილის** შთამბეჭდავი ძეგლის გამოსახულებით იწყებდა — „კიდევაც დაიზრდებიან“. ეს შესანიშნავი მონუმენტი, რომელიც მარნეულში 1975 წელს დაიდგა, დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი მეომრების ხსოვნას მიეძღვნა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ქანდაკება სცდება თუნდაც ისეთი ეპოქალური მნიშვნელობის თემატიკას, როგორიცაა დიდი სამამულო ომი, რომელსაც ასიათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა. იგი ზოგადისტორიული, ზოგადეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. **არამარტო დღეს, როდესაც დიდი სამამულო ომის, როგორც ისტორიული მოვლენის, არსი ისე შეცვლილია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის აღარც მოიხსენიება სახელით — დიდი სამამულო, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი ჯერ კიდევ წმინდა ომად იყო შერაცხული და მისი გმირების სადღეგრძელოს სუფრასთან განსაკუთრებული მოწიწებით წარმოთქვამდნენ, „კიდევაც დაიზრდებიან“ საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაცილებით უფრო ტევადი შინაარსის მატარებელი სიმბოლო იყო, ვიდრე რომელიმე ომი, გნებავთ — დიდი სამამულო, გნებავთ — დიდგორი და გნებავთ — ყველა ომი ერთად აღებული, რომელ ომებშიც ქართველებს სამშობლო მკერდით დაუცავთ.** ეს საქართველოს მარადიულობისადმი მიძღვნილი ძეგლია, რომელიც ავტორმა დიდი სამამულო ომის თემას კარგად მოარგო და გამარჯვების ოცდამეათე წლისთავის თარიღით მოხერხებულად შენიღბა...

საქართველოში ეს არავის გამოჰპარვია, პირიქით, საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, **ედუარდ შევარდნაძის** ხელმძღვანელობით, ძეგლის ავტორზე მეტად იყო დაინტერესებული ეროვნული იდეალების წინა პლანზე წამოწევით. **საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია, კომუნისტური იდეალების პროპაგანდის ნაცვლად, საქართველოს ეროვნული იდეალების პროპაგანდას ეწეოდა და სწორედ ამიტომ ატრიალებდა ამ შესანიშნავი ქანდაკების გამოსახულებას ქართველი ხალხის თვალწინ ყოველ ცისმარე დღეს.** ამ კონკრეტულ ფაქტს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ კარგი მაგალითია, თორემ მარტო ეს კი არ იყო. **საქართველოს ტელევიზია და რადიო სავსე იყო ეროვნული სულისკვეთების მქონე გადაცემებით, ნარკვევებით, ჟურნალებით, რეპორტაჟებით, რუბრიკებით, ტიხრებით და ა.შ. ვინც საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს გასული საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების საქმიანობას ამ თვალსაზრისით შეისწავლის, მრავალ საინტერესო ფაქტს იპოვის.** მე კი ამ საკითხზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდი, რომ დაგანახვოთ, როდიდან და რა მონდომებით აღვივებდნენ საბჭოთა საქართველოში პატრიოტიზმსა და ეროვნულ (ნაციონალურ) სულისკვეთებას. სხვა საკითხია, რატომ აკეთებდნენ ამას, სამშობლოს სიყვარულის გასაღვივებლად თუ ამ სიყვარულის სოციალისტურ იდეალებთან დასაპირისპირებლად და მისი იდეოლოგიური საფუძვლების შესარყევად. **საბჭოთა კავშირში ეროვნული ცნობიერების მიზანსწრაფულ გაღვივებას საბოტაჟით, ხელოვნურად შექმნილი დეფიციტითა და ცხოვრების სოციალისტური წესისთვის მიუღებელი მრავალი სხვა მოვლენით ავსებდნენ, რასაც**



**ხელოვნურად გამოჩეკილი ე.წ. დისიდენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა ემატებოდა, რითაც მთელი ეს „პატრიოტიზმი“ შესანიშნავად ორგანიზებულ ანტისაბჭოთა თაიგულად ყალიბდებოდა და ხალხში სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას აჩენდა.**

აუცილებლად გაჩნდება შეკითხვა: **კომუნისტები და მათი პროპაგანდის საშუალებები ეროვნულ სულისკვეთებას თუ აღვივებდნენ, მათ ამ ქცევას უარყოფითად რატომ აფასებ?** ქცევის შეფასებამდე ჯერ არ მივსულვარ, ჯერ ქცევის მოტივების ახსნას ვცდილობ, ვინაიდან ქცევის შეფასება შეუძლებელია ქცევის მამოძრავებელ მოტივში წვდომის გარეშე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო ქცევის აღმძრავი მოტივი — **ხალხში პატრიოტული შეგნების ამაღლება თუ ნაციონალისტური ვნებების გაღვივების გზით სოციალისტური სისტემის მიმართ გაუცხოვებისა და სიძულვილის გაჩენა?** განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ქართული პატრიოტიზმის გაღვივება მიზანს კი არ წარმოადგენდა, საშუალება იყო მხოლოდ. **მიზანი საბჭოთა კავშირის დაშლა და სოციალისტური სისტემის დანგრევა იყო, რომლის შედეგადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთისთვის ადვილად ჩასაყლაპ ლუკმად უნდა ქცეულიყვნენ.** აი, ეს იყო მთავარი. ამ ჭეშმარიტების გააზრების შემდეგ, რაშიც დღეს ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რა თქმა უნდა, ადვილია იმ შეფასების გაკეთება, რომ **„პატრიოტიზმი“, რომელსაც შევარდნაძე და მისი მსგავსნი თავიანთი პროპაგანდისტული მანქანისა და საბჭოთა დისიდენტების გამოყენებით რესპუბლიკებში ნერგავდნენ, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მონაპოვრის დასანგრევად მიმართული მამაძაღლური და ვერაგული ქმედება იყო, რომელსაც, სამშობლოს სიყვარული კი არა, დასავლეთის სპეცსამსახურებთან სამარცხვინო თანამშრომლობა ასაზრდოებდა.** კონკრეტულად საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ერის ბრბოდ ქცევის საშინელი პროცესი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ხელოვნურად თავსმოხვეული ეროვნული იდეალებით აღტყინება ხალხს საკუთარი არსისა და რაობის წინააღმდეგ მიმართულ იმ ქმედებად უქციეს, რომელმაც აწმყოსთან ერთად მომავალიც დაუნგრია და გაუცამტვერა. მოტყუებულსა და გაბითურებულ ერს საკუთარი თავისთვის თვითონვე გამოატანინეს განაჩენი. ერი თუნდაც ომში დამარცხდეს, თუკი სულიერად არ გატყდება, ერად რჩება, ხოლო ერი, რომელსაც მოატყუებენ, ხაფანგში გააბამენ და საკუთარი თავის წინააღმდეგ აღძრავენ, ერის თვისებას კარგავს...

იმ პერიოდში ქართველ ხალხს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა თუ დაუსახეს პატრიოტიზმად, დღეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას უსახავენ სამშობლოს სამსახურში დგომის ერთადერთ ნიშნად და საზომად. **იმხანად ვინმეს რომ ეთქვა, საბჭოთა კავშირის დაშლაში კი არა, მის გადარჩენაშია საქართველოს გადარჩენაო, წარმოიდგინეთ, ამის მთქმელი რა მასშტაბის მოღალატედ გამოცხადდებოდა. არადა, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო, არც საქართველო დაიშლებოდა და ეკონომიკური, კულტურული, მორალური, დემოგრაფიული თვალსაზრისითაც არ განადგურდებოდა, ყოველმხრივ დაცულ და განვითარებულ რესპუბლიკად დარჩებოდა.** დღესაც ასეა: ვინც ამბობს, რომ საქართველოს გადარჩენა რუსეთთან მტრობასა და დაპირისპირებაში კი არ არის, რუსეთთან საერთო ინტერესებისა და საერთო ენის გამონახვაშიაო, ის ითვლება კოლაბორაციონისტად, მოღალატედ, მტრად... სამაგიეროდ, ერის ღირსეულ შვილებად ჯიბეში ლაყეკვერცხებჩაწყობილი ის ბრბოა მიჩნეული, რომელსაც ტვინიც იმ კვერცხებივით აქვს გალაყებული და, ერთადერთი, რისი გაკეთებაც ევალება, უკიდეგანო აგრესიისა და სიძულვილის გადმონთხევაა მათ მიმართ, ვისკენაც მიუთითეს, დავალების მიმცემებმა თითი ვისკენაც გაიშვირეს. **შევარდნაძის ტელევიზია წვეთ-წვეთობით თუ აღვივებდა ანტისაბჭოთა ნაციონალიზმის ბაცილას, დღევანდელი ტელეარხებიდან ნიაღვრად მოედინება ანტირუსული და პროამერიკული განწყობილებების გამღვივებელი პროპაგანდა.** დააკვირდით: ტელეარხები ორ ბანაკად არიან გაყოფილი — პროსახელისუფლო და პროოპოზიციური, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ბოღმითა და გესლით არიან აღვსილნი, მაგრამ **შეხედეთ, რა ერთსულ და ერთხორც არიან ქცეულნი, როდესაც საქმე ანტირუსულ ისტერიკას ეხება.** ამიტომ ნუ წარმოიდგენთ, რომ მედიასაშუალებათა სახით საქმე ორ განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს. ეს ერთი მოვლენა და პროპაგანდის ერთი მიმართულებაა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მათ ერთმანეთი მოსწონთ თუ არ მოსწონთ, უყვართ თუ არ უყვართ, **ისინი ემსახურებიან ერთ საქმეს — ანტირუსული ისტერიკის გაღვივებასა და დასავლური ინტერესების ქართულ, ეროვნულ ინტერესებად წარმოჩენას.**

ანალოგიური მდგომარეობაა პოლიტიკურ სპექტრშიც. დააკვირდით ორ ნაწილად გაყოფილ პოლიტიკურ ბანაკებს. ისინი ერთნაირი მონდომებით გაჰყვირიან, რომ მეორე მხარეა რუსეთის ინტერესების გამტარებელი. ნაცები ამტკიცებენ, რომ ქოცები არიან პუტინისა და კრემლის აგენტები, ქოცების მტკიცებით კი, პირიქით — ნაცები წარმოადგენენ პრორუსულ ძალას, რომლებმაც რუსებს მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები, შემდეგ კი შეგნებულად და მიზანმიმართულად დაუთმეს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი. ჯიბეში ლაყეკვერცხებჩალაგებული ნახირიც დღედაღამ ტელეეკრანზეა გამოჩრილი და აღვირახსნილი ანტირუსული ისტერიკა აქვს გაჩაღებული, რომელიც შედეგის მიხედვით სულაც არ არის ანტირუსული, პირწმინდად ანტიქართული მოვლენაა, ვინაიდან რუსეთს ▶

**ვინც ამბობს, რომ საქართველოს გადარჩენა რუსეთთან მტრობასა და დაპირისპირებაში კი არ არის, რუსეთთან საერთო ინტერესებისა და საერთო ენის გამონახვაშიაო, ის ითვლება კოლაბორაციონისტად, მოღალატედ, მტრად... სამაგიეროდ, ერის ღირსეულ შვილებად ჯიბეში ლაყეკვერცხებჩაწყობილი ის ბრბოა მიჩნეული, რომელსაც ტვინიც იმ კვერცხებივით აქვს გალაყებული და, ერთადერთი, რისი გაკეთებაც ევალება, უკიდეგანო აგრესიისა და სიძულვილის გადმონთხევაა მათ მიმართ, ვისკენაც მიუთითეს, დავალების მიმცემებმა თითი ვისკენაც გაიშვირეს**

**რუსეთთან ინტერესების შეჯერებასა და ურთიერთობის მოწესრიგებაზე ფიქრის ნაცვლად, რომელიც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა, ქართველი რეგვენები ხან ვის დასდევენ ლაყე კვერცხებით და ხან — ვის. შემდეგ კი მთელი წელიწადი ტელეეკრანებიდან ბაქიბუქობენ, როგორ გააძევეს ჩვენი დაუძინებელი მტრები საქართველოდან. ძვირფასი დრო კი, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს, გადის, იფლანგება.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სანამ საქართველო ქოცებად და ნაცებად არის გაყოფილი; სანამ საქართველოში ქართულენოვანი ამერიკული ტელეარხები ბოგინებენ და წერა-კითხვის უცოდინარი ჟურნალისტები ქართულ ცნობიერებას წამლავენ; სანამ საქართველო რეგვენთა და პროვოკატორთა სათარეშოა; სანამ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გარედან თავსმოხვეული რუსოფობია ბატონობს; სანამ რეგვენი ქართველები ბნედიანებივით გაიძახიან ნატოსა და ევროკავშირის პერსპექტივაზე; სანამ საქართველოში ხალხის ხმა და ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი გასაქანს ვერ პოულობს, მანამდე საქართველო ვერც ტერიტორიულად გამთლიანდება, ვერც ეკონომიკურად წამოიმუხლებს, ვერც ზნეობრივად გაჯანსაღდება და საერთოდ ვერ გასწორდება წელში



ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში. მერაბ მერაბიშვილი

ვერაფერს აკლებს, გარდა იმისა, რომ საქართველოს დაშლა-დასუსტებისკენ მიმართული ქმედებებისკენ უბიძგებს, ვინაიდან მეზობელი სახელმწიფოდან ასე უარყოფითი განწყობისა და ქმედების ვითარებაში რუსეთი იძულებულია, დაიცვას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც აშშ და კოლექტიური დასავლეთი აშკარა ხელყოფით ემუქრება, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიიდანაც.

**საქართველოში აშშ-ის სპეცსამსახურებმა რეგვენი პატრიოტის იმგვარი სელექციური ჯიში გამოიყვანეს, რომელიც სიტყვით საქართველოს სიყვარულს ღაღადებს, საქმით კი დასავლეთის ინტერესებს ემსახურება. რეგვენი იმის გამო არის რეგვენი, რომ მას თეთრისა და შავის, კარგისა და ცუდის, ზნეობრივისა და უზნეოს გარჩევა უჭირს; რეგვენი იმადაც არის რეგვენი, რომ მან საკუთარ ინტერესებზე მაღლა სამშობლოს ინტერესების დაყენება არ იცის; რეგვნის რეგვნობა იმაშიც ვლინდება, რომ მას სხვისი მოსმენა, სხვისი აზრის გაგება და მიღება არ შეუძლია; რეგვენს რეგვნობა იმაზეც ეტყობა, რომ, აზროვნების ნაცვლად, აკვიატება და აჩემება ახასიათებს;** რეგვენი პერსპექტივაზე არასოდეს ფიქრობს, ყოველთვის იმწამიერი გამორჩენითაა დაინტერესებული. მოკლედ, არ არსებობს პატარა რეგვენი, ნებისმიერი რეგვენი დიდი, მასშტაბური, უკიდეგანო რეგვენია, თუმცა, ჩვენდა „საამაყოდ“ უნდა ითქვას, რომ ქართველი რეგვენი უფრო მონუმენტური, უფრო მძიმე და შთამბეჭდავი რეგვენია, ვიდრე სხვა რომელიმე რეგვენი. **ქართველ რეგვენთა კიდევ ერთი თავისებურება დემოკრატიულობაა. ვერსად ნახავთ იმგვარ დემოკრატ რეგვნებს, როგორსაც საქართველოში. დემოკრატიით გალიზიანებული და დემოკრატიითვე აღგზნებული ქართველი რეგვნები დემოკრატიულ, კოლექტიურ ორგაზმამდე მიდიან, როდესაც დემოკრატიასა და გამოხატვის უფლებას იცავენ, ოღონდ სხვისას არა, მხოლოდ საკუთარს.** სხვაგან არსად გამიგია ე.წ. კონტრაქციის ცნება. ეს პირწმინდად ქართული მოვლენაა. მაგალითად, ადამიანთა ჯგუფი იკრიბება რომელიღაც ღონისძიებაზე და ახდენს აზრთა შეჯერებას, აფუძნებს კანონით ნებადართულ რაღაც ორგანიზაციას, სახავს სამომავლო გეგმებს, გამოთქვამს სწორ თუ არასწორ, მისაღებ თუ მიუღებელ მოსაზრებებს, ან რაღაცას აპროტესტებს, ან რაღაცას ზეიმობს და ა.შ. ესაა დემოკრატია და ადამიანთა უფლებების რეალიზაცია. ამ დროს მოდიან ქართველი რეგვნები, რომლებიც გამოხატვის უფლების საბაბით თავს ესხმიან ამ ადამიანებს და იწყება ლაყე კვერცხების სროლა და ვაიუშველებელი. **ამას კონტრაქციას ეძახიან. გამოდის, რომ მათი აზრია ერთადერთი სწორი აზრი, რომ მათ აზრს აქვს არსებობის უფლება, სხვათა აზრს — არა. ასე იქცევიან დემოკრატიის უზურპატორი ეს რეგვნები, რომელთა უკან დასავლეთის სპეცსამსახურები, ფინანსური მაგნატები და ავანტიურისტული პოლიტიკური ჯგუფები დგანან. ქართული პატრიოტიზმი ასე გადაგვარდა რეგვენთა პატრიოტიზმად, დემოკრატია — რეგვენთა დემოკრატიად, თავისუფლება — რეგვენთა თავისუფლებად.**

ქართველი ხალხი ჩაიძირა ამ რეგვნულ პროვოკაციებსა და საქმის გარჩევებში, ქართველმა ერმა ამ გაუთავებელ ალიაქოთსა და აყალ-მაყალში, რეგვნების ამ გაუთავებელ მოსმენა-ყურებაში სახე დაკარგა და ბრბოდ ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესები დაიწყო... რა თქმა უნდა, **არსებობს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც ყოველივე ამის საწინააღმდეგოდაა განწყობილი, მაგრამ მათ არსად მიესვლებათ და ხმა არსად ამოღებათ, რადგან მათთვის ყველა კარი ჩარაზულია, ყველა სარკმელი და ჭუჭრუტანა დახშულია; ყველა დარბაზი, ყველა ტრიბუნა და ყველა მიკროფონი რეგვნებმა დაიპყრეს. რეგვნებმა და ნაძირალებმა, რომლებიც, ოცდაათი წელიწადია, თავზე დაგვასხდნენ, საქართველო მძევლად აიყვანეს და თავიანთ პირობებს გვკარნახობენ.**

2019 წლის 20 ივნისს საქართველოში უნდა ჩატარებულიყო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესია, სადაც მსოფლიოს ოცდახუთზე მეტი სახელმწიფოს პარლამენტებია გაერთიანებული, მათ შორის, ევროპის სახელმწიფოების, აშშ-ის და, რა თქმა უნდა, საქართველოსიც. რუსეთის დუმის წევრი **სერგეი გავრილოვი** 2018 წლიდან ამ ორგანიზაციის პრეზიდენტადაა არჩეული. 2019 წელს ასამბლეის მორიგი სესიის ჩატარების ადგილად თბილისი იქნა შერჩეული, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით და მისი მოწვევით. სხვაგვარად ვერ მოხდებოდა. საქართველოს ხელისუფლებამ ასამბლეას სამუშაო ადგილად პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზი შეურჩია (აბა, სტუმრები ხომ არ შეარჩევდნენ?!). დარბაზში, სადაც სესია უნდა გამართულიყო, ასამბლეის წევრები ისე დასხდნენ, როგორც ამას დარბაზის სპეციფიკა და განლაგება მოითხოვდა: ასამბლეის ხელმძღვანელები — პრეზიდიუმში, წევრები — დარბაზში (აბა, დარბაზს ხომ არ გადააკეთებდნენ?!). ორგანიზაციის პრეზიდენტი და სესიის წამყვანი ბუნებრივად ჩაჯდა იმ სავარძელში, რომელიც ცენტრში დგას და, რომლიდანაც პარლამენტის თავმჯდომარე სხდომებს უძღვება მაშინ, როდესაც იმ დარბაზში პარლამენტი მუშაობს. არაფერი უცნაური და არაჩვეულებრივი არ მომხდარა. **ყველაფერი ლოგიკურად და ბუნებრივად მიმდინარეობდა. დარბაზი რაკი დაუთმეს, ის ადამიანები (მართლმადიდებლები) დარბაზს გამოიყენებდნენ, სესიას ჩაატარებდნენ და წავიდოდნენ.** თუკი საქართველოში არსებობს კანონი ან წესი (პირადად მე ამ კანონისა და წესის შესახებ არაფერი მსმენია), რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზი პარლამენტის სხდომების გარდა სხვა ღონისძიებებს არ უნდა დაეთმოს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ, თუკი ასეთი კანონი არსებობს, მაშინ რატომ დაუთმეს დარბაზი სხვა ორგანიზაციას? ხოლო ასეთი კანონი თუ არ არსებობს, ის ორგანიზაცია რა შუაშია, რომელსაც დარბაზის გამოყენების უფლება ოფიციალურად მისცეს?! **პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი როგორ ჩაჯდაო, რომ გაჰყვირი, რეგვენი და პროვოკატორი თუ არ ხარ, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი წმინდა სავარძლად არის გამოცხადებული თუ რა, რომ იქ სხვა პირის ჩაჯდომა ეროვნულ სიწმინდესა და ღირსებას გვილახავდეს?! პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი ბაგრატ მესამის სავარძელია, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის თუ რომელიმე პატრიარქის, რომ მის გამო ყელში დანა გამოისვით და ვენები გადაიხსენით?!** გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას ხომ არ ჩამჯდარა, მართლმადიდებელთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის მიმდინარეობის პროცესში ჩაჯდა, როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი და სხდომის წამყვანი. შესაბამისად, იგი ამ ასამბლეის პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა და არა — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში. იმ სესიაზე პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, ბ-ნი კობახიძე დარბაზში რომ შესულიყო და თავმჯდომარის სავარძელში ჩამჯდარიყო, ეს იქნებოდა პროტოკოლის დარღვევა და არა ის, რომ მართლმადიდებელთა ასამბლეის სესიის მსვლელობისას იმ სავარძელში გავრილოვი იჯდა. მართლაც **უკიდეგანო რეგვენი თუ არაა ადამიანი, ამდენს კი უნდა ხვდებოდეს, მაგრამ ესენი ვერ ხვდებიან, რადგან რეგვნობასთან ერთად უკიდეგანო პროვოკატორებიც არიან. მათი სირეგვნისა და პროვოკატორობის, მათი სიბინძურისა და ყოვლისმკადრებლობის შედეგი იყო ის არეულობა და პარლამენტში შეჭრის მცდელობა, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოჰყოლოდა. ამას ხომ მთელი საქართველო ღია ეთერში უყურებდა? სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში ერთხელ უკვე მოსული სააკაშვილი ამავე გზით მოსვლას მეორედ გეგმავდა. რა არის აქ გაუგებარი? რა, არ შეჭრილა პარლამენტში და არ აულია ხელისუფლება?! ვინც იმას ვერ ხვდება, რას გეგმავდა სააკაშვილი, რეგვენია, აბა, რა არის, ხოლო ვინც ხვდება, რაც იგეგმებოდა, და მაინც სააკაშვილს უჭერს მხარს, ბინძურია, აბა რა არის?!**

ჩამოვიდა **პოზნერი** საქართველოში და ატეხეს ერთი ამბავი. ჩემთვის პოზნერი მიუღებელი პიროვნებაა იმიტომ, რომ არათანმიმდევრული მსოფლმხედველობის კაცია, ხან საბჭოთა პროპაგანდისტია, ხან — ამერიკის, ხან — რუსეთის. პრინციპები არ გაჩნია და ამ რეგვნებივით მედროვეა. ერთი სიტყვით, არ არის ეს პოზნერი კარგი კაცი, მაგრამ **ქართველი რეგვნებისთვის რატომაა პოზნერი მიუღებელი? თურმე, ნუ იტყვით, პოზნერს ოდესღაც აზრი გამოუთქვამს, რომ საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალს ვერასოდეს დაიბრუნებსო. მერე სად ხედავთ აქ დანაშაულს?** ასე ფიქრობს კაცი და თქვა ის, რასაც ფიქრობს. აბა, რა ექნა, ჯერ ის გაერკვია, რეგვენ ქართველებს რა მოეწონებათო და იმის მიხედვით ეთქვა ის, რასაც სინამდვილეში არ ფიქრობდა?! მეც დაახლოებით პოზნერივით ვფიქრობ და მაინტერესებს, რას მიზამთ. კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ, **სანამ საქართველო ქოცებად და ნაცებად არის გაყოფილი; სანამ საქართველოში ქართულენოვანი ამერიკული ტელეარხები ბოგინებენ და წერა-კითხვის უცოდინარი ჟურნალისტები ქართულ ცნობიერებას წამლავენ; სანამ საქართველო რეგვენთა და პროვოკატორთა სათარეშოა; სანამ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გარედან თავსმოხვეული რუსოფობია ბატონობს; სანამ რეგვენი ქართველები ბნედიანებივით გაიძახიან ნატოსა და ევროკავშირის პერსპექტივაზე; სანამ საქართველოში ხალხის ხმა და ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი გასაქანს ვერ პოულობს, მანამდე საქართველო ვერც ტერიტორიულად გამთლიანდება, ვერც ეკონომიკურად წამოიმუხლებს, ვერც ზნეობრივად გაჯანსაღდება და საერთოდ ვერ გასწორდება წელში.** აჰა, ასე ვფიქრობ, ასე ვარ დარწმუნებული, ასეთია ჩემი არგუმენტები. მოდით ახლა და მესროლეთ ტალახი, ორივე მხარის რეგვენებო და მედროვენო. ხალხის დიდმა ნაწილმა იცის (ალბათ, თქვენც გრძნობთ), ვის ესვრის ტალახს და ვის დამარხავს ისტორია ნაგავში, მაგრამ თქვენ ეს არ გადარდებთ, თქვენ მხოლოდ იმის დარდი გაქვთ, კუჭი რასაც გკარნახობთ, მაგ კუჭითა და კუჭს მიბმული ორგანოებით „მოაზროვნეებო“!

რუსეთთან ინტერესების შეჯერებასა და ურთიერთობის მოწესრიგებაზე ფიქრის ნაცვლად, რაც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა, ქართველი რეგვნები ხან ვის დასდევენ ლაყე კვერცხებით და ხან — ვის. შემდეგ კი მთელი წელიწადი ტელეეკრანებიდან ბაქიბუქობენ, როგორ გააძევეს ჩვენი დაუძინებელი მტრები საქართველოდან. ძვირფასი დრო კი, რომელიც ჩვენ სასარგებლოდ არ მუშაობს, გადის, იფლანგება.

ქართველი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ დასავლეთმა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ გონიერ თაობას ყველა მიმართულებით გზა ჩაუკეტა, ხოლო ნაციონალიზმის ბაცილით დასნებოვნებულ რეგვნებს ყველა გზა გაუხსნა. მათაც არ დააყოვნეს, საქართველო მძევლად აიყვანეს და მის განთავისუფლებას ცოცხალი თავით არ აპირებენ.

**ვალერი კვარაცხელია**



**P.S.** რეგვენმა პატრიოტებმა, რომლებიც პოზნერს ლაყე კვერცხებით დასდევდნენ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ალექსანდრე გრიბოედოვის დიდებული ძეგლი (ავტორი — აკადემიკოსი მერაბ მერაბიშვილი) ანტირუსული წარწერებით ააჭრელეს და შეურაცხყვეს.

იდგა ქართველთა სიძე, მშვენიერი ნინო ჭავჭავაძის მეუღლე, კლასიკოსი მწერალი და თავის ბრწყინვალე ნაწარმოებში — „ვაი ჭკუისაგან“ ორი საუკუნის წინ ნათქვამ წინადადებას გულდამძიმებული იმეორებდა: Чтоб истребил Господь нечистый этот дух пустого, рабского, слепого подражанья...

**ვ. კ.**

გუშინ და დღეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ანტიეროვნულ“ საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის ინსტიტუტები ეყოფოდა თავისი უნიკალური პროდუქტიულობის დასამტკიცებლად. და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ შეუძლია ვილაცას ღვარძლი გადმოანთხიოს და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება შეადაროს, ერთი მხრივ, ქართული ეროვნული სიმდიდრის გამტაცებელსა და გამყიდველ პირველ „დემოკრატიულ“ მთავრობას, ხოლო, მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა ანტიხალხურ ხელისუფლებებს, რომლებმაც ბარბაროსულად გაანადგურეს საბჭოთა პერიოდის მიერ შექმნილი გიგანტური მატერიალური და სულიერი სიმდიდრე.**

# ზოგიერთი რამ შესადარებლად — დემოკრატიული «აღმშენებლობა» თუ საბჭოთა აღმშენებლობა?





**ყველასთვის ცნობილია ომისშემდგომი ყოველწლიური ხელფასების მატება და პარალელურად ფასების კლება ფართო მოხმარების საგნებზე, ხდებოდა ფასების გეგმაზომიერი შემცირება მოსახლეობისთვის ყველაზე საჭირო მასობრივი მოხმარების საგნებზე. მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ასიგნებები პენსიაზე, უფასო სამედიცინო მომსახურებაზე, სანატორიუმებსა თუ დასასვენებელ სახლებში ხალხის უფასო დასვენება-რეაბილიტაციაზე, საბავშვო დაწესებულებებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე და მარტოხელა დედებზე, სტიპენდიებზე და ა.შ.**

## ციფრები

**ყოველგვარი შესავლის გარეშე მივადგეთ პირდაპირ ციფრებს.**

**საბჭოთა ხელისუფლებამ, დიახ, 100 წლის წინათ მე-11 არმიის დახმარებით დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს დაუტოვა:**

*** მოსახლეობა — 5,4 მლნ;**
*** ტერიტორია — 69,5 ათასი კვ. მ;**
*** სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 72,2 წელი;**
*** ყოველ ათას კაცზე შესაბამისად: შობადობა — 16,6; სიკვდილიანობა — 8,6, მატება — 8,1.**

* **შრომითი რესურსები — 3,1 მლნ კაცი.** სახალხო მეურნეობაში სულ მუშაობდა 2 მლნ 172 ათასი; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 242 ათასი; კოოპერატივებში — 130 ათასი; სტიპენდიანტები იყვნენ 107,3 ათასი; პენსიონერები — 740,400 ათასი; უმუშევრობის ხსენებაც არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი შრომითი რესურსები, 3,1 მილიონი ადამიანი, აქ, საქართველოში, იყო დასაქმებული და არა ემიგრაციაში გადახვეწილი.

*** 1989 წლისთვის საქართველოში საშუალო-თვიური ხელფასი შეადგენდა:**

სახალხო მეურნეობაში (როგორც ახლა ამბობენ, ეკონომიკაში) — **200** საბჭოთა მანეთს, ხოლო საზოგადოებრივი ფონდების გათვალისწინებით — **280** საბჭოთა მანეთს; მათ შორის: მრეწველობაში — **228** მანეთს; მშენებლობაზე — **324** მანეთს; სოფლის მეურნეობაში — **161** მანეთს.

* 777 კოლმეურნეობასა და 627 საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა 24 000 ტრაქტორი, 2035 მარცვლეულის ამღები კომბაინი; 28 700 სატვირთო ავტომობილი.

*** 1989 წლისთვის საბჭოთა საქართველო აწარმოებდა სამრეწველო პროდუქციის შემდეგ ძირითად სახეობას:**

15,8 მილიარდ კვტ.სთ ელექტროენერგიას; 2 მლნ 779 ათას ტონა მარგანეცის მადანს (სასაქონლო); 26,5 მილიონი მეტრ ფოლადის მილს; 185 ათას ტონა ნავთობს; 55,1 მლნ მ3 თანმხვედრ აირს; 1 მილონ 152 ათას ტონა ქვანახშირს; 1 მლნ 429 ათას ტონა ფოლადს; 1 მლნ 189 ათას ტონა ლითონის ნაგლინს; 1 ათას 987 ცალ ლითონმჭრელ ჩარხს; 674 ათას ცალ მცირე სიმძლავრის ელექტროძრავს (ავტომატიზაციისა და მექანიზაციისთვის); 13 ერთეულ მაგისტრალურ ელექტრომავალს; 21,4 ათას სატვირთო ავტომობილს; 19 ათას ელექტროშემდუღებელ მოწყობილობას; 40, 8 ათას ცალ ამწის ძრავას; 600 კოშკურა ამწეს; 38,8 ათას ტონა ქაღალდს; 35,4 მლნ ფილა აზბესტცემენტის ფურცელს; 1 მლნ 767 ათას მ3 რკინაბეტონის ასაკრებ კონსტრუქციას; 155 ათას ტონა მინერალურ სასუქებს; 63,2 ათას ცალ ფერად ტელევიზორს; 31,8 მლნ წყვილ წინდას; 57,7 მლნ ცალ ტრიკოტაჟის ნაწარმს; 17,9 მლნ წყვილ ფეხსაცმელს; 301 მლნ ცალ აგურს (სამშენებლო); 1 მლნ 530 ათას ტონა ცემენტს;

*** 1989 წლისთვის საბჭოთა საქართველო აწარმოებდა აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის შემდეგ ძირითად სახეობას:**

714,2 ათას ტონა მარცვლეულს; 51,2 ათას ტონა შაქრის ჭარხალს (საფაბრიკო); 16,9 ათას ტონა მზესუმზირას; 360 ათას ტონა კარტოფილს; 640 ათას ტონა ბოსტნეულს; 636,5 ათას ტონა ხილ-კენკროვანებს; 620,7 ათას ტონა ყურძენს; 379,4 ათას ტონა ციტრუსს; 458,3 ათას ტონა ჩაის ფოთოლს; 113,3 ათას ტონა დაფასოებულ ჩაის; 173,2 ათას ტონა ხორცს სამრეწველო დამუშავებით; 36,6 ათას ტონა ძეხვეულს; 739,4 ათას ტონა რძეს; 891,4 მლნ ცალ კვერცხს; 5,8 ათას ტონა მატყლს (ფიზიკური წონით); ცხოველური წარმოების 1 ათას 121 ტონა ზეთს; მცენარეული წარმოების 113,8 ათას ტონა ზეთს; 920,4 მლნ პირობით ქილა კონსერვს; 38,9 ათას ტონა შაქრის ფხვნილს; 853,8 ათას ტონა ფქვილს; 325,5 მლნ ლიტრ მინერალურ წყალს; 610,3 მლნ მ3 სასმელ წყალს. და ეს არის მხოლოდ ნაწილი პროდუქციისა, რასაც საბჭოთა საქართველო აწარმოებდა, რის შესახებაც მონაცემებს მიაგნო და თავი მოუყარა ერთმა დიდებულმა ადამიანმა (ციფრები მოყვანილია **პანტელეიმონ გიორგაძის** ბროშურიდან: „საანგარიშო მოხსენება ყრილობას“; 10.09.2003 წ.).

*** 1989 წლის შემდეგი მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია, წარმოდგენა შეგვექმნას მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში მოიხმარებოდა:** ხორცი და ხორცის პროდუქტები — 49 კგ; რძე და რძის პროდუქტები — 330 კგ; შაქარი — 47,6 კგ; კარტოფილი — 49 კგ; ბოსტნეული და ბახჩეული — 94 კგ; პურპროდუქტები — 185 კგ. შემნახველი ბანკის 1164 ფილიალში იყო მოსახლეობის 3 მლნ 211 ათასი ანაბარი 7 მილიარდ საბჭოთა მანეთზე. ხალხის სამსახურში იყო 4964 ბიბლიოთეკა, 2425 — კლუბი, 120 — მუზეუმი, 33 — პროფესიული თეატრი და ა.შ. **თავი რომ დავანებოთ სოციალურ უთანასწორობას, რომელიც თან მოჰყვა ანტისაბჭოთა გადატრიალებას, სოციალისტური სისტემის პირობებში და დღევანდელი ოლიგარქიული სისტემის პირობებში ეკონომიკური განვითარების ტემპების შედარებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ პირველის უპირობო უპირატესობაში.** ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც შევძელით და მოვიძიეთ. ამასთანავე, ეს მაგალითები აღწერს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების ყველაზე მძიმე პერიოდებს, რათა ეჭვიც არ დავტოვოთ სტატიის სათაურში გამოტანილი კითხვის ჩვენეული პასუხის მართებულობაში.

## 1921-1941 წლები

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ 20 წელიწადში საქართველო გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით. ამ მოკლე პერიოდში, რაც მესამედით ნაკლებია პოსტსაბჭოთა 30-წლიან პერიოდზე, საქართველომ გიგანტური ნაბიჯი გადადგა განვითარების გზაზე. მრეწველობის განვითარების ტემპები საერთო საკავშიროზე მაღალი იყო. მაგალითად, თუ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საკავშირო მაჩვენებელმა 1940 წელს 10-ჯერ მოიმატა 1913 წელთან შედარებით, საქართველოში იმავე მაჩვენებელმა მოიმატა 27-ჯერ! **20 წელიწადში საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული 315 ახალი სამრეწველო საწარმო; შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობთა წარმოება, ცემენტის, საღებავების, ეთერზეთების, საკონსერვო, ჩაის, შამპანური ღვინის, ქაღალდის, შაქრის, ქიმიურ-ფარმაცევტიული პრეპარატების და სხვა წარმოება. მუდმივად ვითარდებოდა მსუბუქი, ტექსტილის, კვების, ხის გადამამუშავებელი და ადგილობრივი მრეწველობა. 1941 წელს ტექსტილისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 18-ჯერ აღემატებოდა 1928 წლის მაჩვენებელს. 1940 წლისთვის საქართველო საბჭოთა კავშირში გახდა ჩაის, ციტრუსებისა და ეთერზეთების ძირითადი მიმწოდებელი.**

* საქართველოს მოსახლეობამ 2,4 მლნ-დან (1921 წ) მოიმატა 3,5 მლნ-მდე, ე.ი., 18 წელიწადში, 1939 წლისათვის, გახდა მილიონით მეტი!

## ომის შემდგომ

დიდმა სამამულო ომმა უკან დასწია სსრკ-ის ეკონომიკა. მაგალითად, 1945 წელს საქართველოს მრეწველობის მთლიანი შიდა პროდუქტი მეხუთედით შემცირდა 1940 წელთან შედარებით. მობილიზაციურმა ეკონომიკამ, გათვლილმა ომის საჭიროებისთვის, სერიოზულად შეაფერხა სოფლის მეურნეობის განვითარებაც. შესუსტდა მისი ტექნიკური აღჭურვის დონე და ა.შ. ომმა შეამცირა მუშაკთა რაოდენობა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. მიუხედავად ამისა, ომის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის აღდგენამ და მისმა განვითარებამ გასაოცარ ტემპებს მიაღწიეს. ჯერ კიდევ ომის პერიოდში, **1944 წლის ზაფხულიდან, დაიწყო ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადება საქართველოს მძიმე მრეწველობის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, წვევამდელი ასაკის 5 ათასი ახალგაზრდის მობილიზაცია მოხდა არა ფრონტისთვის, არამედ მშენებარე რუსთავის მეტალურგიული ქარხნისთვის! მათგან 3 ათასი გაიგზავნა სსრკ-ის შავი მეტალურგიის 16 საწარმოში, ხოლო 2 ათასი — საქართველოს სხვადასხვა მონათესავე საწარმოში საწარმოო მომზადების მიზნით. ქუთაისის ავტოქარხნის კიდევ 3 ათასმა ახალგაზრდა თანამშრომელმა მომზადება გაიარა სსრკ-ის მანქანათმშენებლობის სამინისტროს თბილისისა და სსრკ-ის სხვა ტრიკოტაჟის კომბინატებში.**

მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მზადდებოდა საქართველოს უმაღლეს თუ ტექნიკურ სასწავლებლებშიც. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა მეტალურგიის ფაკულტეტი, ქუთაისში — საავტომობილო ტექნიკუმი, სპის ფილიალები გაიხსნა ქუთაისსა და რუსთავში. ქართული წარმოება სამხედრო რელსებიდან სამოქალაქო დანიშნულებას უმოკლეს დროში დაუბრუნდა — 1946 წელს. ამუშავდა არა მხოლოდ ომამდელი, არამედ ახალი ტექნოლოგიური ხაზებიც.

**1946-50 წლების რიგით მე-4 ხუთწლედის (პირველი სამი ხუთწლედი ომამდელ, ლეგენდარული ინდუსტრიალიზაციის პერიოდს ეკუთვნის) შედეგად საქართველოს მრეწველობამ არათუ აღადგინა წარმოების ომამდელი სტრუქტურა, არამედ ამოქმედდა ახალი დარგები — მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის. ყველაზე მსხვილი ახალი წარმოებებიდან, რომლებიც შეემატა ამ წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობას, აღსანიშნავია: რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი, ხრამჰესი და ჭიათურის გამამდიდრებელი ფაბრიკა.**

ამ ხუთწლედში კიდევ უფრო განმტკიცდა ეკონომიკის ენერგეტიკული ბაზა, აგრეთვე, განხორციელდა ისეთი პროექტები, როგორიცაა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, ძველი სარწყავი სისტემების აღდგენა აღმოსავლეთ საქართველოში, კოლხეთის ჭაობის ამოშრობის სამუშაოების განახლება და სხვ. სწორედ ომისშემდგომ წლებში აღდგა და გაფართოვდა: სკრაქარელის, სალთვისის, კეხვის, დოესი-გრაკალის, ალაზნისა და სხვა საირიგაციო სისტემები. ექსპლუატაციაში შევიდა დამატებით 29 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. **1951 წელს ზემო სამგორის მაგისტრალური სარწყავი არხის ექსპლუატაციაში შესვლამ თბილისის გარშემო არსებული 20 ათასი ჰექტარი მიწა შეიყვანა სასოფლო-სამეურნეო სარგებლობაში! იორის მაცოცხლებელი წყლით აივსო თბილისის წყალსაცავი.**

**20 წელიწადში საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული 315 ახალი სამრეწველო საწარმო. შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობთა წარმოება, ცემენტის, სალებავების, ეთერზეთების, საკონსერვო, ჩაის, შამპანური ღვინის, ქაღალდის, შაქრის, ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატებისა და სხვა წარმოება. მუდმივად ვითარდებოდა მსუბუქი, კვების, ხის გადამამუშავებელი და ადგილობრივი მრეწველობა. 1940 წლისთვის საქართველო საბჭოთა კავშირში გახდა ჩაის, ციტრუსებისა და ეთერზეთების ძირითადი მიმწოდებელი.**

გუშინ და დღეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოკლედ, საქართველოს ეკონომიკის მოცულობამ დამანგრეველი ომის შემდეგ, სულ რაღაც, 3-4 წელიწადში გადააჭარბა ომამდელ დონეს. კერძოდ, ქართული სამრეწველო წარმოების მთლიანმა მოცულობამ 1948 წელს 1940 წლის მოცულობას 29,5 %-ით, თითქმის მესამედით გადააჭარბა. კიდევ ორ წელიწადში, 1950 წელს ქართული სამრეწველო წარმოების მთლიანმა მოცულობამ ომამდელი მოცულობის 156 პროცენტი შეადგინა. **ომისშემდგომი აღმშენებლობის წლების წყალობით თანამედროვე სახე მიიღო ქალაქებმა: თბილისმა, ქუთაისმა, სოხუმმა, ბათუმმა, წყალტუბომ, ცხინვალმა, გორმა, ფოთმა, თელავმა და სხვა ქალაქებმა, რომლებშიც ფართოდ გაიშალა ქალაქმშენებლობითი სამუშაოები. 1946-50 წლებში აშენდა და საქართველოს მოსახლეობას უფასოდ გადაეცა 1 მილიონ 141 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.**

ომის დასრულებიდან მე-5 წელიწადს საქართველოს მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა, რადგან მკვეთრად გაუმჯობესდა მისი მატერიალური მდგომარეობა. ახლა უკვე **ყველასთვის ცნობილია ომისშემდგომი ყოველწლიური ხელფასების მატება და პარალელურად ფასების კლება ფართო მოხმარების საგნებზე. ხდებოდა ფასების გეგმაზომიერი შემცირება მოსახლეობისათვის ყველაზე საჭირო მასობრივი მოხმარების საგნებზე. მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ასიგნებები პენსიაზე, უფასო სამედიცინო მომსახურებაზე, სანატორიუმებსა თუ დასასვენებელ სახლებში ხალხის უფასო დასვენება-რეაბილიტაციაზე, საბავშვო დაწესებულებებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე და მარტოხელა დედებზე, სტიპენდიებზე და ა.შ.**

## ზოგი რამ ციფრების გარეშე

უფასო მედიცინა სახელმწიფო სისტემაში არსებული საავადმყოფოებით, პოლიკლინიკებით, სამედიცინო პუნქტებით ყველა დასახლებულ პუნქტში, სახელმწიფო ფარმაცევტული წარმოებითა და სახელმწიფო სააფთიაქო ქსელით, სადაც უფასოდ იძლეოდნენ წამლებს ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე; უფასო სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლება; სტიპენდიები და უფასო საცხოვრებელი ფონდი სტუდენტებისათვის, უფასო ბინები დამსახურებისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, ათასგვარი შეღავათიანი და უფასო სარეაბილიტაციო-სამედიცინო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა, მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის უფასო კერები და ა.შ. — ყველაფერი ეს სოციალისტური სისტემის მიერ უმოკლეს ისტორიულ ვადებში შექმნილი სიმდიდრე იყო. დღეს ფართოდ გავრცელებულ ხუმრობას, — რა ცუდი ხალხი ყოფილან კომუნისტები, კომუნიზმში ვცხოვრობდით და გვიმალავდნენო, — თავისი საფუძველი აქვს. საბჭოთა საქართველოში შექმნილი იყო კომუნიზმის საწყისები, სიუხვის საზოგადოება. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ქართველი ხალხის კიდევ ერთი უნიკალურ მიღწევა. **საბჭოთა საქართველოში შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო პოტენციალი. თავი რომ დავანებოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს, სოხუმის, ქუთაისისა თუ ბათუმის უძლიერეს ინსტიტუტებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პოტენციალით ნებისმიერი თანამედროვე განვითარებული ქვეყანა დაიკვეხნიდა.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაარსდა 1941 წელს, როცა ომის გარდუვალობის შესახებ საბჭოთა მთავრობამ კარგად იცოდა. მეცნიერებათა აკადემიის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. აკადემიის დამფუძნებელი წევრები იყვნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები: **გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარას კვარაცხელია, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე.**



**საბჭოთა საქართველოში შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო პოტენციალი. თავი რომ დავანებოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს, სოხუმის, ქუთაისისა თუ ბათუმის უძლიერეს ინსტიტუტებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პოტენციალით ნებისმიერი თანამედროვე განვითარებული ქვეყანა დაიკვეხნიდა**

უკვე რაღაც ორ ათეულ წელიწადში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში წარმოდგენილი იყო თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი. მეცნიერებისათვის მოკლე ვადებში მეცნიერებათა აკადემიამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია თანამედროვე მათემატიკისა და მექანიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ცოდნის სხვა დარგებში. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი კურატორობდა 70-ზე მეტ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს(!), მათ შორის მსოფლიოში სახელგანთქმულ ინსტიტუტებს.

**საბჭოთა საქართველოს ეს ეპოქალური მიღწევა — მეცნიერებათა აკადემიის უნიკალური სისტემა — ბარბაროსულად დაანგრიეს „დემოკრატიულმა“ ხელისუფლებებმა, როგორც უვარგისი „საბჭოთა გადმონაშთი“. 2005 წელს ჩატარდა რეფორმა, რომლის შედეგად მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან 70-მდე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გამოიყვანეს; ჯერ განათლების სამინისტროს დაუქვემდებარეს, შემდეგ კი უნივერსიტეტებს შეუერთეს.**

## ვისთვის და რატომ იწარმოებოდა?

სოციალიზმის მთავარი აზრი, მისი შინაარსი გეგმაშეწონილობაშია. გარკვეული პოლიტიკური დატვირთვის გეგმაშეწონილობა მთელი საზოგადოების მასშტაბით — აი, რა განასხვავებდა თავიდანვე სოციალისტურ საზოგადოებას მისი წინამორბედი კაპიტალისტურისგან. „გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვაში“ იგულისხმება მშრომელთა ინტერესების შესაბამისი გეგმაშეწონილობა. **გეგმაშეწონილობა მთელი საზოგადოების მასშტაბით, ანუ საზოგადოებრივი მოძრაობის წარმართვა გეგმის მიხედვით არის სოციალიზმის მთავარი უპირატესობა. ეკონომიკის მოწყობა ერთიანი გეგმის მიხედვით, დარგობრივი სტრუქტურისა და თანაფარდობის მეცნიერული განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივის გათვალისწინებით** — სწორედ ეს იყო საბჭოთა საქართველოს წარმატებული ეკონომიკური და სოციალური წინსვლის საიდუმლო. კაპიტალისტური დაგეგმვა არ იძლევა ასეთი წარმატების საშუალებას თავისი ბუნებიდან გამომდინარე, რადგან დაგეგმვის მიზანი აქ გასაშუალებულია ბიზნესის ინტერესებით — ბიზნესის ინტერესები ეჩხირება საქმეში. ამიტომ, როცა ვამბობთ, რომ ბიზნესის ინტერესებისგან უნდა გავთავისუფლდეთ, ამას უარყოფითი ემოციები არ გვალაპარაკებს. ბიზნესის ინტერესები, უმსხვილესი საბანკო ოლიგარქია უკუსაგდებია არ მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალურ უსამართლობას იწვევს, არამედ იმიტომაც, რომ ის ობიექტურად ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას. მეტად მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ მთელი ეს პროდუქცია იწარმოებოდა საერთო-სახალხო საკუთრებაში არსებული საწარმოო სიმძლავრეებით. შესაბამისად, პროდუქციაც იყო საერთოსახალხო და არა კერძო. **საზოგადოებრივი წარმოებისა და კვლავწარმოების ყველა ეტაპი იყო გამჭვირვალე: წარმოებაც, განაწილებაც, გაცვლაც და მოხმარებაც (დღეს არათუ კერძო სფეროს ნაწილია ბურუსით მოცული, რაც თითქოს ლეგიტიმურია კაპიტალისტური სისტემისათვის, არამედ ისეთი სფეროც კი, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის გახარჯვა-რეალიზაცია). ე.ი., ფინანსური რესურსები თუ სხვა ხასიათის შედეგები, წარმოქმნილი წარმოების სფეროს მიერ, იმართებოდა არა ბიზნესის მიერ ბიზნესისვე ინტერესების შესაბამისად, არამედ საზოგადოების მიერ საზოგადოებისვე ინტერესების შესაბამისად. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: იმართებოდა მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით ერთიანი სახელმწიფო გეგმის, ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად.**

საბჭოთა საქართველო წარმატებით ახორციელებდა სოციალური პოლიტიკის მთავარ მიზანს — მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მუდმივ გაუმჯობესებას და სულიერი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას. **აქ შეუძლებელია, არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მეტად ბრიყვულ და თავხედურ თეზისს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა სოციალისტური სისტემა „მატერიალისტურ“, „ცხოველურ“ ინტერესებს ემსახურებოდა და ფეხქვეშ თელავდა „სულიერ“ მხარეს.** ბრალდებას დღემდე ამართლებენ იმით, რომ საბჭოთა სოციალისტური სისტემა ეყრდნობოდა მარქსიზმს, მაშასადამე, მატერიალიმზსა და ათეიზმს! უნდა შეგეკითხოთ თქვენ, ვინც ამ სიბრიყვეს აგრესიულადაც კი აჰყევით მაშინ: **რატომ ვერ შეუშალა ხელი მარქსიზმმა, მატერიალიზმმა და ათეიზმმა იმ სისტემას, შეექმნა უაღრესად მაღალკულტურული და მაღალმორალური საზოგადოება? საწინააღმდეგოდ ამისა, საბჭოთა სოციალისტური სისტემისაგან თავისუფალი დღევანდელი საზოგადოება ღრუტუნით რატომ განაობს ამორალურობისა და უკულტურობის წუმპეში?**

სამწუხაროდ, 1980-იანი წლების ბოლოს ანტისოციალისტური გადატრიალების შედეგად შეიცვალა ხელისუფლების ხასიათი, სოციალისტური კონსტიტუცია და კანონმდებლობა. და რაკი სოციალისტური წესრიგი შეიცვალა კაპიტალისტურით, საზოგადოების ინტერესს, როგორც მთავარ ინტერესს, ჩაენაცვლა ბიზნესის ინტერესი. ამ მომენტიდან ახალწამოჩიტული და მუდმივად მზარდი ბიზნესი სულ უფრო მტკიცედ ეუფლება ეკონომიკასა და სოციალურ სისტემას ჯანდაცვის სისტემის ჩათვლით და მართავს მას თავისი ინტერესების შესაბამისად. მხოლოდ ასე — მხოლოდ ბიზნესის ინტერესის გავლით ხდება საზოგადოების (მშრომელთა) ინტერესების რეალიზაცია, რომელიც წარმოშობს გადაუჭრელ წინააღმდეგობას, რომლის დაძლევაც მხოლოდ დღევანდელი სისტემის „მოხსნითაა“ შესაძლებელი! ასე გაეხსნა გზა დღევანდელ ლიბერალურ წესრიგს. **დიახ, შევარდნაძის მიერ საფუძველჩაყრილმა, სააკაშვილის მიერ სასწრაფოდ ჩამოყალიბებულმა საბანკო-ოლიგარქიული კაპიტალიზმის სისტემამ, წარმატებით შენარჩუნებულმა ივანიშვილის დაჯგუფების მიერ, სრულად ამოწურა თავისი თავი. მსოფლიო კრიზისის პირობებში ის ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის ელემენტარული ინტერესების რეალიზებას, რასაც, ასე თუ ისე, ახერხებდა, ვთქვათ, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. ამიტომ, ლოგიკურად და, მაშასადამე, ისტორიულადაც ეს სისტემა აუცილებლად შეიცვლება მისი სრული ალტერნატივით — გეგმაზომიერი განვითარების ერთიანი საზოგადოებრივი მექანიზმით, რომელსაც აამოძრავებს მშრომელთა ფართო მასების ინტერესები.** ბიზნესის ინტერესი, როგორც წამყვანი და მამოძრავებელი ინტერესი, ამოვარდება საზოგადოებრივი თვითმოძრაობის სისტემიდან და მის ადგილს დაიჭერს საპირისპირო — მშრომელი მოსახლეობის ინტერესები. ასეთ ცვლილებას სათავეს დაუდებს პოლიტიკური ხასიათის ცვლილებები — ახალი ტიპის ხელისუფლების მოსვლა ქვეყნის სათავეში. ამას გააკეთებს მოსალოდნელი უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შიმშილის ზღვრამდე მიიყვანს ქვეყანას. მაგრამ უნდა დავუშვათ ერთი მეტად საგანგაშო გამონაკლისი: **მემარცხენე, სოციალისტური ძალების სისუსტის პირობებში, სწორედ ზემოთ აღწერილი ოპტიმისტური სცენარი შეიძლება იყოს გამონაკლისი და კრიზისს, გამოწვეულს კაციჭამია საბანკო-ოლიგარქიული დაჯგუფებების ბატონობით, ქვეყანა გადაჰყვეს — საქართველომ, როგორც ქვეყანამ, შეწყვიტოს არსებობა, ხოლო მოსახლეობა დიდმა უბედურებამ მოიცვას.**

ამ მოკლე მიმოხილვაში განზე რჩება გამორჩეულად მაღალი დონის ქართული საბჭოთა კულტურა და ხელოვნება. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ **„ანტიეროვნულ“ საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის ინსტიტუტები ეყოფოდა თავისი უნიკალური პროდუქტიულობის დასამტკიცებლად. და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ შეუძლია ვიღაცას, ღვარძლი გადმოანთხიოს და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება შეადაროს, ერთი მხრივ, ქართული ეროვნული სიმდიდრის გამტაცებელსა და გამყიდველ პირველ „დემოკრატიულ“ მთავრობას, ხოლო, მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა ანტიხალხურ ხელისუფლებებს, რომლებმაც ბარბაროსულად გაანადგურეს საბჭოთა პერიოდის მიერ შექმნილი გიგანტური მატერიალური და სულიერი სიმდიდრე.**

მაგრამ მოდის ეპოქა სიმართლისა. მოდის ეპოქა, რომელიც თავდაყირა დაყენებულ ისტორიას ისევ ფეხზე დააყენებს!

**თემურ ფიფია,**
ეკონომისტი

ხალხის აზრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეკონომიკა რა ბედენაა, სულაც დაქცეულა მთელი ქვეყანა და ქვა ქვაზეც აღარ დარჩენილა, თუ ჩვენი მამაცი პატრიოტები ხელისუფლებაში არ იქნებიან. ხელისუფლებაში ყოფნა კი სალაფავთან ახლოს ყოფნაა და ლამაზი ლოზუნგებით შეფუთული, სალაფავზე დაგეშილი და სისხლმოწყურებული მამაცი პატრიოტები, სადისტური წარსულითა და კიდევ უფრო სადისტური მომავლის პერსპექტივით თვალებანთებული აგზნებულად მიიკვლევენ გზას ხელისუფლებისკენ“.

# რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ ხვალ გვიან იქნება!

## გამოძახილი რუსოფობიურ ისტერიკაზე

**თბილისში რუსი ტელეწამყვანის, ვლადიმერ პოზნერის, ჩამოსვლამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. გთავაზობთ რამდენიმე შეფასებას, რომლებიც სოციალური ქსელის მომხმარებლებმა გამოაქვეყნეს.**

### ნანა მასხულია: თემურ უგულავას „სტუმარ“ პოზნერს თავს დაესხნენ უგულავასვე დაფინანსებული „სირცხვილიას“ წარმომადგენლები?!

**მეგობრებო, თუ გვინდა, გავიგოთ, რა მოხდა წუხელ, უნდა ვიცოდეთ, ვინ არის პოზნერი, ვინ არის მფლობელი „რუმსისა“, სადაც იგი სტუმრად ბრძანდებოდა, ვინ აფინანსებს სასტუმროსთან გამართული აქციის მონაწილეთა უმრავლესობას, კერძოდ, ორგანიზაცია „სირცხვილიას“, ვინ იყვნენ გუშინდელ თავდამსხმელთა რიგებში და მერე ჩვენ დასკვნები გავაკეთოთ.**

ჩვენი ხელისუფლების შეცდომებიც გამოიკვეთება.

ვინ არის ვლადიმერ პოზნერი? — რუსეთში მოღვაწე ჟურნალისტი, ებრაელი მამისა და ფრანგი დედის შვილი, ამერიკის მოქალაქე, კათოლიკურად მონათლული, მაგრამ აღიარებული ღვთისმგმობელი, რუსეთის ულტრალიბერალური ფრთის წარმომადგენელი, პუტინთან უთანხმოებაში მყოფი პირი, რომლის ანტიპუტინისტურ მსოფლმხედველობას ეთანხმებიან ქართველი ლიბერტარიანელები, რომლებიც საქართველოს ყველა პარტიაში არიან წარმოდგენილნი. თუ ზოგიერთ რუსულ ინტერნეტრესურსს დავუჯერებთ, იგი ამერიკის რეზიდენტია, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი ორმაგ აგენტადაც მიიჩნევს. პოზნერი საქართველოში 2008 წელს, ომიდან, მგონი, ერთი კვირის თავზე იმყოფებოდა, იმხანად იგი **ვანო მერაბიშვილის** სტუმარი გახლდათ (დამიჯერეთ, ნიშნის მოგებით არ ვამბობ). მერეც ჩამოვიდა ორჯერ თუ სამჯერ.

ვინ არის „რუმსის“ ერთ-ერთი მეპატრონე? ვინ და **თემურ უგულავა**, ენმ-ისა და, კერძოდ მისი ახალგაზრდული მოძრაობა „სირცხვილიას“ დამფინანსებელი.

რა მოხდა წუხელ? თემურ უგულავას „სტუმარ“ პოზნერს თავს დაესხნენ უგულავასვე დაფინანსებული „სირცხვილიას“ წარმომადგენლები (თუმცა არა მხოლოდ ისინი).

პოზნერის სტუმრობამ ვინ „გაალიზიანა“ ყველაზე მეტად? — **ელენე ხოშტარია,** მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის კურსდამთავრებული, კერძოდ, ბოლო დროის „გმირის“ — გავრილოვის ყოფილი სტუდენტი; **ნინო ბურჯანაძე,** რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინათ თავისი მართლაც საუკეთესო რუსულით ინტერვიუ მისცა პოზნერს, ძალიან კეთილგანწყობითა და სიკეკლუცით (მისი ანზორიკო კი კვერცხების მსროლელთა შორის ვიხილეთ).

ალარ გავაგრძელებ და პირდაპირ ვიტყვი: **პრობლემა პოზნერის სტუმრობა კი არ არის (ბოლოს და ბოლოს, იტყვის: ამერიკის მოქალაქე ვარ და სტრატეგიულ მეგობარ ქვეყანაში ჩავედიო), არამედ ის, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს კომენდანტის საათის და დაწესებული შეზღუდვების ყველასგან დაცვას. შეზღუდვების დაცვა ყველას ერთნაირად რომ მოეთხოვებოდეს, მაშინ ვერც პოზნერი მოისურვებდა აქ ღამისთევით ღრეობას, ვერც უგულავა გაბედავდა 50-კაციანი სუფრის გაშლას, თანაც კომენდანტის საათის დროს და ვერც „სირცხვილია“ იხეტიალებდა ყოველღამე ქუჩებში.**

მოკლედ, **ეს შეზღუდვები უნდა მოიხსნას ან ვერავინ გაბედოს მისი დარღვევა.**

ცოტა გამიგრძელდა, მაგრამ უნდა ვთქვა: გუშინდელ ინციდენტს პოსტი მიუძღვნა **ნიკოლოზ რაჭველმა** და გაიხსენა, რომ იგივე მოხდა ალტისტ **იური ბაშმეტის** კონცერტზე. ნიკამ, ერთი მხრივ, ბაშმეტის წყნარად მოსმენა მინდოდა, მეორე მხრივ, გარეთ მყოფი პროტესტანტების სულისკვეთებას ვიზიარებდიო. იური ბაშმეტი მართლაც საუკეთესო მუსიკოსია, პარალელურად პუტინის მრჩეველია კულტურის საკითხებში. ჰოდა, აი რას ვკითხავდი ნიკას: **ჩვენი ნინო ქათამაძე რომ პუტინის პირად მრჩეველთან ერთობლივ პროექტში მონაწილეობდა და რუსეთში მასთან ერთად კონცერტებს მართავდა, ვინმემ ამისთვის გაკიცხა ან უსაყვედურა?** — რა თქმა უნდა, არა. ეს ამბავი არც გახმაურებულა, მაგრამ ქათამაძის ადგილზე, მაგალითად, **გიორგი ცაგარელი** რომ ყოფილიყო, ხომ ჩადებდნენ მიწაში? თუ რატომ, იმედია, თვითონ მიხვდებით. ასეთი მაგალითი ბევრია. **რაც ეპატიება ზოგს, დანაშაულია სხვებისთვის.** სულ ვამბობ: ორმაგი სტანდარტი გვაპირისპირებს და გვღუპავს. უბედურება არის ის, რომ ჩვენ საკუთარი თვალითაც კი არ ვცდილობთ, აღვიქვათ და შევაფასოთ მოვლენები — ყველა თავისი ფავორიტი პარტიის ლოგიკას ენდობა. იმიტომაცაა, დავჩლუნგდით, დავშტერდით, გამოვდეგენერატდით და, საერთოდ, ვერ ვხედავთ რეალობას. დასასრულ, არის რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, წესები, რომლებზეც, მიუხედავად ჩვენი მსოფლმხედველობრივი განსხვავებებისა, უნდა შევთანხმდეთ და მკაცრად დავიცვათ. წესი წესი უნდა იყოს ყველასთვის!

**ნანა მასხულია,**
**სოციალური ქსელი**

***** კითხვა: **როდის გახდა ელენე ხოშტარიასთვის ცნობილი, რომ რუსეთი ოკუპანტია?**

„დავგუგლე“ და ელენე ხოშტარია დაბადებულა 1979 წელს. რომელ წელს ჩააბარა და დაამთავრა „მგიმო“, მის ბიოგრაფიაში არ არის მითითებული.

ვთქვათ, ჩააბარა 17 წლისამ 1996 წელს. შესაბამისად, დაამთავრებდა 2001-2002 წლებში. კითხვა: როდის გახდა მისთვის ცნობილი ის, რომ რუსეთი ოკუპანტია?



### «საქართველოში შემოჭრილ ოკუპანტთა 50-კაციანი რაზმი ქვეყნიდან გაძევებულია! ვაშააააა! თანაც, ამისთვის მამაცი ქართველი პატრიოტებისთვის საკმარისი აღმოჩნდა გულზე მჯიღის ცემა, ქართულ-რუსული ბილწსიტყვაობა, სასტვენები, საქართველოს ჰიმნის სიმღერა და კვერცხების სროლა. ისე მოვიპოვეთ სრული გამარჯვება მტერზე, რომ მამაცი პატრიოტების ყველაზე მრისხანე იარაღის — შარვლების ჩახდისა და უკანალების ჩვენების გამოყენებაც კი აღარ შეიქნა საჭირო»

**P.S. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ „მგიმო“-ში, ჩვეულებრივი ქართველი კი არა, „ჩვეულებრივი“ მოსკოველი, ძალიან ნიჭიერი რუსი ვერ აბარებდა.**

**ნიკო კახეთელიძე;**
**სოციალური ქსელი**

* „გვაჯერებენ, რომ რუსეთის იმპერიაში მონები ვიყავით და მხოლოდ დასავლეთის მონოპოლისტური კლანების მსახურებაში მოქცეულები გავხდით თავისუფლები!“ ალბათ, მსოფლიო ისტორიაში არავინ ყოფილა ისეთი მოწყვეტილი რეალობას და სინამდვილეს, როგორც ჩვენ. ალბათ, ისე არსად გადაგვარებულა და დაბეჩავებულა ერი და ბერი, როგორც ჩვენთან. ალბათ, არავის ისე მოხერხებულად არ ატყუებენ, როგორც ჩვენ და, ალბათ, მსოფლიოშიც პირველები ვართ, ვისაც აჯერებენ, რომ რუსეთის იმპერიაში მონები ვიყავით და მხოლოდ დასავლეთის მონოპოლისტური კლანების მსახურებაში მოქცეულები გავხდით თავისუფლები! ჰოდა, კი მივექანებით იქით და იმ დროში, როცა იმერეთის მეფეს ოსმალური წოდება ჰქონდა და ქართლ-კახეთისას — სპარსული. როცა გათათრებული თბილისით 7 ნაწილად დაქუცმაცებულ საქართველოში, იმერეთის ყველა მნიშვნელოვან ციხეში ოსმალური გარნიზონი იდგა....

მარა, არა უშავს! მაინც გავბწყინდებით!

მთავარია, მომავალში ისევ მოვიპაროთ ერთმანეთი და, თუ მე-17 საუკუნეში ოსმალეთის ბაზრობებზე ყოველწლიურად 20 ათასზე ავდიოდით, თანამედროვე პერიოდში რეკორდი შეგვიძლია მოვხსნათ!“

**მანანა უძილაური,**
**სოციალური ქსელი**

* საქართველოში შემოჭრილი ოკუპანტთა 50-კაციანი რაზმი ქვეყნიდან გაძევებულია! ვაშაააააა!

გამარჯვება რუსეთზე (აბა, რა ეგონათ?!)

მამაცი ქართველი პატრიოტები რუსეთზე გამარჯვებას ზეიმობენ! საქართველოში შემოჭრილ ოკუპანტთა 50-კაციანი რაზმი ქვეყნიდან გაძევებულია! ვაშაააააა! თანაც, ამისთვის მამაცი ქართველი პატრიოტებისთვის საკმარისი აღმოჩნდა გულზე მჯიღის ცემა, ქართულ-რუსული ბილწსიტყვაობა, სასტვენები, საქართველოს ჰიმნის სიმღერა და კვერცხების სროლა. ისე მოვიპოვეთ სრული გამარჯვება მტერზე, რომ მამაცი პატრიოტების ყველაზე მრისხანე იარაღის — შარვლების ჩახდისა და უკანალების ჩვენების გამოყენებაც კი აღარ შეიქნა საჭირო. **პარტიული მედიების მტკიცებით, ჩვენი 50 პატრიოტი მთელ ქართულ საზოგადოებას წარმოადგენდა, ისევე, როგორც მხოლოდ კარვებში თუ ოპოზიციის მიტინგებზე შეკრებილი რამდენიმე ათეული, ასეული თუ ათასეული კაცი გამოხატავს ქართული საზოგადოების ნებას. დიახ, მხოლოდ ამ ხალხს და მათ შეფებს (და არავის სხვას!) შეუძლიათ, იღაღადონ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ისაუბრონ მთელი საზოგადოების სახელით, ანათემას გადასცენ მათგან განსხვავებულად მოაზროვნეები და გამოხატონ ქართველი ხალხის გულისთქმა.**

მერე რა, რომ ჩვენი გმირები და მათი შეფები თოფის პირველივე გავარდნაზე სოროებში მიძვრებიან ხოლმე?! მერე რა, რომ მათი მამაცი ბელადი თვითმფრინავის გადაფრენაზე სამარცხვინოდ ტოვებს უცხო ქვეყნის მინისტრს და მიწაზე ფორთხავს?! მერე რა, რომ ეს მამაცი პატრიოტები ჯერ ცხინვალის რეგიონის 100-ზე მეტ სოფელს დაკარგავენ და იქ დაღუპული ქართველი მეომრების გვამებს მიატოვებენ, მერე უბრძოლველად ჩააბარებენ კოდორის ხეობას, ამის შემდეგ რუსთაველზე ტაშ-ფანდურს გამართავენ და ბოლოს დაკარგულ ტერიტორიებს ქვა-ღორღად მოიხსენიებენ?!

**როცა სჭირდებათ, მთელი მსოფლიოს წინაშე იმასაც აღიარებენ, რომ 2008 წელს რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო, და იმასაც, რომ გარეჯი საქართველო არ არის და ა.შ. და ა.შ.** ეს ასეა იმიტომ, რომ აქ ჩამოთვლილი ყველაფერი მეათეხარისხოვანია. მთავარია, ქვეყნიდან გავაძევოთ გავრილოვი და პოზნერი, ვიპოზიოროთ ტელეკამერების წინ, ერთმანეთს შევეჯიბროთ ლანძღვა-გინებაში და ველურობაში და იმის იქით გინდა, საოკუპაციო ხაზები გადმოუწევია რუსეთს; გინდა, რუსეთში მცხოვრები ქართველები შეუვიწროვებია ან გამოუძევებია და გინდა, ერთი ტურისტიც კი აღარ შემოსულა ქვეყანაში და სულ ჩამოქცეულა ქვეყნის ეკონომიკა. ეკონომიკა რა ბედენაა, სულაც დაქცეულა მთელი ქვეყანა და ქვა ქვაზეც აღარ დარჩენილა, თუ ჩვენი მამაცი პატრიოტები ხელისუფლებაში არ იქნებიან. ხელისუფლებაში ყოფნა კი სალაფავთან ახლოს ყოფნაა და ლამაზი ლოზუნგებით შეფუთული, სალაფავზე დაგეშილი და სისხლმოწყურებული მამაცი პატრიოტები სადისტური წარსულით და კიდევ უფრო სადისტური მომავლის პერსპექტივებით თვალებანთებული აგზნებულად მიიკვლევენ გზას ხელისუფლებისკენ. ჩვენ კი ამ ყოველივეს შორიდან ვუყურებთ, პურის ნაკლებობას სანახაობის სიჭარბით ვინაზღაურებთ და ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიახლოვდება სისხლიანი 9 წელი, ოღონდ უფრო სასტიკი და უფრო სისხლიანი. ტყუილად გვაქვს იმის იმედი, რომ ისინი უმცირესობაში არიან, ბოლშევიკებიც და ფაშისტებიც ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდ უმცირესობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ზღვარგადასული აგრესიულობით, თავხედობითა და ფანატიზმამდე მისული რევოლუციური აღტყინებით თანდათან მოახერხეს ხალხის ტვინების გამორეცხვა და ყველა ოპონენტის მტრად გამოცხადება (აქედან გამომდინარე ტრაგიკული შედეგებით).

ახლაც, ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის, ყველა ბნელი საქმე ნათელი იდეებითა და ლამაზი ლოზუნგებით სულდგმულობს. ჩვენ არ ვიცით, როგორ შევაჩეროთ ეს შავი ჭირი, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ, თუ ის არ შევაჩერეთ, ჩვენს ქვეყანას ძალიან ბნელი მომავალი ელის წინ. არადა, ჩვენ გარდა, ამის შემჩერებელი სხვა არავინაა, ამიტომ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ ხვალ გვიან იქნება.

**ნანა კაკაბაძე,** სოციალური ქსელი

ge.news-front.info

**ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა, სინამდვილეში „ნაცმოძრაობისა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველოს“ მიერ მართულმა პირებმა, რომლებსაც პოლიციასთან შეხლა-შემოხლა მოუვიდათ, პოზნერს გაუხსენეს წლების წინათ ნათქვამი, აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილიო, და ისტერიული შეძახილებით: „კრემლის პროპაგანდისტი“ და „პუტინის იდეოლოგი“ კვერცხები დაუშინეს სასტუმრო „ვინოტელს“, რომელშიც რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები იმყოფებოდნენ, და მათ საქართველოს დატოვება მოსთხოვეს.**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ძეგლებს პატივი უნდა ვცეთ, მით უმეტეს ჩვენი სიძეების ძეგლებს»

## «საქართველოს მტრების ჯინაზე ასეთი ბარბაროსობა და ნაძირლობა აღარ იქნება!»

**ტელეწამყვან ვლადიმერ პოზნერისა და მისი თანმხლები პირების (დაახლოებით 35 კაცის) 1 აპრილს თბილისში ჩამოსვლას დიდი აურზაური და ისტერიკა მოჰყვა ვითომ პროდასავლური დემოკრატების — რუსოფობიით მოწამლული პირების მხრიდან.**

ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა, სინამდვილეში „ნაცმოძრაობისა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველოს“ მიერ მართულმა პირებმა, რომლებსაც პოლიციასთან შეხლა-შემოხლა მოუვიდათ, პოზნერს გაუხსენეს წლების წინათ ნათქვამი: აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილიო, და ისტერიკული შეძახილებით: „კრემლის პროპაგანდისტი“ და „პუტინის იდეოლოგი“ კვერცხები დაუშინეს სასტუმრო „ვინოტელს“, რომელშიც რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები იმყოფებოდნენ, და მათ საქართველოს დატოვება მოსთხოვეს.

პოზნერი და მისი თანმხლები პირები თბილისიდან იმავე დილას გაფრინდნენ.

აღსანიშნავია, რომ **ის, რაც პოზნერმა ადრე თქვა, იგივე განაცხადა რესპუბლიკური პარტიის წევრმა, ყოფილმა დეპუტატმა, ადრე სააკაშვილის მაგინებელმა, ახლა კი მისმა გულმხურვალე აპოლოგეტმა ლევან ბერძენიშვილმა 2010 წელს ტელეარხ RTVi-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ამასვე ლაპარაკობდა „ნაციონალების“ ბელადი მიხეილ სააკაშვილიც, მაგრამ მათ ნათქვამზე, ე.წ. პროდასავლელებს აღშფოთება არ გამოუხატავთ.**

მას შემდეგ, რაც სასტუმრო „ვინოტელიდან“ გაიყვანეს რუსი სტუმრები, **გავეშებულმა ბრბომ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძის, ნინო ჭავჭავაძის მეუღლის, ცნობილი რუსი დიპლომატის, დრამატურგისა და კომპოზიტორის — ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი შეურაცხყო...**

მეორე დღეს თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა, ღირსეულმა პიროვნებამ — **ერეკლე კუხიანიძემ** გრიბოედოვის ძეგლი გაასუფთავა შემდეგი სიტყვებით:

„ძეგლებს პატივი უნდა ვცეთ, ჩვენი სიძეების ძეგლებს — მით უმეტეს.

საქართველოს მტრების ჯინაზე ასეთი ბარბაროსობა და ნაძირლობა აღარ იქნება!“

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ლევან ბერძენიშვილი


ერეკლე კუხიანიძე








# საქართველოს მეცნიერული ეროვნულ-გეოპოლიტიკური კონცეფცია უნდა ჰქონდეს

**ბუნებრივ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე — ობიექტურად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებაზე დაყრდნობილი მეცნიერული ხედვა ქვეყანას საგარეო-პოლიტიკური კურსის სწორად განსაზღვრაში დაეხმარება, თავს დავაღწევთ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს — აშშ-დასავლეთის პოლიტიკურ კორონავირუსს.**

ყველაზე მარტივი წარმოჩინებით, სახელმწიფოს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ქვეყნის ბუნებრივი გეოგრაფიული მდგომარეობითაა ნაკარნახევი — გეოპოლიტიკა ეწოდება. „გეო“ ბერძნულად მიწას ნიშნავს; ე.ი. საქმე გვაქვს მიწის მიერ ნაკარნახევ სახელმწიფო საქმეებთან.

ქვეყნის ბუნებრივ გეოგრაფიულ მდგომარეობაში გეოპოლიტიკის ცნობილი გერმანელი თეორეტიკოსი **ფრიდრიხ რატცელი** (1844-1904 წწ.) წიგნში „პოლიტიკური გეოგრაფია“ გულისხმობდა: **ქვეყნის ტერიტორიულ მდებარეობას, მის სიდიდეს; მოსახლეობის რაოდენობას, წიაღისეულ სიმდიდრეებს; ზღვაზე გასასვლელს ან მის არარსებობას; ეკონომიკურ პოტენციალს, ბაზრების ფლობას; მოცემული ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყნებს და მათთვის — დიდებისა და პატარებისთვის, ამ ქვეყნის მნიშვნელობას, უწინარეს ყოვლისა, უშიშროების თვალსაზრისით.**

ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების აუცილებელ გათვალისწინებას ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შემუშავებისას შვედმა მეცნიერმა **რუდოლფ ჩელენმა** (1864-1922 წწ.) გეოპოლიტიკა უწოდა.

ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, უნდა ჰქონდეს ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაყრდნობილი მეცნიერული გეოპოლიტიკური კონცეფცია — ხედვა. ასეთი კონცეფცია აუცილებლად გვეტყვის: საქართველო მდებარეობს ევრაზიის აზიურ ნაწილში, სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის უშუალო სამეზობლოში და არა ევროპაში, როგორც ეს საქართველოს ხელისუფალთ და ოპოზიციის დიდ ნაწილს ჰგონია.

აშშ-დასავლეთის პოლიტიკური კორონავირუსისგან გეოპოლიტიკურად დასნეულებული ქართველები ვერ ხედავენ 700-კილომეტრიან საერთო საზღვარს ბირთვული იარაღით აღჭურვილ რუსეთთან და თავი შუაგულ ევროპაში ჰგონიათ; ამის ნივთმტკიცებაა პარტია „ევროპული საქართველო“ და „ევროპელი სოციალისტები“.



**აშშ-დასავლეთის პოლიტიკური კორონავირუსისგან გეოპოლიტიკურად დასნეულებული ქართველები ვერ ხედავენ 700-კილომეტრიან საერთო საზღვარს ბირთვული იარაღით აღჭურვილ რუსეთთან და თავი შუაგულ ევროპაში ჰგონიათ; ამის ნივთმტკიცებაა პარტია «ევროპული საქართველო» და «ევროპელი სოციალისტები»**

საბედნიეროდ, **საქართველოში გვყავს მეცნიერული ძალები, რომლებსაც ხელეწიფებათ, ჩამოაყალიბონ ჭეშმარიტად მეცნიერული სახელმწიფოებრივი გეოპოლიტიკური კონცეფცია — ხედვა. ასეთი კონცეფცია მბრძანებლურად გვიკარნახებს, ყურად ვიღოთ ქართული მიწა-წყლის ძახილი: არა ნატოს — კეთილმეზობლობა რუსეთთან! მხარი დავუჭიროთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ილია მეორის მიერ ჯერ კიდევ 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმულ ბრძნულ რჩევას: „ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტია“.**

ქართული მეცნიერული გეოპოლიტიკური ხედვის წყაროა ჭეშმარიტების სიმბოლო გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“; მოვუწოდებ ხელისუფალთ, ოპოზიციას — ყველას: იკითხეთ მისი დიდებული პუბლიკაციები და ამერიკულ პოლიტიკურ კორონავირუსს თავს დააღწევთ.

ქართული ეროვნული გეოპოლიტიკური ხედვა უნდა დაემყაროს ცნობილი ლექსიდან ფრაზას: **„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება...“**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა საიდუმლო საომარ ოპერაციებს გეგმავდა ინგლის-ამერიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ივლისში, ეს ამჟამად უკვე ცნობილია საარქივო დოკუმენტებით. ჩაფიქრებული იყო არა მხოლოდ სახმელეთო ოპერაციები, არამედ 196 ატომური ბომბით საბჭოთა კავშირის ქალაქების განადგურება. მხოლოდ საბჭოთა არმიის საპასუხო დარტყმის შიშით ვერ გაბედა დასავლეთმა ასეთი მასშტაბის საკაცობრიო დანაშაულის ჩადენა.**

# სტალინი და ტაო-კლარჯეთი

## «თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ»

(დასასრული. დასაწყისი იხ. №11, 2021 წ.)

**ქართველ მეცნიერთა ისტორიულ წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელიც წინა ნომერში გაგაცანით, საქართველოში ენით აუწერელი სიხარული მოჰყვა, ხოლო საზღვარგარეთ — შოკისმომგვრელი შიში. მსოფლიოს პროგრესული ნაწილი და კოლონიური ქვეყნები აღტაცებით შეხვდნენ სტალინის გადაწყვეტილებას თურქეთში შეჭრის შესახებ. საქართველოში ფართოდ გაიშალა პროპაგანდისტური მუშაობა დაკარგული მიწების დაბრუნების პერსპექტივაზე. იწერებოდა ლექსები, პოემები, იდგმებოდა პიესები სხვადასხვა თეატრში და სრულდებოდა სიმღერები თვითმოქმედ კოლექტივებში.**

**„გზის გასწვრივ დგანან ალვები მწკრივად,**
**თეთრად გაჰკვრია ზეცას ღრუბლები,**
**მე ტრაპიზონის ოლქკომში ვზივარ,**
**ოლქკომის მდივანს ვესაუბრები.**
**კედელზე რუკა ჰკიდია ოლქის,**
**მდივანი დასცქერს გადაშლილ ფურცელს,**
**სახეზე დაჰკრავს იერი კოლხის**
**და ლაპარაკში ლაზურად უქცევს“.**



იალტის კონფერენცია. 1945 წელი

**სტალინმა სამამულო ომში გამარჯვებამდე ერთი წლით ადრე აამოქმედა თავისი დიდი ხნის ოცნების აღსრულების მექანიზმი და გადაწყვიტა საქართველოსა და სომხეთისთვის თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. იფიქრა, რომ თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ფრონტის ზურგში თურქული ორიენტაციის მოსახლეობის არსებობა მიზანშეუწონელი იყო და 1944 წლის 15 ნოემბერს სწრაფი ოპერაციით ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების სოფლებიდან 20 000-მდე ოჯახი შუა აზიაში გადაასახლა**

მოგვიანებით შეიქმნა და დამტკიცდა დოკუმენტი სახელწოდებით „ზოგიერთი მოსაზრება ამიერკავკასიის ფრონტის ოპერაციათა დაგეგმვის შესახებ“. დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა არმია უნდა შესულიყო თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში, ტრაპიზონ-ბაიბურთისა და ყარს-ერზრუმის მიმართულებით.

* **პირველ ეტაპზე** (10-დღიანი ვადით) საბჭოთა არმიას უნდა გაენადგურებინა თურქეთის არმიის დაჯგუფება ყარსისა და ართვინის რაიონებში და შტურმით აეღო ტრაპიზონი.

* **მეორე ეტაპზე** (6-დღიანი ვადით) საბჭოთა არმიას უნდა გაენადგურებინა ოლთის-სარიკამიშის დაჯგუფება, გადადიოდა ისპირ-თორთუმის ხაზზე.

* **მესამე ეტაპზე** (ოპერაციის დაწყებიდან მე-20 დღეს) საბჭოთა არმიას უნდა დაეკავებინა ერზრუმი.

მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სტალინმაც დროსა და გარემოებასთან შესაბამისად ოპერაცია დროებით შეაჩერა.

**რატომ არ მიიღო სტალინმა თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების გადაწყვეტილება 1944 წელს, რისი სურვილიც, როგორც შემდგომ გამოჩნდა, მოჭარბებული ჰქონდა?** საფიქრებელია, რომ მას ამ ნაბიჯის გამამართლებელი მტკიცე არგუმენტები გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ომის პერიოდში ანტიჰიტლერული კოალიცია ერთობლივად იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ, სტალინმა კარგად იცოდა, რომ ეს იყო დროებითი მოკავშირეობა და დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის იდეოლოგიურ საწყისებზე ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებისთვის იყვნენ განწირულნი.

ეს ტენდეცია ჯერ კიდევ 1946 წელს გამოიკვეთა **უინსტონ ჩერჩილის** სიტყვაში აშშ-ის ქალაქ ფულტონში. ისტორიკოსებისათვის ცნობილი ფაქტია, რომ, სანამ 1939 წლის 23 აგვისტოს მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულება დაიდებოდა, იგეგმებოდა გერმანიის მთავრობის წევრ **ჰერმან გერინგის** ვიზიტი ლონდონში, სადაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლის-გერმანიის ერთობლივი ფრონტით გამოსვლაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ. ანალოგიური მისიით ჩაფრინდა ინგლისში 1941 წლის 10 მაისს ჰიტლერის თანაშემწე **რუდოლფ ჰესი,** რომლის საქმეც გრიფით „საიდუმლო“ ამ მოვლენიდან 75 წლის შემდეგაც არ არის გამომზეურებული. ნიურნბერგის პროცესზე 1946 წლის აგვისტოში ჰესი აპირებდა ინგლისში მისი მისიის შესახებ ესაუბრა, მაგრამ ტრიბუნალის თავმჯდომარემ, ინგლისელმა **ლოურენსმა** უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა და ამის შემდეგ ჰესმა დუმილი ამჯობინა. **ჰესის შესახებ 1948 წელს ალენ დალესმა, ომის წლებში შვეიცარიის ქალაქ ბერნში ამერიკის სტრატეგიული სამსახურის ხელმძღვანელმა, ხოლო შემდეგ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორმა, თქვა: „ბრიტანეთის დაზვერვამ ბერლინში კონტაქტი დაამყარა რუდოლფ ჰესთან და მისი დახმარებით თვით ჰიტლერზე გასასვლელი მოძებნა. ჰესს უთხრეს, რომ, თუ გერმანია ომს გამოუცხადებს საბჭოეთს, ინგლისი შეწყვეტდა საომარ მოქმედებებს“.**

ასეც მოხდა. ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებმა გერმანიას მეორე ფრონტი ომის დაწყებიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაუხსნეს, როცა დაინახეს, რომ საბჭოეთი ფაშისტებს ომში მათი ჩაბმის გარეშეც დაამარცხებდა და გამარჯვების სტრატეგიული მონაპოვარი მხოლოდ მის ხელში აღმოჩნდებოდა.

**ჰესი 1945 წლამდე ჩერჩილის განკარგულებით საპატიო ტყვის პრივილეგიებით ტაუერის ციხეში იმყოფებოდა, ხოლო, ნიურნბერგის პროცესის გადაწყვეტილებით, სამუდამო პატიმრობის სასჯელით გერმანიაში შპანდაუს ციხეში გამოკეტეს. საინტერესოა, რომ 1987 წელს, როცა ჰესი 93 წლის იყო, ჰუმანურობის მოტივით მისი გათავისუფლება გადაწყვიტეს, მაგრამ იმავე დღეს ციხის ეზოში რკინის მავთულით დამხრჩვალი იპოვეს, მისი ჩანაწერები დაიკარგა ან გაანადგურეს.**

1944 წლის ივლისში მარცხით დასრულდა პოლკოვნიკ **შტაუნფენბერგის** სამხედრო შეთქმულება ჰიტლერის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ ფელდმარშალი **რომელი,** საფრანგეთის გუბერნატორი, გენერალი **შტიულპანაგელი** და სხვები. ისინი კონკრეტულად დასავლეთის ფრონტზე ომის შეწყვეტასა და ინგლის-ამერიკის ჯარებთან ერთად აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა კავშირთან ერთობლივ ბრძოლას აპირებდნენ, რომლის გარანტიებიც დასავლეთიდან რომ არ ჰქონოდათ, მაშინ ამგვარ რისკიან შეთქმულებასაც ვერ გაბედავდნენ, რომელსაც მათი სიცოცხლე შეეწირა.

სხვათა შორის, **არსებობს ინფორმაცია, რომ სტალინმა უარი თქვა ჰიტლერის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელებაზე იმის შიშით, რომ მის ადგილზე მოსული გერმანიის ახალი ლიდერი მოახერხებდა დასავლეთის კონსოლიდაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამიტომ ოდიოზური ჰიტლერის არსებობა გერმანიის სრულ განადგურებამდე აუცილებლად მიიჩნია.** ასევე ცნობილია, რომ გერმანიის რაიხის მეორე პირი **ჰიმლერი** ომის დასასრულს სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებდა დასავლეთის არმიის ხელმძღვანელებთან ომის შეწყვეტის თაობაზე და გერმანული არმიის საბჭოეთის წინააღმდეგ გამოყენებაზე, რის გამოც ჰიტლერმა ომის ბოლო დღეებში ის მოღალატედ გამოაცხადა და მისი დაპატიმრება მოითხოვა.

**რა საიდუმლო საომარ ოპერაციებს გეგმავდა ინგლის-ამერიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ივლისში, ეს ამჟამად უკვე ცნობილია საარქივო დოკუმენტებით. ჩაფიქრებული იყო არა მხოლოდ სახმელეთო ოპერაციები, არამედ 196 ატომური ბომბით საბჭოთა კავშირის ქალაქების განადგურება. მხოლოდ საბჭოთა არმიის საპასუხო დარტყმის შიშით ვერ გაბედა დასავლეთმა ასეთი მასშტაბის საკაცობრიო დანაშაულის ჩადენა.**

სწორედ **ნიკო ბერძენიშვილისა** და **სიმონ ჯანაშიას** ცნობილი წერილის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე, 1945 წლის 23 ივლისს, პირველად შეძრა პოტსდამის კონფერენციაზე სტალინის ისტორიულმა გამოსვლამ მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ რკინის სარდალი გაჩერებას არ აპირებდა. **პოტსდამის კონფერენციაზე თურქეთის ტერიტორიული საკითხი წამოიჭრა. 23 ივლისის სხდომაზე იოსებ სტალინმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა:**

**„გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო, და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ასევე ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ასევე ვალდებულებას იღებს, დაიცვას ჩვენი საზღვარი. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა, გაასწორონ საზღვრები და, თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“**

სტალინის სიტყვები არა მხოლოდ კანონიერი მოთხოვნა იყო, არამედ ულტიმატუმიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე, რომელმაც მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. ზემომოყვანილი სიტყვა სტალინმა მაშინ წარმოთქვა, როდესაც უკვე იცოდა და ტრუმენმაც, აშშ-ის პრეზიდენტმა 15 ივლისს დაუდასტურა, რომ მათ ატომური ბომბი გამოსცადეს. აშშ-ის პრეზიდენტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ უინსტონ ჩერჩილს ეგონათ, რომ სტალინს ზეძლიერი ბომბით დააშინებდნენ და მუხლებზე დააჩოქებდნენ, მაგრამ კავკასიური ვეფხვი არ ცხრებოდა, რადგან მას შიშის განცდა, დიდი ხანია, დაკარგული ჰქონდა. **სტალინმა სამამულო ომში გამარჯვებამდე ერთი წლით ადრე აამოქმედა თავისი დიდი ხნის ოცნების აღსრულების მექანიზმი და გადაწყვიტა საქართველოსა და სომხეთისათვის თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. იფიქრა, რომ თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ფრონტის ზურგში თურქული ორიენტაციის მოსახლეობის არსებობა მიზანშეუწონელი იყო და 1944 წლის 15 ნოემბერს სწრაფი ოპერაციით ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების სოფლებიდან 20 000-მდე ოჯახი შუა აზიაში გადაასახლა, რაც 100 000-მდე ადამიანს შეადგენდა.**

მათი ეთნიკური შემადგენლობა კი ასეთი იყო: **თურქი** — 14 493 ოჯახი, **ქურთი** — 1 800, **აზერბაიჯანელი** — 358, **იეზიდი** — 7, **თათრები** — 126. აღნიშნული ოჯახებიდან მოსახლეობის არც ერთი წევრი თავს ქართველად არ მიიჩნევდა, ხოლო ვინც თურქული წარმოშობისა არ აღმოჩნდა, მათ მიიღეს კომპენსაცია და თავისუფალი საცხოვრებელი ადგილის შერჩევის უფლება. ერთი შეხედვით, ეს არაჰუმანური აქტია, მაგრამ საომარ პირობებს თავისი კანონები აქვს. მაგალითად, **იაპონიასთან ომის დაწყებამდე აშშ-ის მთავრობამ სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მოტივით, თავის ტერიტორიაზე მცხოვრები 250 000 იაპონელი დააპატიმრა და საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს რეზერვაციებში შეყარა...**

დასავლეთი სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. ამერიკა აქტიურად ჩაერთო თურქეთის დაცვაში. სტამბულში შევიდა ამერიკული ლინკორი „მისური“ სხვა სამხედრო გემების თანხლებით. თურქეთის შესაიარაღებლად ასობით მილიონი დოლარი კრედიტი გამოიყო, ხოლო 1952 წლის 18 თებერვალს, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, თურქეთი ნატოში მიიღეს. თურქეთზე თავდასხმა უკვე მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავდა. სტალინმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად მსოფლიოს ჩაბმა ატომურ ომში. **რატომ არ მოაგვარა სტალინმა თურქეთის საკითხი მანამ, სანამ მას ამის საშუალება ჰქონდა და შექმნილი არ იყო ატომური ბომბი და ნატო?**

სტალინი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ბეწვის ხიდზე გადიოდა. დღეს ყველასათვის ნათელია (არქივების გახსნის შემდეგ), რომ საბჭოეთზე ჰიტლერის თავდასხმა პროვოცირებული იყო დასავლეთის მიერ, რომ ინგლისი, ამერიკა, იაპონია, იტალია და ევროპის პატარა ქვეყნები მხარს უჭერდნენ დიდ ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ასევე ვალდებულებას იღებს, დაიცვას ჩვენი საზღვარი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა, გაასწორონ საზღვრები და, თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია“.**

## მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების გამტკიცებისა და საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ მოიგო ბევრი რამ. ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი აფხაზეთი, სვანეთი — სამთავროები — ყველა კახეთის მეფეებს ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც თავიანთი სათემო წყობილება ჰქონდათ. თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი: სადადეშქელიანო — თავისუფალი სვანეთი და ქვემო — საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმ-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა

◀ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის სრული ლიკვიდაციის საქმეში, რაც ზუსტად იცოდა სტალინმა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ სტალინგრადთან დაინახა სტალინის გენია, ფაშისტების 300 000-იანი არმიის რკინის სალტეში მოქცევა და რუსი „სალდათის“ მიერ ფელდმარშალ **პაულიუსის** დატყვევება, დასავლელი ლიდერები საგონებელში ჩავარდნენ და ირწმუნეს სტალინის უძლეველობა, მაგრამ არჩევანი სტალინსა და ჰიტლერს შორის მაინც ჰიტლერის სასარგებლოდ გააკეთეს. სტალინი მოკავშირეების ღალატზე ფიქრობდა და ზავის მოლოდინში იყო თავის მოკავშირეებსა და ჰიტლერს შორის, რასაც კიდევ მოწმობს იალტის კონფერენციაზე მოკავშირეთა (რუზველტისა და ჩერჩილის) დაგვიანება — ამის მიზეზი სტალინისთვის იმავე დღეს შეიქნა ცნობილი, რომ აშშ-ისა და ბრიტანეთის ლიდერები მალტაში სტალინის გარეშე ჰიტლერთან ზავის დადებაზე მსჯელობდნენ. იალტაში ჩასვლისთანავე სტალინმა ირონიულად ჰკითხა რუზველტს: მალტა იალტაში ხომ არ შეგეშალათო? **მოკავშირეებისთვის გასაგები იყო, რომ სტალინმა ყველაფერი იცოდა და უკვე კონტრნაბიჯებიც გათვლილი ჰქონდა. სტალინმა სწორედ იალტაში მოიგო დიდი სამამულო ომი და არა ბერლინში. ხოლო ბერლინი, ჟუკოვმა, როკოსოვსკიმ და კონევმა კი არა, სტალინმა მოიგო იალტის კონფერენციიდან „შორსმსროლელი სტალინური დიპლომატიის საშუალებით“.**

რაკი იალტის შემდეგ მეორე ფრონტი ძალაში შევიდა და სტალინს უტყუარი პირობა ჰქონდა მოკავშირეთა მყარი მხარდაჭერისა, ფრთები გაშალა ბოსფორზე გადასაფრენად, მაგრამ ბოსფორს შეიძლება უმძიმესი კატასტროფა მოჰყოლოდა კაცობრიობისთვის, რაც სტალინმა ყველაზე უკეთ იცოდა...

„მის აგარაკზე რომ დავბრუნდით, — თითქოს წინასწარ ჰქონდაო მოფიქრებული, — მრგვალი მაგიდისკენ გაგვიძღვა, ამიერკავკასიის რუკა მოიტანა და მაგიდაზე გაშალა (იგონებს აკაკი ვასაძე):

— აბა, კანდიდ, აგერ ფანქარი და მოხაზე საქართველოს ახლანდელი საზღვრები, — უთხრა კანდიდ ჩარკვიანს.

კანდიდ ჩარკვიანმა აიღო ფანქარი და რუკაზე აღნიშნულ ჩრდილოეთის საზღვრებს იქით ზოლის გატარება დააპირა, მაგრამ შეყოვნდა და ფანქარი მხოლოდ ჰაერში გაავლო.

— ნუ გეშინია, მოხაზე, მოხაზე ფანქრით, რუკას როგორმე კიდევ ვიშოვნი!

და კანდიდმა, ახლა ფანქრით ზუსტად და მკაფიოდ შემოხაზა ომის შემდეგ საქართველოსთვის შემომატებული




ჩრდილოეთის ტერიტორია.

— აი, ეს მესმის. ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ესეც პასუხად იმათ, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ვინც გვისაყვედურებდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია შეამცირაო... რამდენი უნდა ებრძოლა ერეკლე მეფეს, ამოდენა ტერიტორია რომ შემოეერთებინა საქართველოსთვის?!

— უზარმაზარი მხარეა, მაგრამ **ქართველები ფეხს ითრევენ იქ დასახლებაზე. ძვირფასი ტყეები, საძოვრები, მშვენიერი ჰავა და წყლებია საკურორტო ადგილების გასაშენებლად; სახნავ-სათესი მიწებიც არის, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამხანაგო სტალინ, სხვის მიწაზე თვალი არასდროს სჭერია. ცენტრალურ კომიტეტში თითქმის ყოველდღე მოდის ქლუხორში ახალდასახლებულთა წერილები, უკან დაბრუნებას მოითხოვენ, სამშობლოში გვირჩევნიაო. ქისტებისა და ჩეჩნების მიწებიც ცარიელია, მთიულეთიდან, თუშეთიდან, ხევსურეთიდან ერთ კაცსაც არ გამოუთქვამს სურვილი დასახლებაზე. მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო პროცენტი ოსებისა დასახლდა, ისიც თერგის ნაპირთან ახლოს,** — მოკლედ აცნობა კანდიდ ჩარკვიანმა.

— სხვისი მიწა რად არის, საბჭოთა კავშირში შემავალი ტერიტორიაა. იმათ კი ვერ შეიშვნეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა, ომის დროს დაგვალალატეს, გამცემლურად მოიქცნენ, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში... ჰმ, ფაშისტები ამჯობინეს ჩვენს თავს... გასაგებია, ქისტებისა და ჩეჩნების მიწები ძალზე მწირია, მაგრამ ქლუხორი ხომ განთქმულია თავისი ბუნებით, ტყით, წყლებით, მინდვრებით, — არ ცხრებოდა სტალინი, — ქართველი ხალხი მაინც მთის ხალხია და, თუ მან არ აითვისა ეს ადგილები, აბა, რუსს იქ რა აიყვანს, ან უკრაინელს...

— არა სოსო, — კანდიდ ჩარკვიანმა სწორად გითხრა ქართველი კაცის ხასიათზე: **დავით აღმაშენებლის** თუ **თამარ მეფის** დროს მართლა რომ შეგვეძლო სამხრეთისაკენ თუ ჩრდილოეთისაკენ საზღვრების გაფართოება, მაშინ არ უქნია ეს ჩვენს ხალხს და... სხვისი მიწა რად გვინდა, ნეტავ ჩვენი რაც იყო, ის დაგვაბრუნებინა, — **მიხეილ ტიტვინიძის** გულუბრყვილო ნათქვამმა სტალინიც და ჩვენც ბევრი გვაცინა. ჯერ ისევ კანდიდ ჩარკვიანს უთხრა: — **ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთ, ხომ იცი, ახალ ტანსაცმელს რა გინდა ძვირფასი ქსოვილისა და კარგად შეკერილი იყოს, ძნელად ეგუება კაცი, ვიდრე ტანზე არ მოირგებს... ვნახოთ, ვნახოთ.**

**მერე მიხეილ ტიტვინიძეს გაუცინა: — შენს ნათქვამსაც მიგიხვდი, ჩემო ძმაო, რაც შეეხება მეორეს, საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი, ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და მხოლოდ საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოვუერთოთ, თორემ, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაგანს, ტრაპიზონამდე მთელ მიწებს უკან ჩავიბარებდით...** აი, რა ამბავს მოგიყვებით: ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების პერიოდში კავკასიის ფრონტის ჯარებს ერზრუმი არ ჰქონდათ დატოვებული; საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ **ტროცკი** იყო დანიშნული, ხოლო ამ კომისიის კონსულტანტად **ლენინმა** მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ამიერკავკასიის მთავრობებმა ჩვენს მიმართვაზე, თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნათ და მონაწილეობა მიეღოთ საზავო მოლაპარაკებებში, დუმილით გვიპასუხეს. კაცი არ გამოჩნდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასაზღვრო ინტერესები რომ დაეცვა. ამასთანავე, **ბრესტის ხელშეკრულება ვერ შედგებოდა, თუ საომარი ურთიერთმდგომარეობა არ გამოიხატებოდა საზღვრების საკითხის შეთანხმებული და სამართლიანი გადაწყვეტით. ამ იურიდიული კაზუსით ჩემს თავზე მივიღე ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესების დაცვა.** ამიერკავკასიის ქვეყნების საზღვართა მცოდნემ, თუ არ ვცდები, **ქიაზიმ ბეიმ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ისეთი პრეტენზიები წამოაყენა, რომ მათი უარყოფა და დარღვევა არ გამჭირვებია, ყარსი და არდაგანი რა საკითხავია, ბათუმიც თავის საზღვრებში მოიყოლეს. მათი პროექტით, ახალქალაქთან კარძახზე უნდა გასულიყო საზღვარი და ასე შემდეგ. ქიაზიმ ბეიმ გადასინჯვაზეც კი არ ისურვა მოლაპარაკება და დიპლომატიური მსჯელობების შეწყვეტითაც დამემუქრა.** მაშინ მე ფრიად მრავალმნიშვნელოვნად განვუცხადე: როგორც გენებოთ, მაგრამ საზღვრებზე საუბრის გაგრძელება იქნებ ერზრუმში მოგვიწიოს-მეთქი და წამოვდექი. ახლა კი იკადრა უკან დახევა.

— მოითმინეთ, მე სულაც არ მინდა თქვენი მომდურება, რუსეთთან მხოლოდ კარგი დამოკიდებულებით ვარ დაინტერესებულიო, და კარგა ხანს ოსმალური ლათაიებით შემიქცია. **მე მოკლედ ვუთხარი, დამარცხებული ქვეყნისათვის სამარცხვინო როდია, თუ თავისი ძველი საზღვრების შენარჩუნებას მოინდომებს-მეთქი.** თანახმა ვარო, — დამყვა ქიაზიმ ბეი და მეც დასრულებულად მივიჩნიე ჩემი მისია, მოსკოვში მოვემზადე წასასვლელად. გზაში უეცრად ტიფი შემეყარა. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ მოვახერხე წამოდგომა. კომისარიატში ძლივს მივლასლასდი, რადგან ლენინი ჩემთან სატელეფონო საუბარს მოითხოვდა. ლენინმა თავისთან გამომიძახა ახალი საზღვრების ხელშეკრულებათა გასაცნობად. მივედი და რას ვხედავ: **ქიაზიმ ბეის კომისიის თავმჯდომარისათვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისათვის მოუწერინებია ხელი... როგორც შემდეგ გაირკვა, ქიაზიმ ბეის ჩემი იქ არყოფნით უსარგებლია და იმ ოსმალო გაქნილ დიპლომატს კარგა ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვილონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებებზე როგორც სომხეთის, ასევე საქართველოს მიწების ოსმალოებისთვის დათმობაზე.** ერის ტერიტორიის დათმობისა და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ერის ისტორია ხელშეუხებელია. ომის შემდეგ გადავკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალოებს, საზღვრის ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. საპასუხო ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, ჩვენი ოკეანისგაღმელი „ძმები“ მხარს მათ უჭერენ, თუმცა საჯაროდ არაფერს ამბობენ. საქართველოსა და სომხეთის მიწების დაბრუნება, საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პოზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც. ერთი კი ცხადია: **მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების გამტკიცებისა და საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ მოიგო ბევრი რამ. ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი, აფხაზეთი, სვანეთი — სამთავროები — ყველა კახეთის მეფეებს ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც თავიანთი სათემო წყობილება ჰქონდათ. თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი: სადადეშქელიანო — თავისუფალი სვანეთი და ქვემო — საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმ-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა,** საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკად და სწორედ ახლა არის დიდი გონება, ღონე და მონდომება საჭირო, რიგიანად განვითარდეს ქვეყნის ცხოვრება და ამით საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში რიგიანი წვლილიც შეიტანოს, როგორც ეკონომიკის, ასევე მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში“.

*** წერილში გამოყენებულია ამონარიდები აკაკი ვასაძის, ჯაბა სამუშიას, გრიგოლ აბაშიძისა და გია თვალავაძის მასალებიდან.**




# ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

რას წერენ ჩვენზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დანიელსონის დასახმარებლად გადაისროლეს კიდევ ერთი დესანტი — „აღმოსავლური პარტნიორობის“ უცხოეთში მოქმედების სამსახურის (EEAS) ხელმძღვანელი რიჩარდ ტიბელსი, ევროპის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის კაბინეტის წევრი და მისი მრჩეველი მაგდალენა გრონო და საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, მაგრამ ევროპული დიპლომატიის „ვარსკვლავებმა“ ვერ შეძლეს მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის კრიზისიდან გამოსასვლელი ხიდის აგება.**

# ვინ დალევს «ბორჯომს» აშშ-სა და ევროპაში?

**საქართველო განაგრძობს ექსპერტების დაინტერესებას „იდუმალი“ თავისებურებებით, რომლებსაც ქვეყანა ავლენს ბოლო 6 თვის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისში. ამ კრიზისს დასავლეთში სხვადასხვანაირად აღწერენ: როგორც რეფორმისტული კურსის ჩაფლავებას, როგორც „ქართული დემოკრატიის მატარებლის“ გადავარდნას ევროპული რელსებიდან“. და მიუთითებენ, რომ „ქაოსმა, რომელშიც იძირება საქართველო, ძალიან სახიფათო შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნისთვის“.**

კრიზისული ვითარებიდან გამოსვლას საქართველო ევროკავშირისა და აშშ-ის დახმარებით ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ყველაფერი 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ“ მთავრობის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ხმების 40,53%-ზე 8%-ით მეტი მოაგროვა. ოპოზიციურმა პარტიებმა შედეგები გაყალბებულად გამოაცხადეს, უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე და ამით შეეცადნენ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პარალიზებას; ამასთანავე, მოითხოვეს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება და საარჩევნო სისტემისა და სასამართლოს სფეროს რეფორმირება. ეს დაპირისპირება დღემდე გრძელდება.

ახლა კონკრეტული ფაქტები. საშუამავლო ძალისხმევის პირველი ტურის ჩაფლავების შემდეგ თბილისს კვლავ ეწვია შვედი დიპლომატი, ევროპის საბჭოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი **კრისტიან დანიელსონი.** ბრიუსელში გამართული კონსულტაციების შემდეგ მან დაპირისპირებულ მხარეებს კომპრომისულ პირობებზე აგებული ახალი დოკუმენტი წარუდგინა. დანიელსონის დასახმარებლად გადაისროლეს კიდევ ერთი დესანტი — „აღმოსავლური პარტნიორობის“ უცხოეთში მოქმედების სამსახურის (EEAS) ხელმძღვანელი **რიჩარდ ტიბელსი,** ევროპის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშლის კაბინეტის წევრი და მისი მრჩეველი **მაგდალენა გრონო** და საქართველოში ევროკავშირის ელჩი **კარლ ჰარცელი,** მაგრამ ევროპული დიპლომატიის „ვარსკვლავებმა“ ვერ შეძლეს მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის კრიზისიდან გამოსასვლელი ხიდის აგება. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი **დევიდ კრამერი** და საქართველოში აშშ-ის ექს-ელჩი **იან კელი** ამერიკულ გამოცემა The Bulwark-ში გამოქვეყნებულ წერილში წერდნენ: **„მხოლოდ აშშ-ს, როგორც საქართველოზე ყველაზე მეტი დადებითი გავლენის მქონე ქვეყანას, შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა და მიუთითოს შესაძლო სანქციებზე დამნაშავეთა მიმართ“.** მათი აზრით, საქართველოში მთავარი შუამავლის როლი „ამერიკის კონგრესის წევრებმა უნდა მოირგონ.

კრამერი და კელი წერდნენ, რომ **„კრიზისი საქართველოში ხელს აძლევს მხოლოდ რუსეთს“. „დიახ!“** — უპასუხა ოპოზიციამ, რომლის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ კულისებსმიღმა ლიდერი **ბიძინა ივანიშვილი** პრორუსულ პოლიტიკას ატარებს. „არა!“ — უპასუხა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საკითხების ბიუროს მდივნის თანაშემწე **ჯორჯ კენტმა.** მისი თქმით, **„2012 წელს ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას უარი არ უთქვამს თავის მოვალეობების შესრულებასა და სწრაფვაზე ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და განაგრძობს დასავლური კურსით მსვლელობას“.**

კენტის მტკიცებით, უნდა განისაზღვროს, რომელი პოლიტიკური ძალა უფრო ერთგულია დემოკრატიული პრინციპებისადმი, რომლებიც საკვანძო იქნება იმისთვის, რომ **„საქართველომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“.** ეს კი, როგორც ოდესაში იტყვიან, სულ სხვა მუსიკაა, უფრო ზუსტად, როგორც ამჟამად საფრანგეთში მცხოვრები, 1990-1991 წლებში საქართველოს უზენაესი საბჭოს უცხოეთის საკითხების კომისიის თავმჯდომარე **მედეა თუშმალიშვილი** წერს, **„ეს წარმოადგენს მთავარ ქართულ პარადოქსს“.** მისი აზრით, **„ოპოზიციური პარტიების დამარცხების მთავარი მიზეზი არის ის, რომ მას არ ჰქონდა და არ აქვს ქვეყნის განვითარების ალტერნატიული სამოქმედო პროგრამა და სერიოზული არგუმენტირებული პროგრამის ნაცვლად ქართულ მასმედიაში ყოველდღიურად ვკითხულობთ და გვესმის ხშირად დაუსაბუთებელი, არაკვალიფიციური ბრალდებები“.**

აი, კიდევ ერთი ციტატა: **„საკამათო არ არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ დასავლური ტიპის სამართლებრივი სახელმწიფოსგან, დემოკრატიული იდეალები, რომლებიც წარმოადგენს დასავლური სამყაროს ძირითად პოსტულატებს, ჩვენთვის ჯერ კიდევ რთულად მისაღწევი ფასეულობებია“.**



**რატომ გაახსენდათ აშშ-ში მაინცდამაინც ახლა, რომ «საქართველოში დემოკრატია არც არასდროს ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ბოლო 30 წლის განმავლობაში», და რატომ მიმართავენ დიპლომატიურ ქარაგმებს ამ საბაბით და არა «რუსული საფრთხიდან» გამომდინარე? ეს ერთი; და მეორე — რა არის იმის მიზეზი, რომ ვაშინგტონი არც ისე გაუმჭვირვალედ მიანიშნებს «თავისი პოლიტიკის ლიმიტზე» საქართველოს მიმართ?**



დავუშვათ, ოპოზიციამ მიაღწია რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას, თუმცა სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ მას ამჯერადაც არ ექნება გამარჯვების შანსი, დემოკრატიულ სამყაროში მიღებული წესით კი, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა დააკომპლექტოს არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიამ.

რა მოხდება შემდეგ და როგორ მოგვარდება საქართველოსთვის მტკივნეული პრობლემები? თუმცა პრობლემა ამჟამად სხვა მხრიდან წარმოჩნდა.

რატომ გაახსენდათ აშშ-ში მაინცდამაინც ახლა, რომ „საქართველოში დემოკრატია არც არასდროს ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ბოლო 30 წლის განმავლობაში“, და რატომ მიმართეს დიპლომატიური ქარაგმებს ამ საბაბით და არა „რუსული საფრთხიდან“ გამომდინარე? ეს ერთი. და მეორე — რა არის იმის მიზეზი, რომ ვაშინგტონი არც ისე გაუმჭვირვალედ მიანიშნებს „თავისი პოლიტიკის ლიმიტზე“ საქართველოს მიმართ?

ყველაზე გაბედული ვერსია, რომელიც გამოითქვა, არის **პრობლემები თვითონ ვაშინგტონის კავკასიურ პოლიტიკაში. შესაძლოა, ამერიკაში ვიღაცას არ სურდა, ევროპელი დიპლომატების მისია საქართველოში წარმატებით დასრულებულიყო და ევროკავშირს ხელს უშლიდა, თუმცა ადრე ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ ამერიკელებს განზრახული ჰქონდათ, მხარი დაეჭირათ ოპოზიციისთვის და შეერყიათ „ქართული ოცნების“ პოზიციები.**




**ყველაზე გაბედული ვერსია, რომელიც გამოითქვა, არის პრობლემები თვით ვაშინგტონის კავკასიურ პოლიტიკაში. შესაძლოა, ამერიკაში ვიღაცას არ სურდა, ევროპელი დიპლომატების მისია საქართველოში წარმატებით დასრულებულიყო და ევროკავშირს ხელს უშლიდა, თუმცა ადრე ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ ამერიკელებს განზრახული ჰქონდათ, მხარი დაეჭირათ ოპოზიციისთვის და შეერყიათ «ქართული ოცნების» პოზიციები**

**P.S.** ბრიუსელის ახალ შეთავაზებაზე უარი თქვა ოპოზიციამ და, როგორც ჩანს, არც აპირებდა ხელისუფლებასთან რამეზე შეთანხმებას რიგგარეშე არჩევნების დანიშვნისა და ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე. ეს კი „ქართულ ოცნებას“ კაპიტულაციასა და „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხელისუფლების გადაბარებას ნიშნავს.

Regnum.ru-ზე
გამოქვეყნებული მასალის
მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

**„ამერიკელები უკრაინისთვის არ იბრძოლებენ. მაქსიმუმი, რასაც ისინი გააკეთებენ, არის ცეცხლზე ნავთის დასხმა იარაღის მიწოდების სახით და კიდევ სხვა რამით, რაც საბრძოლო მოქმედებების ესკალაციას გამოიწვევს. უკრაინასა და აშშ-ის თავდაცვის მინისტრების სატელეფონო საუბრები კი განპირობებული იყო რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებს შორის გამართული მოლაპარაკებებით, რომლებმაც ძალიან შეაშფოთა კიევი და ვაშინგტონი.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ უკრაინას ახალი ავანტიურისთვის აქეზებს

## უკრაინელებს 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ვერაფერი ასწავლა



**უკრაინისა და აშშ-ის თავდაცვის მინისტრებმა ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში მეორედ ისაუბრეს ტელეფონით დონბასში შექმნილ ვითარებაზე. უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ანდრეი ტარანმა განაცხადა, რომ ამერიკელები კიევს დაჰპირდნენ „მხარდამჭერ ზომებს“ იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება სამხედრო კონფლიქტი უკრაინასა და რუსეთს შორის.**

**რომელ მხარდამჭერ ზომებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი და რა ემუქრება უკრაინის ხელისუფლებას 2008 წელს სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომის გამეორების შემთხვევაში?**

1 აპრილს გაიმართა სატელეფონო საუბარი აშშ-ის თავდაცვის მინისტრ **უილიამ ლოიდ ოსტინსა** და მის უკრაინელ კოლეგა **ანდრეი ტარანს** შორის, რომლის შემდეგაც ტარანმა განაცხადა, რომ რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში კიევი აშშ-ისგან „მხარდამჭერ ზომებს“ მიიღებს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროში, აგრეთვე, განაცხადეს, რომ უწყების ხელმძღვანელებმა „იმსჯელეს ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებაზე უსაფრთხოების სფეროში“. ტარანმა და ოსტინმა უკვე მეორედ ისაუბრეს ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში. რამდენიმე დღით ადრე კი აშშ-მა რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთში დესტაბილიზაციის გამომწვევ ქმედებებში დაადანაშაულა.

„აშშ-ის დაპირებამ, დაეხმაროს უკრაინას რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, შეიძლება კიევს დათვური სამსახური გაუწიოს“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარია ზახაროვამ.**

**„ყველამ უნდა იმუშაოს ერთი მიზნის მისაღწევად — მშვიდობის დასამყარებლად აღმოსავლეთ უკრაინაში. ვაშინგტონი კი შეიარაღების მოწოდებით, აგრესიული და პროვოკაციული რიტორიკით აქეზებს კიევის რეჟიმს მინსკის შეთანხმების შეუსრულებლობისკენ“,** — განაცხადა დიპლომატმა.

დონბასში შექმნილი ვითარება კრემლში დაახასიათეს, როგორც შემაშფოთებელი, რადგან „უკრაინის შეიარაღებული ძალების მხრიდან ხშირია პროვოკაციები“. ამასთანავე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ანდრეი რუდენკოს** განცხადებით, საუბრები რუსეთსა და უკრაინას შორის ფართომასშტაბიან კონფლიქტზე მორიგი ტყუილია.

„დარწმუნებული ვარ, რომ საუბრები რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტზე მორიგი ფეიკია, რომელსაც, უწინარესად, უკრაინის ხელისუფლება ავრცელებს. რუსეთი დაინტერესებული არ არის, უკრაინასთან რამე კონფლიქტში ჩაერთოს, მით უმეტეს, სამხედრო კონფლიქტში“, — განაცხადა რუდენკომ.

მანამდე კიევში გაისმა განცხადებები უკრაინის შეიარაღებული ძალების მზადყოფნაზე, „გადავიდეს შეტევაზე დონბასში“, ლაპარაკობენ, აგრეთვე, იმაზე, რომ რუსეთმა თითქოს თავი მოუყარა უზარმაზარ სამხედრო ძალას უკრაინის საზღვართან.

„აშშ-ის დაპირების უკან, სიტყვების გარდა, არაფერი დგას, ამერიკელები არასოდეს იბრძოლებენ უკრაინისთვის. **ზელენსკის** მთავრობამ არ უნდა დაიწყოს სირბილი უფროს ძმასთან დახმარების სათხოვნელად. სჯობს, მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ დონბასისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებთან და საკამათო საკითხები მინსკის შეთანხმების მიხედვით მოაგვარონ“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ჯაბაროვმა** და დასძინა, რომ **„კიევი ცდილობს კრემლის პროვოცირებას და სამხედრო კონფლიქტში ჩათრევას იმ იმედით, რომ აშშ-ის დახმარებით რუსეთს დაამარცხებს. არადა, უკრაინამ დღემდე ვერ შეიგნო, რომ თავის არსებობას დიდწილად უნდა უმადლოდეს რუსეთს, რომელიც მას მხარს უჭერს, მათ შორის ბუნებრივი აირის ტრანზიტითაც, ამიტომ საჭირო არ არის რუსეთის პროვოცირება საპასუხო ქმედებაზე; არ არის საჭირო იარაღის ჟღარუნი ჩვენ ცხვირწინ. ეს უკრაინის ხელისუფლებისთვის ცუდად დასრულდება!“** — განაცხადა სენატორმა ჯაბაროვმა.

ჯაბაროვმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმების გარანტორ ქვეყნებს მოსწყინდათ უკრაინის პოლიტიკა. „გერმანელები და ფრანგები მიხვდნენ ზელენსკის რეჟიმთან მუშაობის უპერსპექტივობას, ამიტომ მათ საჭიროდ არ ჩათვალეს, კიევისთვის ეცნობებინათ რუსეთის პრეზიდენტთან გამართული მოლაპარაკებების შესახებ. ისინი პატივს არ სცემენ ზელენსკის და მას სერიოზულ ფიგურად არ მიიჩნევენ“, — დაასკვნა სენატორმა.

ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელის მრჩევლის — **როდიონ მიროშნიკის** აზრით, „ამერიკელები უკრაინისთვის არ იბრძოლებენ. მაქსიმუმი, რასაც ისინი გააკეთებენ, არის ცეცხლზე ნავთის დასხმა იარაღის მიწოდების სახით და კიდევ სხვა რამით, რაც საბრძოლო მოქმედებების ესკალაციას გამოიწვევს. უკრაინასა და აშშ-ის თავდაცვის მინისტრების სატელეფონო საუბრები კი განპირობებული იყო რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებს შორის გამართული მოლაპარაკებებით, რომლებმაც ძალიან შეაშფოთა კიევი და ვაშინგტონი“, — განაცხადა მიროშნიკმა, რომელმაც გაიხსენა, რომ **წლების წინათ ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო, როცა ვაშინგტონის წაქეზებით მიხეილ სააკაშვილმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა და საომარი მოქმედებები დაიწყო ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტოში, რაც საქართველოს მარცხით დასრულდა.**




**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



მაია სანდუ

# მოლდოვამ დახმარება რუსეთს სთხოვა



**მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ 1 აპრილს რუსეთის ელჩ ოლეგ ვასნეცოვს, რუსეთის სავაჭრო-საფინანსო კავშირის გენერალურ დირექტორ სტანისლავ პუგინსკისა და მოლდოვაში რუსეთის ფედერაციის სავაჭრო წარმომადგენელ ვლადისლავ დარვაევს შეხვდა.**

რუსეთსა და მოლდოვას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურების საკითხების განხილვის გარდა, მაია სანდუმ რუსეთის ფედერაციას დახმარება სთხოვა მოლდოვის მოსახლეობის ვაქცინაციაში.

რუსეთის ელჩთან მოლდოვის პრეზიდენტის შეხვედრას გამოეხმაურნენ რუმინელი პოლიტიკოსები და მისი ეს ნაბიჯი შეაფასეს, როგორც „ყველაფერ ევროპულზე უარის თქმა“.

„ეს ტრაგიკული მომენტია და დიდი მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკა მოლდოვა სიგნალს იძლევა, რომ ის ევროპული სივრცის ფარგლებს გარეთ არის, როცა ვაქცინას სხვას სთხოვს. სამწუხაროდ, ეს არის გზავნილი ბრიუსელისთვის“, — განაცხადა რუმინელმა სოციოლოგმა **დან დუნგაჩიუმ.**

**Ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# პარიზის მერის მოადგილე: თეთრებმა ხმა უნდა ჩაიწყვიტონ!

**პარიზის მერის მოადგილის, ოდრი პულვარის, განცხადებამ ფრანგი პოლიტიკოსების (და არა მხოლოდ) აღშფოთება გამოიწვია, როცა გამოთქვა თავისი აზრი სტუდენტურ შეკრებებზე, რომლებზეც თეთრკანიანებს აკრძალული აქვთ მისვლა, — წერს Le Figaro.**

პარიზის მერის მოადგილის თქმით, რასობრივი დისკრიმინაციისადმი მიძღვნილი ღონისძიებებიდან თეთრკანიანების გაგდება არ შეიძლება, მაგრამ მათ „ხმა უნდა ჩაიწყვიტონ“ და ჩუმად უყურონ იმას, რაც ხდება.

დისკრიმინაციისადმი მიძღვნილი შეკრებები სტუდენტთა პროფკავშირების ორგანიზებით, რამდენიმე დღეა, ქვეყანაში ტარდება.

პარიზის მერის მოადგილის სიტყვებმა აღაშფოთა პოლიტიკოსები. პარტია „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერმა **მარინ ლე პენმა** პროკურატურას მოსთხოვა, სისხლის სამართლის საქმე აღძრას პულვარის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზებისთვის. ამ თემაზე ფრანგულ პრესაში დიდი აჟიოტაჟია, მაგრამ თვითონ მერის მოადგილე ჯერ ჩუმად არის.

**Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

«დიპლომატიური» წარუმატებლობები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დიპლომატიურ ენაზე საუბრის უცოდინარობა აშშ-ის მხოლოდ ამჟამინდელი ადმინისტრაციისთვის არ არის დამახასიათებელი. სხვა ქვეყნების მიმართ მოჩვენებითი კეთილგანწყობა და მორალისტურობა ამერიკელი ელიტის თვისებად იქცა. აშშ-ის 28-ე პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისა და მისი უტოპიური დაპირებების შემდეგ, „გადაექცია მსოფლიო „დემოკრატიისთვის უსაფრთხოდ“, ამერიკელი ელიტის ბევრმა წარმომადგენელმა საკუთარი თავის რაინდად წარმოჩენა დაიწყო“.

# The Hill: ბაიდენი სერიოზული წარუმატებლობების ჯაჭვია

**„თავის საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მწვავედ გააკრიტიკა თავისი წინამორბედის, დონალდ ტრამპის, საგარეო პოლიტიკა და განაცხადა, რომ „აშშ აღადგენს კავშირებს და კვლავ ერთობლივად იმოქმედებს“. ერთი თვის შემდეგ კი უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენციაზე თეთრი სახლის ახალმა მეთაურმა განაცხადა, რომ „დიპლომატია დაბრუნდა“, — წერს კათოლიკურ უნივერსიტეტთან არსებული სახელმწიფო მართვის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი უილიამ სმიტი გამოცემა The Hill-ში 31 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში.**





„10-წლიანი გაუთავებელი ომებისა და ამერიკის საგარეო პოლიტიკის მილიტარიზაციის შემდეგ დიპლომატიისადმი ასეთი სიყვარული მისასალმებელია, მაგრამ გულწრფელია კი ის? ამ კითხვაზე პასუხი, სამწუხაროდ, უარყოფითია“, — აღნიშნავს უილიამ **სმიტი.**

* თანამდებობაზე ყოფნის პირველივე დღეს, ვაშინგტონის ერთ-ერთ ახლო მოკავშირესა და სავაჭრო პარტნიორთან დიპლომატიური კონსულტაციების გარეშე, **ბაიდენმა** ჯვარი დაუსვა მილსადენ Reystone-ს და ამით ათასობით სამუშაო ადგილი გაანადგურა აშშ-სა და კანადაში.

* ერთი თვის შემდეგ კონგრესში დემოკრატებს აწყენინა და ბრძანება გასცა, დაებომბათ სირიაში ირანის მიერ მხარდაჭერილი მებრძოლების პოზიციები, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ ირანისთვის გაეგზავნა სიგნალი — მკაფიოდ არადიპლომატიური.

* სირიის დაბომბვიდან 30 დღეც არ იყო გასული, რომ ბაიდენმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** უწოდა „მკვლელი“, რომელიც „გადაიხდის ფასს“ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევისთვის, აგრეთვე, ყველას შეახსენა, რომ, მისი აზრით, პუტინს „სული არ აქვს“. ბაიდენის ნათქვამმა მოსკოვი აიძულა, აშშ-დან ელჩი გაეწვია.

* ამის შემდგ ერთი დღეც არ იყო გასული, რომ ბაიდენის „დიპლომატების“ გუნდი ალასკაზე ჩავიდა ჩინეთის ლიდერებთან შესახვედრად. იმის ნაცვლად, რომ თავდაპირველად შეხების წერტილები მოეძებნათ, ბაიდენის გუნდმა შეხვედრა ჩინეთის საქციელის მწვავე კრიტიკით დაიწყო, რამაც ჩინეთის მკაცრი პასუხი გამოიწვია. ორ ზესახელმწიფოს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას გამოცემა Politico-მ „არადიპლომატიური“ უწოდა.

* ცოტა ხნის წინათ ბაიდენის გუნდმა გააკრიტიკა გერმანიის მხარდაჭერა მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მიმართ, რომლითაც გერმანიამ რუსეთის ბუნებრივი აირი უნდა მიიღოს. კონგრესში ზოგიერთს სურს, რომ ბაიდენმა სანქციები დაუწესოს აღნიშნული მილსადენის მშენებლობაში ჩართულ კომპანიებს. თუ ბაიდენი შეეცდება მილსადენის მშენებლობის მოგუდვას, როგორც ეს მის ზოგიერთ მოკავშირეს სურს ამერიკის კონგრესში, ერთ-ერთი გერმანელი მაღალჩინოსნის თქმით, ვაშინგტონის ასეთი მოქმედების შემთხვევაში გერმანიის მმართველი ქრისტიან-დემოკრატების კოალიციის დიდი ნაწილი აშშ-ის წინააღმდეგ გამოვა.

* რამდენიმე თვის განმავლობაში ბაიდენმა სერიოზული დიპლომატიური უთანხმოებები გამოიწვია აშშ-ის მოკავშირე **კანადასთან,** პოტენციური კატასტროფული განხეთქილებაა **გერმანიასთან,** დიპლომატიის ნაცვლად სამხედრო მოქმედებებს მიმართა **ირანთან.** ყველაზე ცუდი კი იყო მის გამო ურთიერთობების გამწვავება რუსეთსა და ჩინეთთან. **ურთიერთობები ორ ზესახელმწიფოსთან, რომლებიც ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ აშშ-ისთვის, ამჟამად ყველაზე დაბალ დონეზეა ცივი ომის შემდეგ.**

**„ეს სერიოზული დიპლომატიური წარუმატებლობების ჯაჭვია“,** — წერს ავტორი. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ დიპლომატიურ ენაზე საუბრის უცოდინარობა აშშ-ის მხოლოდ ამჟამინდელი ადმინისტრაციისთვის არ არის დამახასიათებელი. სხვა ქვეყნების მიმართ მოჩვენებითი კეთილგანწყობა და მორალისტურობა ამერიკელი ელიტის თვისებად იქცა. აშშ-ის 28-ე პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისა და მისი უტოპიური დაპირებების შემდეგ, „გადაექცია მსოფლიო „დემოკრატიისთვის უსაფრთხოდ“, ამერიკელი ელიტის ბევრმა წარმომადგენელმა საკუთარი თავის რაინდად წარმოჩენა დაიწყო.

ყველას კარგად ახსოვს, როგორ უწოდა სახელმწიფო მდივანმა **მადლენ ოლბრაიტმა** აშშ-ს **„შეუცვლელი ერი“,** ამაყი და **„მომავლისკენ სხვა ქვეყნებზე უფრო შორს მომზირალი“.** ცოტა ხნის შემდეგ **ჯორჯ ბუშ-უმცროსმა** ხაზგასმით აღნიშნა: **„აშშ-ის პოლიტიკის არსი არის ის, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიული მოძრაობებისა და ისტორიულობის განვითარებას ყველა ქვეყანასა და კულტურაში, რათა ბოლო მოეღოს ტირანიას მსოფლიოში“.**

„ნუთუ ვინმე მართლა ფიქრობს, რომ ერი, რომელიც მეტისმეტ სიამაყეს ავლენს თავისი მორალური უპირატესობით, შეძლებს ნამდვილ დიპლომატიურ ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან?“ — სვამს კითხვას უილიამ სმიტი.

ზოგიერთმა პოლიტიკოსმა და ანალიტიკოსმა ბაიდენის ზემოჩამოთვლილ შეცდომებში შეიძლება რაღაც სასიკეთო დაინახოს, მაგრამ ვითარების სიღრმისეულად გაანალიზების შედეგად ნათლად გამოჩნდება ამერიკული ელიტის სერიოზული პრობლემები — **ქედმაღლურმა მორალისტობამ, რომელიც გამეფებულია ამერიკის ელიტურ კოლეჯებში, შვა თაობა ამერიკელი ლიდერებისა, რომლებიც წარმოაჩენენ თავიანთ ქედმაღლობას სხვა ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრებისას.**

**«ამერიკის ელიტებმა თავი ჰუმანიტარებად ჩათვალეს, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ტოლი არ ჰყავთ. თავდასხმები სხვა ქვეყნებზე ამერიკული «დიპლომატიის» მახასიათებელია. ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულების გაგრძელების შემთხვევაში, აშშ-ს კიდევ უფრო მეტი წარუმატებლობა ელის საგარეო პოლიტიკაში»**

დიპლომატ-ექსპერტებისთვის აუცილებელია თავისი ერის ინტერესების ცოდნა და დაცვა, მაგრამ მათ უფრო მეტად სჭირდებათ თავმდაბლობა. **ჭეშმარიტი დიპლომატია მოითხოვს იმის გაცნობიერების უნარს, რომ ჩვენ შესაძლოა, ყველაფერში მართალი არ ვართ; სხვა ხალხებსაც აქვთ ინტერესები და თავიანთი მოსაზრებები“,** — ხაზი გაუსვა სმიტმა.

„პირიქით, — დასძინა ანალიტიკოსმა, — ამერიკის ელიტებმა თავი ჰუმანიტარებად ჩათვალეს, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ტოლი არ ჰყავთ. თავდასხმები სხვა ქვეყნებზე ამერიკული „დიპლომატიის“ მახასიათებელია. ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულების გაგრძელების შემთხვევაში, აშშ-ს კიდევ უფრო მეტი წარუმატებლობა ელის საგარეო პოლიტიკაში“.



**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

THE HILL

**რამდენიმე თვის განმავლობაში ბაიდენმა სერიოზული დიპლომატიური უთანხმოებები გამოიწვია აშშ-ის მოკავშირე კანადასთან, პოტენციური კატასტროფული განხეთქილებაა გერმანიასთან, დიპლომატიის ნაცვლად სამხედრო მოქმედებებს მიმართა ირანთან. ყველაზე ცუდი კი იყო მის გამო ურთიერთობების გამწვავება რუსეთსა და ჩინეთთან. ურთიერთობები ორ ზესახელმწიფოსთან, რომლებიც ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ აშშ-ისთვის, ამჟამად ყველაზე დაბალ დონეზეა ცივი ომის შემდეგ**

# ბაიდენმა კვლავ წაიბორძიკა

**აშშ-ის პრეზიდენტმა თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას კვლავ წაიბორძიკა, მაგრამ ამჯერად არ დაცემულა.**

გამოცემა The Hill-ის მიერ 1 აპრილს გამოქვეყნებულ ვიდეოში ჩანს, როგორ ადის ბაიდენი თვითმფრინავის ტრაპზე წვიმიან ამინდში, ხელში ქოლგა და ჩანთა უჭირავს. ერთ-ერთ საფეხურზე ამერიკის ლიდერმა წაიბორძიკა, მაგრამ არ დაცემულა და ტრაპის ზედა ნაწილს მშვიდობით მიაღწია.

19 მარტს ჯო ბაიდენმა სამჯერ წაიფორხილა და სამჯერ დაეცა თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას, როცა ჯორჯიის შტატში უნდა გაფრენილიყო. თეთრი სახლის პრესსამსახურის წარმომადგენლებმა ბაიდენის დაცემა ძლიერ ქარს დააბრალეს. სხვებმა კი ხუმრობით დონალდ ტრამპის ოინებს მიაწერეს. ინტერნეტში გაჩნდა ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია, როგორ ესვრის ტრამპი ბანანის კანს ბაიდენს ფეხებში ტრაპზე ასვლისას.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



კლიმატური აფერა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XXI საუკუნის შუა წლებში ტემპერატურის 1-2 გრადუსით მომატების პროგნოზები — ეს არის საფარველი, რომლითაც გლობალური ელიტა მალავს ჭეშმარიტ მიზნებს. ამ მიზნებს კი საერთო არაფერი აქვს არც ეკოლოგიასთან, არც კლიმატთან და არც ე.წ. მდგრად განვითარებასთან. ამ მიზნებს შორის პირველ ადგილზეა პლანეტაზე მოქმედი საწარმოების განადგურება.**

# «მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილება კლიმატური პოლიტიკის დახმარებით»

# «დიდი გადატვირთვა» დაიწყო — თვალყური ადევნეთ ფულს

**კლიმატი დიდი ხნის განმავლობაში რომ იქნება საერთაშორისო პოლიტიკის თემა, ბევრი რამ მიუთითებს. კლიმატური ფობიების ატმოსფეროს ენერგიულად ძაბავენ, თუმცა ბევრი სერიოზული სპეციალისტი ამბობს, რომ საფუძველი იმისა, რომ ვირწმუნოთ კლიმატური დათბობის თეორია, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ დედამიწის ტემპერატურული რეჟიმის ნორმიდან შემთხვევითი გადახრების მაჩვენებლები, რომლებიც დამოკიდებულია მზის აქტიურობის ციკლებზე.**

XXI საუკუნის შუა წლებში ტემპერატურის 1-2 გრადუსით მომატების პროგნოზები — ეს არის საფარველი, რომლითაც გლობალური ელიტა მალავს ჭეშმარიტ მიზნებს. ამ მიზნებს კი საერთო არაფერი აქვს არც ეკოლოგიასთან, არც კლიმატთან და არც ე.წ. მდგრად განვითარებასთან. ამ მიზნებს შორის პირველ ადგილზეა პლანეტაზე მოქმედი საწარმოების განადგურება. უნდა ამოქმედდეს მძლავრი დეინდუსტრიალიზაცია, ხოლო მართვა იმისა, რაც ეკონომიკისგან დარჩება, უნდა გადავიდეს მცირე რაოდენობის კორპორაციების ხელში.

**კლიმატური კატასტროფის ცრუ თეზისის მისაღებად დიდხანს ემზადებოდნენ. ამაში დიდი როლი ითამაშა გაეროს 1992 წლის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების კონფერენციამ („სამიტი დედამიწა"). აქ მიღებული კლიმატური ცვლილებების ჩარჩო კონვენციის საფუძველზე 196-მა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა კლიმატის ცვლილებების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ატმოსფეროში სათბურის ეფექტის შემქმნელი (რაც იწვევს ტემპერატურის მომატებას) მავნე აირების (უწინარესად, $CO_2$-ის) გამოყოფის ნულამდე დაყვანას.**

ეკოლოგიისა და კლიმატის საკითხებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალჩინოსნებმა მშვენივრად იციან, რა მიზნებს ისახავს ის შეთანხმებები და პროექტები, რომლებიც მზადდება გაეროსა და მის სპეციალიზებულ ორგანოებში (UNIDP — მრეწველობის ინკლუზიური და მდგრადი განვითარების ორგანიზაცია, UNCTAD — ვაჭრობის ხელშეწყობისა და განვითარების ორგანიზაცია, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა, საერთაშორისო მეტროლოგიური ორგანიზაცია და სხვ.), მაგრამ ამაზე საჯაროდ იშვიათად ლაპარაკობენ.

1988 წელს გაეროს ეგიდით შეიქმნა კლიმატის ცვლილებების საკითხების ექსპერტთა მთავრობათაშორისი ჯგუფი **(Intergovernmental Panel on Climate Change IPCC).** 2007 წელს ამ ჯგუფს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში „კლიმატის ანთროპოგენური ცვლილებების შესახებ ცოდნის დაგროვების, გავრცელებისა და ამ ცვლილებების საწინააღმდეგო ზომების გასატარებლად საჭირო საფუძვლების შექმნისთვის გამოჩენილი ძალისხმევისთვის (IPCC-სთან ერთად პრემია გაიყო აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა **ალბერტ გორმაც** კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ღონისძიებების მოსამზადებლად გაწეული მუშაობისთვის).

IPCC-ის ერთ-ერთი აქტიური წევრია დოქტორი **ოტმარ ედენჰოფერი,** კლიმატის ზემოქმედების პოტსდამის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ეკონომისტი, პარიზის შეთანხმების მოსამზადებელი სამუშაოების საკვანძო ფიგურა. 2010 წლის 14 ნოემბერს ამ გერმანელ დოქტორს ინტერვიუ ჩამოართვა Neue Zurcher Zaitung-მა. ეს მოხდა კლიმატის შესახებ გაეროს მორიგი კონფერენციის წინ, რომელიც უნდა გამართულიყო მექსიკის ქალაქ კანკუნში. ედენჰოფერმა განაცხადა, რომ მომავალი საერთაშორისო შეხვედრა იქნება არა კლიმატის, არამედ მსოფლიო ეკონომიკის საკითხებზე. მან თავისი მოსაზრება ასე განმარტა: **მსოფლიოში ქვანახშირის მარაგი 11.000 გიგანტონად (11 მლრდ ტ) არის შეფასებული. კაცობრიობა თავს ვეღარ მისცემს 400 გიგატონაზე მეტი ქვანახშირის გამოყენების უფლებას, თუ არ უნდა, რომ პლანეტაზე ტემპერატურამ 2 გრადუსზე მეტით მოიმატოს. ე.ი., ქვანახშირის მარაგების 94% კვლავ დედამიწის წიაღში უნდა დარჩეს გამოუყენებელი! ანალოგიური სურათია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიმართაც, რომელთა წვის შედეგადაც $CO_2$ გამოიყოფა.**

ოტმარ ედენჰოფერმა შემდეგ განაცხადა: **„უარი უნდა ვთქვათ ილუზიაზე, რომ საერთაშორისო კლიმატური პოლიტიკა ეკოლოგიური პოლიტიკაა. მას საერთო არაფერი აქვს ეკოლოგიურ პოლიტიკასთან, ისეთ პრობლემებთან, როგორიც არის ტყეების გაჩეხვა ან ოზონური ხვრელი".**

კლიმატოლოგის თანამოსაუბრემ თავი ვერ შეიკავა კომენტარისგან: „ეს დე ფაქტო ნიშნავს ქვეყნებისთვის ბუნებრივი რესურსების ექსპროპრიაციას". ედენჰოფერის რეაქცია ასეთი იყო: „უნდა ითქვას, რომ **ჩვენ დე ფაქტო გადავანაწილებთ მსოფლიო სიმდიდრეს კლიმატური პოლიტიკის დახმარებით. აშკარაა, რომ ნავთობისა და ქვანახშირის მფლობელები ამის გამო აღტაცებულნი არ არიან".**

დავარქვათ საგნებს თავიანთი სახელები.

2015 წლის პარიზის შეთანხმება — ეს არის შეთანხმება არ კლიმატის, არამედ მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილების შესახებ. ეს არის ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი აირით მდიდარი ქვეყნების ექსპროპრიაციის გეგმა.




## 2015 წლის პარიზის შეთანხმება — ეს არის შეთანხმება არა კლიმატის, არამედ მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილების შესახებ; ეს არის ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი აირით მდიდარი ქვეყნების ექსპროპრიაციის გეგმა




**BP Statistical Rewiew of World Energy**-ის კვლევის მიხედვით, ნავთობის მარაგებით მდიდარი ქვეყნების ათეული ასეთია: **ვენესუელა — 300,9 მლრდ ბარელი (მსოფლიო მარაგის 17,6%); საუდის არაბეთი — 266,5 მლრდ ბარელი (15,6%); კანადა — 171,5 მლრდ (10%); ირანი — 158,4 მლრდ (9,3%); ერაყი — 153 მლრდ (9,0%); რუსეთი — 109,5 მლრდ (6,4%); ქუვეითი — 101,5 მლრდ (5,9%); გაერთიანებული არაბული საამიროები — 97,8 (5,7%).**

„ოპეკ"-ის შეფასებით, ბუნებრივი აირის მარაგების მიხედვით **რუსეთი** პირველია მსოფლიოში. რუსეთის ბუნებრივი აირის მარაგმა 2019 წელს 50,279 მლრდ კუბ.მ, ე.ი., მსოფლიო მარაგის 24,38% შეადგინა. შემდეგ მოდიან: **ირანი** (16,48%); **ყატარი** (11,560); **აშშ** (6,91%); **თურქმენეთი** (5,91%); **საუდის არაბეთი** (4,57%); **გაერთიანებული არაბული საამიროები** (2,95%), **ნიგერია** (2,79%), **ვენესუელა** (2,75%), **ალჟირი** (2,18%).

აი ქვანახშირით მდიდარი ქვეყნების ათეული (ფრჩხილებში მოცემულია მსოფლიო მარაგის წილი პროცენტებში): **აშშ (27); რუსეთი (18); ჩინეთი (13); ავსტრია (8). ინდოეთი (7); ყაზახეთი (4); უკრაინა (4); გერმანია (4); სამხრეთი აფრიკა (3); ინდონეზია (3).**

ამას უნდა დაემატოს ინფორმაცია ფიქლური საწვავის მარაგების შესახებ: მსოფლიოში 345 მლრდ ბარელი ამოსაღები ნავთობის მარაგია, რომლის ნახევარზე მეტი მოდის სამ ქვეყანაზე. ეს ქვეყნებია: **აშშ (78,2 მლრდ ბარელი), რუსეთი (74,6 მლრდ ) და ჩინეთი (32,2 მლრდ).**

**ენერგორესურსების საერთო რაოდენობის მიხედვით რუსეთი პირველია მსოფლიოში და სწორედ ის იზარალებს ყველაზე მეტად პარიზის შეთანხმების შედეგად.**

ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა **უილიამ ენგდალმა** რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა სტატია: **„დიდი გადატვირთვა დაიწყო: თვალყური ადევნეთ ფულს" (The Grear Reset is here: Follow the money).** ენგდალი წერს კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმებაზე, როგორც მსოფლიო ეკონომიკის დაგეგმილ გადანაწილებაზე. ამ გადანაწილების მთავარ ინსტრუმენტად ის ასახელებს ESG-ინვესტირებას. ESG — ეს არის სტანდარტები, რომლებითაც უნდა განისაზღვროს ინვესტირების ობიექტების ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი პარამეტრები. ESG სტანდარტების დანერგვა დაევალება გიგანტურ საინვესტიციო ჰოლდინგებს, მაგალითად, როგორიც არის BlackRock-ი.

**როგორც ენგდალი წერს, კლიმატურ დათბობასთან ბრძოლა „სუბიექტური და კონტროლს დაქვემდებარებული თამაშია", რომელსაც „კაპიტალის გლობალური ნაკადები გადააქვს კორპორაციული აქციებითა და ობლიგაციებით „მხარდაჭერილ" რჩეულ ჯგუფებში. ამით წინ წამოწევენ გაეროს ანტიუტოპიურ დღის წესრიგს 2030 წლამდე ან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დიდი გადატვირთვის დღის წესრიგს.**

კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ძლიერი „ნახშირბადოვანი კვალი", მოუსპობენ ინვესტიციებს და ამით განწირულნი იქნებიან სიკვდილისთვის. მათ, უწინარესად, გადაეკეტებათ საწვავის მოპოვების საინვესტიციო ნაკადები. ენგდალი წერს: **„თუ ჩათვლიან, რომ თქვენ ხართ ნახშირბადით დაბინძურების წყარო, როგორადაც დღეს მიიჩნევენ ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ქვანახშირის მომპოვებელ დარგებს, კაპიტალის გლობალური ნაკადები თქვენ ჩამოგართმევთ ინვესტიციებს... ამ ფინანსურ ხროვას (ფინანსური ჰოლდინგების ჯგუფები BlackRosk-ის მეთაურობით) სამიზნეში ჰყავს ამოღებული მსოფლიო ეკონომიკის საფუძველი — ნავთობისა და ბუნებრივი აირის მრეწველობა, აგრეთვე, ქვანახშირის...** ანალიტიკოსების ვარაუდით, უახლოესი 5 წლის განმავლობაში შემცირდება ინვესტიციები და მსოფლიოში უდიდესი ენერგეტიკული სექტორი მკვეთრად დაეცემა".

ნახშირბადოვან ენერგეტიკაზე შეტევა უკვე დაიწყო. **ჯო ბაიდენმა** ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც კრძალავს ბუნებრივი აირის მოპოვების ლიცენზიების გაცემას ფედერალურ მიწაზე (აგრეთვე, შელფის ზონაში). შეჩერებულია მშენებლობა ნავთობსადენისა Keystone XL. ბაიდენის ადმინისტრაცია BlackRosk-თან მჭიდრო კოორდინაციით ამზადებს დოკუმენტს, რომლითაც დაკანონდება ESG სტანდარტები. უახლოეს ხანში ამერიკულ კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ქვანახშირისა და ბუნებრივი აირის მოპოვებით, ჟანგბადს გადაუკეტავენ. შემდეგ კი „ახალი ნახშირბადოვანი წესრიგის" დამცველები ამ წესრიგის დამყარებას აშშ-ის საზღვრებს გარეთ შეეცდებიან.

**Business-gazeta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილიამ იცოდა, რომ ხალხის მიერ შექმნილ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას მოწინავე ხალხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან ამგვარ შეკრებასა და კვლევას „მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“.**

# «რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი»

## რატომ ანიჭებდა ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ურთიერთობების ამსახველი მონაცემების შეკრებას

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**„რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ — აი მთავარი საკითხი, რომელიც უპირველესია იმ საკითხთა შორის, რომლებიც სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებს. „ხალხი, ფეხზეწამომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხი უშრეტი წყაროა სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა“, — გვმოძღვრავს ერის მამა.**

**ილია შესანიშნავად იცნობდა ქართულ სოფელს, გლეხურ კულტურას, საერთოდ, უბრალო ადამიანებს. მიაჩნდა, რომ აუცილებელია „ყველა შეგნებული ქართველისათვის, იცოდეს — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიკურ და იურიდიულ ურთიერთობების შესახებ“.**

**ამ სფეროში მის მიერ გამოთქმულ გარკვეულ მოსაზრებებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ილიამ ზუსტად იცის, როგორ იპოვოს ამა თუ იმ ეროვნული პრობლემის გასაღები და მოარგოს მას კონკრეტული ანალიტიკური მსჯელობა, განავითაროს აზრი, გაუნათოს გონება მკითხველს, დაუსახოს მიზანი, უჩვენოს ჰორიზონტი: „საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს, ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს“. ასეთი მოხელეები, მისი აზრით, სამართალწარმოებისას „უთუოდ აუცილებელი პატივცემულია“.**

**რა ახდენს გავლენას „ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“?**

**სწორედ ამ თემას შევეხებით ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს საკითხებზე ფიქრისა და მსჯელობისაგან შორს დგანან დღეს სწორედ ისინი, ვისაც აქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგას და ხალხის გამო წამებულის მანტია აქვს მოსხმული...**

**1887 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს საპროგრამო წერილს „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“.**



**ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ:**

ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაოდა სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესთეტიურის გემოვნებისა და აზროვნობის გასაცნობადაო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფეროს. ამ გვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას.

**ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, — სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება.** ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და, სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, **მდაბიო ხალხის ეკონომიური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-ჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა.** ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა. სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა მარტოდ-მარტო სახალხო პოეზიის შეკრებას. ეს საკმაო არ არის. არა თუ საკმაო, იქნება ბევრჯერ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს ამ პოეზიამ. რისთვის, როგორ? — გვკითხავს განცვიფრებული მკითხველი. აი რისთვის და როგორ: პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნოებაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველაგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. **ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ.** ჩვენ ამ-ჟამად დავასახელეთ ნაწარმოები ორის სფეროდამ — ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებიდამ. ეს იმიტომ, რომ ერთისა და მეორისაც შეკრება და შესწავლა ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობას და დაკვირვებას თხოულობს, ვიდრე სპეციალურს ცოდნასა და მომზადებას. ვინც ცოტაოდნად ნასწავლია და ხალხში ტრიალებს, ცხოვრობს, თვალყურს ადევნებს იმის ეკონომიურს და იურიდიულს ჩვეულებებს, ის ადვილად შენიშნავს ამ ჩვეულებებს და იმათი ქაღალდზედ გადმოღება ხომ უფრო ადვილი საქმეა. ერთის რომელისამე საგნის ამოჩემება, იმისი „მოდად“ დაწესება და სხვა საგნების დავიწყება კარგი არადროს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება.

**«ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან»**

სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ, როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ. საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნეჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?

* * *

როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ამ წერილით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებას. ილია მოუწოდებდა თანამემამულეებს, შეეკრიბათ ხალხში შემორჩენილი საუნჯე, რომელიც, მწერლის აზრით, დიდ გავლენას მოახდენდა **„ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“.** ილია შეაგონებს თანამემამულეებს, რომ კარგია ხალხური პოეტური ნაწარმოებების შეკრება და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ „სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებებისა“, რომლებიც „სრულიად დავიწყებული გვაქვს“. **პირველ რიგში ის ხალხის ეკონომიკური და იურდიული ურთიერთობების ამსახველი მონაცემების შეკრებას გულისხმობდა: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიკურ და იურდიულ ურთიერთობების შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზედ და სხვა“.**

ილია დარწმუნებულია, რომ: **„სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრებას ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ“.** ილიამ იცოდა, რომ ხალხის მიერ ▶

**„ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის, იცოდეს — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიკურ და იურდიულ ურთიერთობების შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზედ და სხვა“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**დროა გამოფხიზლების, თვალზე გადაკრული ლიბრის მოშორების და შრომის, მუხლჩაუხრელი შრომის, რომელიც არავისგან გვესწავლება; მივხედოთ სახნავ-სათესს, ველ-მინდვრებს... ამ ჩვენს ღვთივკურთხეულ მიწაზე ხომ თითქმის ყველაფერი მოდის, რაც კი უფალს ადამიანის არსებობისთვის შეუქმნია. და საკუთარ თავს ჩვენვე რომ უნდა ვუპატრონოთ, ეს ხომ ცხადზე უცხადესია.**





















◀ შექმნილ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას მოწინავე ხალხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან ამგვარ შეკრებასა და კვლევას „მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი. მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ — **რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“.**

ილია მოუწოდებდა „ნასწავლ საზოგადოებას“: „ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებით ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“. ხოლო საისტორიო წყაროებში დადასტურებული მთელი რიგი მოვლენების აღდგენა ეთნოგრაფიული ფაქტების საშუალებით უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებით კი ხალხში შემონახული იმ ტრადიციების საშუალებით, რომლებიც სამეურნეო-ეკონომიკურ, სოციალურ და სარწმუნოებრივ საკითხებს ეხებოდა. ილია ჭავჭავაძემ შეკრიბა განათლებული ადამიანები და დაავალა საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეთნოგრაფიული მასალების შეკრება. ესენი იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, (წერდა შესანიშნავ წერილებს ფშავისა და ხევსურეთის შესახებ), ნიკო ხიზანიშვილი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ), ალექსანდრე ყაზბეგი (მოხევეების ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებს), ნიკოლოზ აბაზაძე (შემოგვინახა ეთნოგრაფიული რეალიები ქართლის შესახებ), დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები (საინგილოს შესახებ მასალებს კრებდნენ), ზაქარია გულისაშვილი (კახეთში), ივანე გვარამაძე (სამცხე-ჯავახეთში), თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია (აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში), ბესარიონ ნიჟარაძე (სვანეთში). ასე რომ, ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოლოგიური კვლევის ორგანიზატორი გახლდათ.

**ქვეყნის წინსვლისათვის ილიას აუცილებლად მიაჩნდა პროგრესული იდეების დანერგვა, თუმცა მოითხოვდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციებისთვის ანგარიშის გაწევას, მათ დაცვას, რადგან ისინი ქართველმა ხალხმა შექმნა.**

რაც შეეხება ქართველი ერის გადარჩენის პრობლემას, ამ საკითხის გადასაწყვეტად ილიასთვის მთავარი იყო ეკონომიკური წყობის, მიწათმოქმედების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის კვლევა (გუთნისა და ხმლის ერთობლიობა), რაშიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტებს გულისხმობდა. ამიტომაც მისი ხელდასხმით საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დაგზავნილ სწავლულებს სწორედ აღნიშნული მოვლენის აღნუსხვა ევალებოდათ.

მართალია, ილია ჭავჭავაძე წერდა ქართველთა წარსულზე, მაგრამ **მისთვის მთავარი მაინც ქვეყნის მომავალი, ქართველი ხალხის გადარჩენის საკითხი იყო.** ეს პრობლემა, რომელიც ილიას დროს აქტუალური იყო, დღესაც აქტუალურია. ამ საკითხს მიუძღვნა მან საყოველთაოდ ცნობილი პუბლიკაცია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ თითქოს დღევანდელ ქართველებს მიმართავს: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთათქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ. ვართ-კი ასეთნი?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. დიახ, წარსულში თუ ვაჟკაცობამ, ხმალმა გვიხსნა, რომელსაც ქართველები თავად ჭედავდნენ, ილია თანამემამულეებს მოუწოდებს, რომ „წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულობა მანქანისა. ეხლა ... ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს“. იქვე მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ **„ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ეს ყოველივე ვიცით და ვემზადებით?..** რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმული ეთნოლოგიასთან? — ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ერის გადარჩენის პრობლემაა და ეთნოლოგია მხოლოდ წარსულში შექმნილი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემსწავლელი მეცნიერება არაა. ის თანამედროვეობასაც სწავლობს, ძველსა და ახალ ყოფას მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს.

ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ქართველი ერის ძირითად სამეურნეო საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა, ჩვენს წინაპრებს მხოლოდ ვაჭრობისთვის რომ მიეყოთ ხელი, დაიქსაქსებოდნენ და ეროვნული კონსოლიდაცია შეუძლებელი იქნებოდა: **„მარტო ვაჭრობაზე მიქცეული ერი დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტულია“, ქართველები კი სწორედ მიწაზე მიჯაჭვულობამ გადაარჩინა. ახლა რას იტყოდა ერის მამა, ახლა, როცა ნახევარი საქართველო უცხოეთშია გადახვეწილი აქ დატოვებული ოჯახის გამოსაკვებად, როცა მომრავლდა გამოკეტილი სახლები და ნასახლარები?! დროა გამოფხიზლების, თვალზე გადაკრული ლიბრის მოშორების და შრომის, მუხლჩაუხრელი შრომის, რომელიც არავისგან გვესწავლება; მივხედოთ სახნავ-სათესს, ველ-მინდვრებს... ამ ჩვენს ღვთივკურთხეულ მიწაზე ხომ თითქმის ყველაფერი მოდის, რაც კი უფალს ადამიანის არსებობისთვის შეუქმნია. და საკუთარ თავს ჩვენვე რომ უნდა ვუპატრონოთ, ეს ხომ ცხადზე უცხადესია.**

**«შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ეს ყოველივე ვიცით და ვემზადებით?»**

ვირეშმაკული ფორმულა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სამხედრო ხარჯმა 2020 წლისთვის სამ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, რომელიც შარშანდელზე 7,4 პროცენტით მეტია და პერსპექტივაში იმატებს. მსოფლიო თავდაცვის ხარჯი 1,8 ტრილიონიდან 1,93 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.**

**იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელიც დღეს მსოფლიოშია შექმნილი, ერთადერთი სახელი მოეძებნება — ქაოსი. კოსმოგონიისა და კოსმოლოგიის კატეგორიაა, სამყაროს თავდაპირველი მდგომარეობა, მატერიისა და სივრცის უფორმო ერთობლიობა. მითიური დრო-ჟამი. ჩვეულებრივ ყოფაში — უწესრიგობა, არეულობა. მოკლედ, „ბარდაკი".**
**თუმცა, როგორც ამბობენ, ყველაზე მოწესრიგებული ვითარება სწორედ „ბარდაკშია", ანუ ბორდელში. მაგრამ არა პოლიტიკურ საროსკიპოში. პოლიტოლოგებს რომ უსმინო, ასე გამოდის. ამაში დასარწმუნებლად ერთ-ერთი ტელეარხის თოკშოუს საგაზეთო ვერსიისთვის თვალის გადავლება ვცადოთ.**

# ხატი დაიმსხვრა, დაფიცება უაზრობაა



**როგორც კი ახლო აღმოსავლეთისა და დედამიწის სხვა ნაწილებში ქრება ასეთი «ავტორიტარული სახელმწიფოები», ანუ იქ, სადაც სურთ მოდერნიზაცია, ჩამორჩენის დაძლევა, უცებვე ვითარდება არქაიკა თავისი ნეგატიური მრავალფეროვნებით**

თემა: დასავლეთის — აშშ-ის — ამბიციურობა, რომელმაც **ბაიდენის** პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მსოფლიოს მართვა მოინდომა ძველებურად, ერთპოლუსიან სივრცეში საერთაშორისო სამართლის შეცვლით, რომელიც ვიღაცის მოგონილ წესებზეა დაფუძნებული და გაუგებარ ენაზეა დაწერილი, განსაკუთრებული მთარგმნელი რომ სჭირდება, ისეთზე: რადგან ერთი და იმავე სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახმარი. მაგალითად, მიიჩნევენ, რომ, თუ რუსეთი საკუთარ ტერიტორიაზე თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილებს გადააადგილებს, ამით კოლოსალურ საშიშროებას უქმნის სხვა ქვეყანას, მაშასადამე, მოქმედებს აგრესიულად და, საერთოდ, მისი აგრესიული ბუნება პრობლემურია უწინარესად ამერიკისთვის.

როგორც ყოველთვის, ანუ უფრო ზუსტად, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ საბჭოთა კავშირი თავის მოუგვარებელ პრობლემებს აშშ-ის აგრესიულობით ხსნიდა.

ან წარსულის გადმონაშთად მიიჩნევდა.

ასე იყო.

დღეს საპირისპირო მიმართულებით შებრუნდა გლობალური პროპაგანდის ბორბალი და მსოფლიო პრესის მატრიცაზე სხვა სურათი დაიწნეხა: **ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სამხედრო ხარჯმა 2020 წლისთვის სამ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, რომელიც შარშანდელზე 7,4 პროცენტით მეტია და პერსპექტივაში იმატებს. მსოფლიო თავდაცვის ხარჯი 1,8 ტრილიონიდან 1,93 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.**

სხვა ქვეყნებისა — 0,8 ტრილიონი დოლარია.

ამასთან შედარებით რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი მიზერულია.

**ნატო ოფიციალურად აცხადებს, რომ სამხედრო კავშირია და არა პოლიტიკური ბლოკი, რომლითაც ადრე თავს იწონებდა.**

ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის, **სერგეი კურგენიანი,** ფიქრობს, რომ ქვეყნების დემოკრატიულ და ავტორიტარულ სახელმწიფოებად დაყოფა გაცილებით შემაშფოთებელია, ვიდრე დღეს მიიჩნევენ. ჯერ ერთი, იდეოლოგიურ ეპოქაში დაბრუნებას ნიშნავს ერთგვარი ტომობრივი დაპირისპირების ფორმით, ანუ „ცივი ომის" ურთიერთობების აღორძინებას.

მაგრამ არავითარი დიქტატორული რეჟიმი, როგორც ისინი უწოდებენ, სინამდვილეში კი ეროვნული სახელმწიფოები, ძლიერი ლიდერებით, აშშ-ს არ სჭირდება. ცუდი რა ხდებოდა, მაგალითად, **მუბარაქის** ეგვიპტეში? თვალებში შესციცინებდნენ ამერიკელებს — ყველაფერს ისე შევასრულებთ, თქვენ როგორც გვიბრძანებთო. **ასადის** ოჯახიც თითქოს არასოდეს ყოფილა ანტიდასავლური განწყობით დატვირთული. **კადაფიც** ძალიან ცდილობდა, ბოლო დროს თავი მოეწონებინა დასავლეთისთვის.

მაგრამ მოიცილეს.

რატომ?

იმიტომ, რომ ე.წ. ავტორიტარული სახელმწიფოები, ანუ ძლიერი ეროვნული სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ იმ ქვეყნების მოდერნიზაციის სუბიექტები, რომლებმაც ცხოვრების ასეთი ტიპი აირჩიეს. მაშასადამე, საჭირო არ არის პერიფერიული მოდერნიზაცია.

როგორც კი ახლო აღმოსავლეთისა და დედამიწის სხვა ნაწილებში ქრება ასეთი „ავტორიტარული სახელმწიფოები", ანუ იქ, სადაც სურთ მოდერნიზაცია, ჩამორჩენის დაძლევა, უცებვე ვითარდება არქაიკა თავისი ნეგატიური მრავალფეროვნებით.

კოტდივუარის პრეზიდენტმა ერთხელ განაცხადა, რომ შეასრულა ამერიკელების მოთხოვნა და მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა ტომებს შორის მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრას, შედეგად კი მივიღეთ ტომებს შორის განხეთქილება დემოკრატიის სახითო. ასე მოხდა ყველგან: არ არის ერთიანი ლიბია, არ არსებობს ერთიანი სირია, აღარასოდეს იქნება ერთიანი ერაყი. დაბრუნდა არქაიკა, რომელმაც ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოები ჩამოაყალიბა.

ვინ დარჩება მოგებული ასეთ მსოფლიოში? უთუოდ ევროპის მოდერნისტული ხელისუფლება, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება შეეძლება საკმაოდ მკაცრი ღონისძიებების განხორციელებით. თუ ვერ შეძლებს, „ძმები მუსლიმები" ჩაენაცვლებიან, რომლებიც ხალიფატს მოისურვებენ და შექმნიან კიდეც. ვინ არიან ეს „ძმები მუსლიმები"? მათი პირველი მეჩეთი ააგო ლორდმა **კრომველმა** სუეცის არხის ზონაში...

ეს ფიქტიური ისლამიზმი ყოველთვის იმართება სხვა ძალების მიერ. ლაგამი აქვს ამოდებული და მავანს მიუქსევენ, როცა დასჭირდებათ. ზოგჯერ იგი თავს აიწყვეტს, როგორც 2001 წელს მოხდა. როგორც კი იტყვიან, რომ ავტორიტარული სახელმწიფოები მტრებია, უცებვე ამოუშვებენ ქაოსს, როგორც ჯინს ბოთლიდან, ე.ი. სჭირდებათ ქაოსი.

მართული არეულობა.

ვის დაცვაზე ამბობს უარს **ერდოღანი?** თითქოს პაკისტანთან მეგობრობს, მაშასადამე, ჩინეთსაც უნდა ემეგობროს. იუგურები კი ცუდები არიან. ჩვენ უნდა დავიცვათ იუგურელი ძმები. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ავაფეთქოთ ჩინეთის სტაბილურობა.

გამოდის, რომ თუნდაც მხოლოდ ეს თეზისი, რომ ვმოძრაობთ ავტორიტარიზმის სამყაროს წინააღმდეგ, დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ, არის დაბრუნება ბინარულ იდეოლოგიურ მსოფლიოში, ე.ი. „ცივი ომის" მსოფლიოში. ეს კი ნიშნავს ამ მოძრაობაში რუსეთისა და ჩინეთის ჩათრევას, რომლებიც ამის წინააღმდეგნი არიან.

**ამერიკელები ამბობენ, რომ ისინი აკეთებენ იმას, რაც სურთ, ხოლო რუსეთი ავტორიტარულ სახელმწიფოდ დანიშნეს და ასეთად დარჩება, რადგან შეერთებულ შტატებს რუსეთის ფედერაცია მეორე იდეოლოგიურ პოლუსად სჭირდება.** როგორადაც უნდა მოიქცეს რუსეთის ხელისუფლება, როგორი მანევრებიც უნდა განახორციელოს მისმა პოლიტიკურმა სისტემამ, აშშ მას მოაქცევს ზუსტად იქ, სადაც თავად სურს და როგორადაც აქვს ნავარაუდევი, ანუ ეს მსოფლიო ბინარულ-იდეოლოგიურია.

ეს კი ნიშნავს იალტის გადაწყვეტილებების თანდათანობით გაუქმებას, იმ მსოფლიო მოწყობაზე უარის თქმას, რომელშიც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი უშიშროების საბჭო.

ანალიტიკოსთა ამ ჯგუფის აზრით, ეს ნიშნავს ერთგვარ ულტიმატუმს, რუსეთისთვის წაყენებულს, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: **თქვენ (რუსეთი) იმოქმედებთ, როგორც საჭიროა, ჩვენ (ამერიკელები) ვიმოქმედებთ ისე, როგორც გვსურს.**

ერთი ვირეშმაკული ფორმულაც შემოაგდეს ამერიკელებმა ნატოსთან დაკავშირებით. თუ აქამდე ნატოს წევრი ვერ გახდებოდა ვერც ერთი ქვეყანა მოუგვარებელი საშინაო კონფლიქტით, ამჟამად კარს უღებენ, მობრძანდითო! აქცენტს აკეთებენ იმ ქვეყნებზე, რომელთა საშინაო კონფლიქტებში რუსეთია ჩარეული, ან მიაწერენ ჩარევას.

ამერიკელების პოზიცია ასე შეიძლება ტრანსლირდეს:

— **ჩვენ (აშშ) ნატოში მივიღებთ ამგვარ ქვეყნებს და მაშინ აღმოჩნდება, რომ თქვენ (რუსეთს) ოკუპირებული გაქვთ ნატოს ტერიტორიის ნაწილი.**

უმარტივესი ლოგიკაა: ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა, აღფრთოვანება იმით, რომ ხვალ თუ არა ზეგ აუცილებლად ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაგვაწევრებენ, ნიშნავს რუსეთთან ომის ყულფში საკუთარი ნებით თავის გაყოფას, მოლაპარაკების გზით საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებაზე უარის თქმას საკუთარი ნებით.

ვერ ვიხსენებ, რომ საქართველოს „პირველი დიპლომატი", ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ამ თემაზე ლაპარაკით დაღლილიყო სატელევიზიო ეთერში გამოსვლით ან სპეციალური პრესკონფერენციის მოწყობით ჩიტაძის ქუჩაზე.

**უმარტივესი ლოგიკაა: ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა, აღფრთოვანება იმით, რომ ხვალ თუ არა ზეგ აუცილებლად ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაგვაწევრებენ, ნიშნავს რუსეთთან ომის ყულფში საკუთარი ნებით თავის გაყოფას, მოლაპარაკების გზით საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებაზე უარის თქმას საკუთარი ნებით**

ამერიკელები ცდილობენ, მსოფლიო წარმოგვიდგინონ, როგორც ამერიკულ-ცენტრისკენული ერთობა; სამყარო, რომლის ცენტრში აშშ-ის ინტერესებია. სხვა ყველაფერი მაქსიმალურად მეორეხარისხოვანია.

ანალიტიკოს **ოლეგ მოროზოვის** აზრით, ყველაფერი, რაც დღეს ხდება, ამერიკული ლიდერობის გლობალური კრიზისის პროდუქტია.

პესიმისტები ამჟამინდელ მდგომარეობას მსოფლიო ომისწინა მდგომარეობას უწოდებენ, რეალისტები — პოლუსებგარეშეს, ოპტიმისტები — მრავალპოლუსიანს.

თუ წარმოვიდგენთ, რომ დღეს ომისწინა მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვინ იგულისხმება მთავარ ობიექტად? რა თქმა უნდა, რუსეთი. რატომ მაინცდამაინც რუსეთი და არა ჩინეთი, რომელიც მსოფლიოში მეორე ეკონომიკაა?

რუსეთი აშშ-ის მთავარი რეალური კონკურენტია სამხედრო თვალსაზრისით.

ასე მიიჩნევენ აშშ-ში.

ამიტომ ამერიკის ლიდერობის დაბრუნება კოლოსალურ ზემოქმედებად შემოუბრუნდება რუსეთს ყველა მიმართულებით.

ამერიკელების ლიდერობის დაბრუნება ისე, როგორც მათ წარმოუდგენიათ, შეუძლებელია, მაგრამ, ცდას რომ არ დააკლებენ, ცხადზე უცხადესია. გასაგებია, რომ ბაიდენის პრეზიდენტობის ოთხწლედი ამ ნიშნით წარიმართება.

რუსეთის წინააღმდეგ ეს ლაშქრობა, ექსპერტების აზრით, ფრიად ძლიერი და დამანგრეველი იქნება, რომელსაც შესაბამისი წინააღმდეგობა დახვდება.

იქნება ომი. არა ისეთი, როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო, არც ისეთი, როგორც „ცივი ომი", რომელმაც საბჭოთა სისტემას საძირკველი შეურყია.

* * *

**დასკვნა, რომელიც, გამორიცხული არ არის, კრემლის საგარეო პოლიტიკის კვინტესენციის ერთგვარი თავისუფალი ტრანსკრიფცია იყოს, ასე ყალიბდება:**

**დროა, მსოფლიო პოლიტიკაში გადავიდეთ პრაგმატიზმზე: რაც მომგებიანია, უნდა ვაღიაროთ და მივიღოთ; რაც მომგებიანი არ არის, იმაზე უარი ვთქვათ; უნდა ვისწავლოთ. მთელი მსოფლიო დღეს პრაგმატული და ცინიკური წესებითაა მოწყობილი. რატომ უნდა ვიცხოვროთ აბსოლუტურად დანგრეული, განადგურებული საერთაშორისო სამართლის წესებით?!**

**ხატი დაიმსხვრა, დაფიცება უაზრობაა.**

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## აბორტი სატანისთვის შეწირული მსხვერპლია

**ტეხასის (აშშ) სატანისტური ტაძრის ლიდერებმა შტატის სასამართლოში შეიტანეს საჩივარი იმის გამო, რომ აბორტების გაკეთების ნება არ დართეს, რაც მათი „რელიგიური რწმენის“ შელახვაა.**

სატანისტების განცხადებით, სატანის თაყვანისცემა გულისხმობს ორსულობის შეწყვეტას და ისეთივე აუცილებელია, როგორც ქრისტიანისთვის ზიარება და პირჯვრის დაწერა.

დაუბადებელი ბავშვების მკვლელობა — აი, რას მოითხოვს სატანა, ტეხასში კი აკრძალულია აბორტის გაკეთება ორსული ქალის თანხმობის გარეშე.

სარჩელი ტეხასში მცხოვრებმა ანონიმმა ქალმა შეიტანა, რომელიც ორსულად იყო და ამტკიცებდა, შტატის კანონები ბღალავს მის რელიგიურ რწმენას.

## ესპანეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ევთანაზიის ლეგალიზაციას



**ესპანეთის პარლამენტმა 18 მარტს მოიწონა კანონპროექტი ევტანაზიის ლეგალიზაციის შესახებ. საკანონმდებლო ინიციატივას ორივე პალატაში ორი წლის განმავლობაში განიხილავდნენ.**

ვარაუდობენ, რომ ეს კანონი სამ თვეში შევა ძალაში და ესპანეთი იქნება ევროპის მეოთხე ქვეყანა ნიდერლანდების სამეფოს, ბელგიისა და ლუქსემბურგის შემდეგ, რომელშიც ეს პროცედურა ოფიციალურად ამოქმედდება.

ევთანაზიის მოთხოვნის უფლება ექნებათ ესპანეთის სრულწლოვან მოქალაქეებს ან მათ, ვისაც მოქალაქეობის მიღების უფლება მიეცემათ. გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პაციენტი და არავინ სხვა. ამასთანავე, თხოვნის განხილვის პროცესის მიმდინარეობისას მან, სულ ცოტა, ოთხჯერ უნდა დაადასტუროს თავისი სურვილი.

ევთანაზიის შესახებ თხოვნას შეაფასებენ ექიმები და სპეციალური კომისია. იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოთხოვნა ზუსტად იქნება შესრულებული, „ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს მოკვდინებისთვის საჭირო დახმარება“. პროცედურა განხორციელდება ან საავადმყოფოში, ან პაციენტის საცხოვრებელში.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ჩვენი საუკუნის კრედო: თავი მოიკატუნე და იცრუებ



**უახლესი გამოკვლევებით დადგინდა, ურთიერთობის პროცესში ადამიანების 80 პროცენტი იტყუება, უფრო ჭკვიანი და უფრო მიმზიდველი რომ გამოჩნდეს. რესპონდენტების ორმა მესამედმა კიდეც აღიარა, რომ შთაბეჭდილების მოსახდენად განუცხადებია, ვითომ წაკითხული აქვს ისეთი სერიოზული ნაწარმოები, როგორიც ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობაა“. გამოკითხულთა მეექვსედის განცხადებით, არ ერიდებოდნენ თავიანთი განათლების დონის გაზვიადებას და უცხო ენების ცოდნის რაოდენობრიობის გაზრდას**.

რესპონდენტების 11 პროცენტი თავიანთი თანამდებობის დონესა და მნიშვნელობას გაცილებით მეტად წარმოადგენენ, ვიდრე სინამდვილეშია. მათი ამდენივე პროცენტი იტყუება, რომ შესანიშნავად ერკვევა ღვინოებში.

53 პროცენტი აღიარებს, რომ იცვლიდა გარეგნობას, უფრო ჭკვიანად თავის გასასაღებლად.

მათი ტაქტიკური ხრიკების არსენალშია მკაცრ საქმიან კოსტიუმებში გამოპრანჭვა, რომლითაც ჩვეულებრივ იმოსებიან ჭკვიანი ადამიანები, ასევე, სათვალეების ხმარება, მიუხედავად იმისა, სჭირდებათ თუ არა.

20 მამაკაციდან ერთი ამავე მიზნით ატარებდა ულვაშს ან წვერს, ქალების 3 პროცენტი ქერა თმას მუქად იღებავდა.

ბრიტანელების სამი მეოთხედი ამტკიცებს, რომ მათ ხიბლავთ გონიერება, რომ პარტნიორის სილამაზეზე მეტად მოსწონთ მისი ჭკუა.

სპეციალისტი **ჯო ჰიმონგსი** ამბობს: „კვლევებით დამტკიცდა, რომ გონიერება ყველაზე მეტად ფასობს და ბევრი ჩვენგანი თავს არ ზოგავს, საზოგადოებას თავი იმაზე ჭკვიანად მოაჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია. პატივმოყვარე პიროვნებები ინტელექტუალებად ასაღებენ თავს“.

* არსებობს კიდევ ერთი ეშმაკური ხრიკი, რომელიც სხვების ხარჯზე ხორციელდება, უფრო ზუსტად, სხვების ზეპირმეტყველებაში დაშვებული შეცდომების ხმამაღლა გასწორებაში და დრო და დრო საუბარში ცნობილი გამონათქვამების, ციტატების ჩართვაში.

* ყოველი მერვე გამოკითხული მიმართავს ცნობარებსა და ლექსიკონებს საკუთარი აზრის ქაღალდზე გადმოტანის დროს.

* რესპონდენტების 8 პროცენტმა აღიარა, რომ საზოგადოებაში ყოფნისას პოპულარულ ფილმებს სისულელედ მოიხსენიებს, თუმცა თავად მოსწონს აღნიშნული კინოსურათები.

* რესპონდენტების 6 პროცენტი შთაბეჭდილების მოსახდენად აცხადებენ, რომ მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში არიან. 5 პროცენტი კი მნიშვნელოვან წვეულებაზე წასვლის წინ კითხულობენ თავიდან იმდღევანდელ ინფორმაციებს აქტუალურ თემებზე.

* თავის წარმომჩენთა 5 პროცენტი დეკლამირებენ ლექსებს, 3 პროცენტი კი შინ მალავს „ჭკვიან წიგნებს“.

* პატივმოყვარე რესპონდენტების 10 პროცენტი თავს სომალიად ასაღებს.

* გამოკითხულთა 52 პროცენტს შინ გამოფენილი აქვს წიგნები, რომლებიც არასოდეს წაუკითხავს. ყველაზე პოპულარული წიგნები, რომელთა წაკითხვითაც ტრაბახობენ, არის **ჯორჯ ორუელის** „1984 წელი“, **ლევ ტოლსტოის** „ომი და მშვიდობა“ და **ჩარლზ დიკენსის** „დიდი იმედები“.

* ქალები კაცებზე მეტად ცდილობენ ნაკითხებად თავის წარმოჩენას, თუმცა კლასიკურ ლიტერატურას, შესაძლოა, მხოლოდ ტელეეკრანიზაციით იცნობენ.

* მამაკაცები განათლების მაღალი დონით ტრაბახობენ.

* ჭკვიან და მცოდნე პიროვნებებად საკუთარი თავის წარმოსაჩენად კაცები ქალებზე უფრო მეტად ციტირებენ ცნობილ გამონათქვამებს.



## სიბიძე და სატანიზმი: დანიაში 10-12 წლის ბავშვებს სქესის შეცვლის უფლებას დართავენ

**დანიის ეთიკის საბჭომ სამეფოს ხელისუფლებას ურჩია 10-12 წლის ბავშვებს სქესის შეცვლის ნება დართონ, — იუწყება გამოცემა Berlingske. აღნიშნავენ, რომ სწორედ ამ წლოვანების ბავშვებმა შეიძლება განიცადონ სტრესი თავიანთი გენდერული იდენტურობისა და სქესთა შორის არსებული განსხვავებით, რომელიც ბავშვს დაბადებისთანავე მიაწერეს.**



„ეს გადაწყვეტილება ეფუძნება ცოდნას, რომელსაც დღეს ვფლობთ. ამიტომ უნდა განვაგრძოთ მონაცემების შეგროვება. ეს არ არის უსაფუძვლო სპონტანური გადაწყვეტილება. ჩვენ მრავალ ექსპერტს ვესაუბრეთ, რომლებმაც დაგვიდასტურეს, რომ სწორედ ეს ასაკი არის ოპტიმალური“, — განაცხადა დანიის ეთიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ანა-მარია აქსე ჰერდესმა.**

ინიციატივას მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულმა მმართველმა პარტიამ. შესაბამის კანონპროექტს პარლამენტში უახლოეს მომავალში განიხილავენ.

## საბერძნეთში მღვდლებს ვაქცინაციის ცნობის გარეშე არ შეუშვებენ ეკლესიაში

**საბერძნეთში მიტროპოლიის საკათედრო ტაძრებს მხოლოდ სამი მთავარი დღესასწაულისთვის გახსნიან. მღვდლებსა და მომღერალთა გუნდების წევრებს ეკლესიებში შესვლის ნებას დართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ კორონავირუსზე ვაქცინაციის ან უარყოფითი ექსპრესტესტების დამადასტურებელი ცნობები.**



ქვეყანაში უკვე იყო შემთხვევა, როცა მღვდელმსახურმა შეწყვიტა ლიტურგია და გამოიძახა პოლიცია იმის გამო, რომ მრევლის წევრი უნიღბოდ იყო მისული. ეს მოხდა ატიკის ქალაქ კითსში. პოლიციელებმა მრევლის წევრი დააჯარიმეს 600 ევროთი. სამართალდამცველებთან ურთიერთობის შემდეგ ეს კაცი კვლავ უნიღბოდ შებრუნდა ტაძარში.

მორწმუნე ადამიანმა, რომელმაც პრინციპულობა გამოიჩინა, განაცხადა, რომ ეკლესიაში არასოდეს მისულა ნიღბით, თუმცა ქალაქში ყოველთვის ნიღბით დადის. მიაჩნია, რომ ტაძარში არასოდეს დაავადდება, ნიღბით შესვლა „ღმერთისა და მისი სახლის შეურაცხყოფაა“.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1807 წელს პიზანების ოჯახმა ვილა ნაპოლეონ ბონაპარტეს გადასცა. ეს ლაბირინთი ერთ-ერთ რთულ ლაბირინთად ითვლება მსოფლიოში. დამთვალიერებლებმა შეიძლება საათობით იხეტიალონ, სანამ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არ ჩავარდებიან და მშველელს არ მოუხმობენ. ლეგენდის თანახმად, ამ ლაბირინთში გზა ვერ გაიკვლია ნაპოლეონმა, რომელიც დაენაძლევა თავის ერთ-ერთ გენერალს, რომ გასასვლელს 1 საათში იპოვიდა.**

# ყველაზე უცნაური და ლამაზი ლაბირინთები

**ლაბირინთი — ეს არის სივრცე, შესაძლოა, ნაგებობა, რომელშიც დახლართული ბილიკებით უნდა მიხვიდეთ გასასვლელთან, სხვაგვარად ჩიხში შეხვალთ. ძველად ადამიანები ქმნიდნენ ასეთ უცნაურ დერეფნებსა და ბაღებს, რათა გზა-კვალი აერიათ მტრებისთვის. ადამიანი, რომელიც არ იცნობდა ლაბირინთს, იბნეოდა და საათების, დღეების, ზოგჯერ კვირების განმავლობაშიც ეძებდა გასასვლელს. ლაბირინთებს ყველაზე ხშირად იყენებდნენ ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები და ჩინელები.**
**ლაბირინთის სიმბოლოსთან დაკავშირებულია რელიგია და მისტიკა. ბოლო ხანს ლაბირინთს აგებენ, როგორც დეკორატიულ ბაღს დამთვალიერებლებისთვის. ახალგაზრდებს შორის, აგრეთვე, პოპულარულია კვესტ-ოთახები (სათავგადასავლო ოთახები) ლაბირინთებით, რომლებშიც საჭიროა გასასვლელის მოძებნა გარკვეული დროის განმავლობაში. ლაბირინთების უცნაურ და დახლართულ ბილიკებს საკმაოდ ბევრ კინოფილმში ნახავთ.**
**გაეცანით მსოფლიოში ყველაზე ცნობილ 7 ლაბირინთს.**



## ლონდონის მიწისქვეშეთი

პირველი მიწისქვეშა ლაბირინთები ლონდონში ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ გათხარეს. ეს მიწისქვეშა დერეფნები ქალაქთან ერთად იზრდებოდა და მოძალადეების, ქურდების, მკვლელებისა და მკვდრების ადგილად იქცა. XVI საუკუნის ლონდონის კლასიკურ ჯურღმულებს დღესაც ათვალიერებენ ტურისტები მცირე თანხის გადახდის შემდეგ. თუ გიდსაც აიყვანთ, შეძლებთ ჯურღმულების ლაბირინთის სიღრმეში შესვლას და წამების კამერებისა და მუმიფიცირებული ნეშტების ნახვას.



## პიზანის ვილის ლაბირინთი სტრაში

ვენეციის ოლქის დასახლებულ პუნქტ სტრაში მდებარე პიზანის ვილის პარკი იტალიის 10 საუკეთესო პარკის სიაშია. ეს პარკი თავისი ლაბირინთით XVIII საუკუნეში ააგო **ალვიზე პიზანიმ** — ვენეციის დოჟამ.

1807 წელს პიზანების ოჯახმა ვილა **ნაპოლეონ ბონაპარტეს** გადასცა. ეს ლაბირინთი ერთ-ერთ რთულ ლაბირინთად ითვლება მსოფლიოში. დამთვალიერებლებმა შეიძლება საათობით იხეტიალონ, სანამ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არ ჩავარდებიან და მშველელს არ მოუხმობენ. ლეგენდის თანახმად, ამ ლაბირინთში გზა ვერ გაიკვლია ნაპოლეონმა, რომელიც დაენაძლევა თავის ერთ-ერთ გენერალს, რომ გასასვლელს 1 საათში იპოვიდა.

ლაბირინთის ცენტრში იღბლიან მგზავრს ელის XVIII საუკუნის უნიკალური კოშკი, რომლის სახურავიდანაც მედუზა გორგონა იმზირება.



## ფრანგული ლაბირინთი Reignac-sur-indre

ლაბირინთი Reignac-sur-indre, უკვე წლებია, ადამიანის ხელით შექმნილი ყველაზე დიდი ლაბირინთის წოდებას ატარებს. „მწვანე“ ლაბირინთი მდებარეობს პატარა პროვინციულ ქალაქ ტურენში. ლაბირინთის განსაკუთრებულობა არის ის, რომ მასში გზა ყოველ წელს სხვადასხვაა, რადგან ნარგავებს ყოველწლიურად უცვლიან ადგილს. ხელოვნების ეს უცნაური ნიმუში შექმნეს ფერმერებმა, რომლებიც ცდილობდნენ საზოგადოების ყურადღების მოპყრობას ქალაქის პრობლემებისადმი. მათ იმხანად არც კი უფიქრიათ, რომ ქმნიდნენ იმაზე მეტს, ვიდრე უბრალო ლაბირინთია.



## ჰავაიური ლაბირინთი Dole Plantation

ანანასების უზარმაზარი ლაბირინთი Dole Plantation-ი მდებარეობს ჰავაის კუნძულებიდან ერთ-ერთზე — ოაჰუზე. აქ ტურისტებს აქვთ შესაძლებლობა, გასასვლელი მოძებნონ სპეციალური აუდიოჩანაწერის თანხლებით, რომელშიც მოთხრობილია ოაჰუზე ანანასების პლანტაციების შექმნის ისტორია. გასეირნების დასრულების შემდეგ მას, ვინც წარმატებით დაძლევს ლაბირინთის გასასვლელისკენ მიმავალი გზას, საინტერესო პრიზით აჯილდოებენ.



## ლაბირინთი Top Pearsys Maize დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთში ფერმერებმა და ლანდშაფტის დიზაინერებმა 2011 წელს გადაწყვიტეს, შეექმნათ საინტერესო თანამედროვე ლაბირინთი, რომელშიც მთავარი ვარსკვლავი იქნებოდა **ჰარი პოტერი.** ახალგაზრდა ჯადოქრის პორტრეტები ცოტა განსხვავდება ერთმანეთისგან. დიზაინერებმა შექმნეს არა მხოლოდ საინტერესო ლაბირინთი, არამედ ყველაზე დიდი ნახატი „მოძებნე 10 განსხვავება“. ასეთი უცნაური გაფორმების გარდა, ბაღში ბევრია გადახლართული ბილიკები და ლაბირინთიდან გასასვლელის პოვნას შეიძლება საათები დასჭირდეს.



## მასაჩუსეტსის ლაბირინთი

უზარმაზარი ლაბირინთი Davis Mega Noze განთქმულია თავისი მასშტაბურობით. ეს ლაბირინთი მდებარეობს აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატში. ამ ლაბირინთს 10 000 ადამიანი უვლის, შედეგად ყოველწლიურად ისეთ ფორმებს იღებს, რომლებიდანაც გასასვლელის პოვნა ძალიან ჭირს.



## დროებითი ლაბირინთები

ახალგაზრდებს შორის ძალიან პოპულარულია პატარა დროებითი ლაბირინთები, რომლებსაც ქმნიან ყინულისგან ან სხვა მასალისგან. ყინულის ლაბირინთები ძალიან პოპულარულია ყინულის ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ჩინეთის ქალაქ ხარბინში. ეს ფესტივალი ათასობით ტურისტს იზიდავს. ყინულის ლაბირინთები პოპულარულია, აგრეთვე, ლუდის ფესტივალ ოქტობერფესტზე. ამ ლაბირინთებში ტიხრები საოცარ გასასვლელებს ქმნის, ფერადი ნათურები და მუსიკის ჰანგები კი — შესანიშნავ ატმოსფეროს.

**ახალგაზრდებს შორის ძალიან პოპულარულია პატარა დროებითი ლაბირინთები, რომლებსაც ქმნიან ყინულისგან ან სხვა მასალისგან. ყინულის ლაბირინთები ძალიან პოპულარულია ყინულის ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ჩინეთის ქალაქ ხარბინში. ეს ფესტივალი ათასობით ტურისტს იზიდავს**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო დინამოელთა თამაში „ვესტ ჰემთან“ მეოთხედფინალურ მატჩში, რომელშიც ალექსანდრე ჩივაძემ ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა პირველი ბურთი. შეხვედრა კი 4:1 დასრულდა. სწორედ ამ მატჩის შემდეგ უწოდეს ალექსანდრე ჩივაძეს „ფებურთის პროფესორი“.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფეხბურთის პროფესორი

## ალექსანდრე ჩივაძე 66 წლისაა

**ქართული ფეხბურთის ლეგენდას, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანს, უეფას თასის მთლობელთა თასის 1981 წლის გათამაშებაში გამარჯვებულს, 1980 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ალექსანდრე ჩივაძეს 8 აპრილს 66 წელი შეუსრულდება.**





ალექსანდრე ჩივაძე 1955 წლის 8 აპრილს დაიბადა ქლუხორის რაიონში (1943-1955 წლებში იყო საქართველოს შემადგენლობაში, შემდეგ გადაეცა სტავროპოლის მხარეს). 2 წლის არ იყო, ოჯახი თბილისში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად. ფეხბურთის თამაში 1965 წელს თბილისის სახელგანთქმულ 35-ე სკოლაში დაიწყო მწვრთნელ **ვანო შუდრას** ხელმძღვანელობით. 1967 წელს, **ვლადიმერ ელოშვილის** მიწვევით, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ იმ წელს ელოშვილის შეგირდებმა, რომელთა შორის იყვნენ **დავით გოგია, ფირუზ კანთელაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები** და სხვები, ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. ალექსანდრე ჩივაძე აღნიშნულ საფეხბურთო სკოლაში 6 წლის განმავლობაში ვარჯიშობდა და 1972 წელს საკავშირო ჩემპიონობა მოიპოვა, 1973 წელს კი თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში მიიწვიეს.

„დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევის მიზნით გამართულ საჩვენებელ მატჩს ალექსანდრე ჩივაძე ასე იხსენებს:

„...თბილისის „დინამოს“ დიღმის ბაზაზე მისვლის დღე გუშინდელივით მახსოვს. იმხანად **ალიოშა კოტრიკაძე** იყო გუნდის მთავარი მწვრთნელი, **სერგო კოტრიკაძე** კი მეორე მწვრთნელად მუშაობდა. **ნესტორ ჩხატარაშვილი** გუნდის უფროსი იყო, დუბლებთან, ანუ ჩვენთან კი **ანდრო ზაზროევი** გახლდათ მომაგრებული. სანამ „დინამოში“ დამტოვებდნენ, მკაცრი კონკურსი გავიარე, ორმხრივ შეხვედრაშიც ვმონაწილეობდი. მეორე შემადგენლობის ძირითადთან გვათამაშეს. ერთ მომენტში შევნიშნე, რომ მეტოქის მეკარე დავით გოგია კარიდან იყო გამოსული, მეც ავდექი და დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი თავზე გადავუგდე — ლამაზი გოლი გამოვიდა. მატჩის შემდეგ **კახი ასათიანმა** მითხრა: ასე თუ გააგრძელებ, დიდი ფეხბურთელი დადგებიო. მისი სიტყვები ჩემთვის, 18 წლის ბიჭისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავდა. ის მატჩი ჩემთან ერთად მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებმა, **ვლადიმერ გუცაევმა** და **ბესო მჭედლიშვილმაც** ითამაშეს“.

ამ საჩვენებელი შეხვედრის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში აიყვანეს, ერთი წლის შემდეგ კი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, მაგრამ მწვრთნელმა მალე გადაიყვანა ცენტრალურ მცველად.

ალექსანდრემ სწრაფად დაიწყო აღმასვლა კარიერაში. 1976 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში ერევნის „არარატი“ დაამარცხა — 3:0 და პირველად დაეუფლა თასს. შემდეგ, 1978 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, 1979 წელს კი მეორედ დაეუფლა თასს.

1980 წელს ჩივაძე „დინამოს“ კაპიტანი ხდება. იმავე წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს, რომლის მაისურითაც 46 მატჩი ითამაშა (მათგან 26-ში კაპიტანი იყო).

1980 წელს მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი. იმავე წელს დაასახელეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად — გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გაუსწრო **ოლეგ ბლოხინსა** და **ვაგიზ ხიდიატულინს.**

1981 წელი ტრიუმფალური იყო თბილისის „დინამოსთვის“ — ქართული ფეხბურთის ფლაგმანი უეფას ჩემპიონთა თასის მფლობელთა თასს დაეუფლა. ფინალში გერმანელი „კარლ ცაისი“ (იენა) დაამარცხა — 2:1; ფინალამდე კი ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“ გაანადგურა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო დინამოელთა თამაში „ვესტ ჰემთან“ მეოთხედფინალურ მატჩში, რომელშიც ალექსანდრე ჩივაძემ ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა პირველი ბურთი, შეხვედრა კი 4:1 დასრულდა.



ალექსანდრე ჩივაძე, ეუსებიო და ბობი ჩარლტონი

სწორედ ამ მატჩის შემდეგ უწოდეს ალექსანდრე ჩივაძეს „ფებურთის პროფესორი“.

ფინალური მატჩის შემდეგ კი, რომელიც 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში გაიმართა, დინამოელები სამშობლოში გმირებად დაბრუნდნენ.

აღსანიშნავია ალექსანდრე ჩივაძის შესანიშნავი თამაში საბჭოთა კავშირის ნაკრებში. 1984 წელს საბჭოთა ნაკრები უემბლიზე შეხვდა ინგლისის ნაკრებს, საბჭოელებს ჩივაძე კაპიტნობდა და შესანიშნავად ითამაშა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 2:0 დაამარცხა ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლები. ამ მატჩის შემდეგ ინგლისურმა პოპულარულმა სპორტულმა გამოცემებმა ქება-დიდება არ დაიშურეს ქართველი ფეხბურთელის მიმართ და მას **„საბჭოელთა დაცვის გენერალი“** უწოდეს. ალექსანდრე ჩივაძე შესანიშნავად ასრულებდა საჯარიმო დარტყმებსა და პენალტებს; შესანიშნავად ირჩევდა პოზიციას, ელვისებურად ერთვებოდა თავდასხმაში (სწორედ ასე გაუტანა მან „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ ბურთი). ოსტატურად თამაშობდა თავით და აკეთებდა შედეგიან გადაცემებს.

აღსანიშნავია, რომ 1987 წელს, როცა თბილისის „დინამოში“ უეფას თასზე გერმანულ „ვერდერს“, იმხანად ძალიან პოპულარულ კლუბს, შეხვდა და ორი მატჩის ჯამში 2:3 დამარცხდა, ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელმა** მატჩის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ჩივაძეს „ვერდერში“ გადასვლა შესთავაზა, მაგრამ უკვე ტრამვებით საკმაოდ გატანჯულმა ფეხბურთელმა უარი განაცხადა გერმანულ კლუბში თამაშზე. ამის შემდეგ ძალიან მალე ალექსანდრე ჩივაძემ საერთოდ დაანება ფეხბურთს თავი.

ალექსანდრე ჩივაძემ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატებში 324 მატჩი ითამაშა და 44 ბურთი გაიტანა, საკავშირო თასის გათამაშებაში 36 მატჩში 5-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი, უეფას ევროპულ ტურნირებში კი 40-ჯერ დაიცვა „დინამოს“ ღირსება.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს — 1990 წელს, 1993 წელს კი სათავეში ჩაუდგა ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს. 2012-2016 წლებში იყო საქართველოს 21 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

კინორეჟისორმა გოგი თორაძემ 2015-2016 წლებში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთის პროფესორი“, რომელიც ალექსანდრე ჩივაძეს მიეძღვნა.

**2016 წელს კი მას „საპატიო თბილისელის“ ტიტული მიანიჭეს.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**








**მიღწევები:**
* საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 1978 წ.;
* საბჭოთა კავშირის ვიცეჩემპიონი — 1977 წ.;
* საბჭოთა კავშირის ბრინჯაოს პრიზიორი — 1976 (????), 1976 (7), 1981 წ.;
* საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი — 1176 წ.;
* ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1981 წ.;
* ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი — 1980 წ.;
* 7-ჯერ დაასახელეს პირველ ნომრად საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის — 1979-1984 და 1986 წლებში.;
* საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი — 1980 წ.;
* უეფას ლალის ორდენის კავალერი — 2001 წ.

# ბაიდენის შვილმა უკრაინისთვის მოპარული ფული ნარკოტიკებში დახარჯა



**აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვაჟმა ჰანტერ ბაიდენმა უკრაინიდან წამოღებული ფული ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში დახარჯა. ამის შესახებ მან თავის მემუარებში დაწერა, რომლიდან ამონარიდებიც სათაურით „შესანიშნავი საქმეები“ გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა.**

51 წლის ჰანტერ ბაიდენმა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა უკრაინის ბუნებრივი აირის კომპანია Burisma-ში, აღიარა, რომ წლების განმავლობაში იტანჯებოდა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო. პრობლემები კი გაღრმავდა 2015 წელს ძმის, **ბო ბაიდენის**, გარდაცვალების შემდეგ.

ჰანტერ ბაიდენი წერს, რომ მანკიერი მიდრეკილების გამო დაინგრა მისი ქორწინება და რაღაც პერიოდის განმავლობაში მოტელებში ცხოვრობდა.

ჰანტერ ბაიდენი Burisma-ში 2014 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელობის მრჩევლად და თვეში 50 ათასს დოლარს იღებდა. **ჯო ბაიდენის** პოლიტიკურმა ოპონენტებმა ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვეს. ისინი აშშ-ის პრეზიდენტს უკრაინაზე ზემოქმედებაში ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ ჯო ბაიდენმა უკრაინის ხელისუფლების გენპროკურორ **ვიქტორ შოკინის** თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა, რადგან მან Burisma-ს ფინანსური მაქინაციების გამოძიება დაიწყო. ამასთანავე, ჰანტერ ბაიდენი უკრაინის ბიუჯეტიდან ფულის მითვისებაში დაადანაშაულეს იმ პერიოდში, როცა მამამისი უკრაინას კურატორობდა.

**Ru-an.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**



# მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (МАДИ) საქართველოში ატარებს საერთაშორისო ინტელექტუალურ კონკურსს და იწვევს მოსკოვში სწავლის მსურველებს




**კონკურსში შეირჩევა ხუთი გამარჯვებული.**
**ყველა მათგანი ჩაირიცხება და უფასოდ ისწავლის უნივერსიტეტში.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, ლიცეუმების და ა.შ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს.

კონკურსი ჩატარდება მათემატიკაში ონლაინ-ტესტირების ფორმით. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსში მონაწილეობისთვის ონლაინ რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და დამთავრდება ა.წ. 15 აპრილს. საკუთრივ კონკურსი გაიმართება 17 აპრილს, შედეგები გამოცხადდება 28 აპრილს.

გამარჯვებულებს გამოეყოფათ ხუთი საბიუჯეტო ადგილი ბაკალავრიატის შემდეგ მიმართულებებზე:

08.03.01 მშენებლობა, პროფილით „ავტოსაგზაო ხიდები და გვირაბები“; „საავტომობილო გზები“; „აეროდრომები“.

13.03.02 ელექტროენერგეტიკა და ელექტროტექნიკა, პროფილით „ავტომობილების ელექტრომოწყობილობა და ელექტრომობილები“.

23.03.01 სატრანსპორტო პროცესების ტექნოლოგია, პროფილით სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“; „საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება“.

23.03.03 სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების და კომპლექსების მართვა, პროფილით „საავტომობილო სერვისი“.

38.03.02 მენეჯმენტი, პროფილით „მიწოდებათა ჯაჭვების ლოგისტიკა და მართვა“; „ორგანიზაციის მენეჯმენტი“, „პროექტის მართვა“.

**სტუდენტებს გამოეყოფათ ადგილი საერთო საცხოვრებელში, სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას.**

**გაიმარჯვეთ კონკურსში და ჩამობრძანდით მოსკოვში უფასოდ სასწავლებლად!**

**რეგისტრაცია კონკურსში მონაწილეობისთვის ვებ-გვერდზე: grant.madi.ru**

**საკონტაქტო ელ. ფოსტა: grant@madi.ru**

**კონკურსის ცხელი ხაზი: +7-499-155-0171 / +7-928-497-5555 (WhatsApp / Telegram / Viber).**

**მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის (МАДИ) შესახებ საერთო ინფორმაცია შეგიძლიათ გაეცნოთ მათ ვებ-გვერდზე: madi.ru**

# ВСЕ ДОРОГИ ВЕДУТ В МАДИ!

**Московский автомобильно-дорожный государственный технический университет (МАДИ) приглашает молодежь Грузии принять участие в Международном интеллектуальном конкурсе „Все дороги ведут в МАДИ!“. Участвовать в конкурсе могут учащиеся выпускных классов школ, гимназий, лицеев, а также студенты колледжей и техникумов Грузии.**

Победители конкурса получат **право на бесплатное обучение в МАДИ**, а также место в общежитии. Кроме того, отметим, что стипендии в МАДИ — одни из самых высоких по Москве!

Конкурс пройдет в дистанционном формате. Для участия в конкурсе **регистрируетесь** на сайте grant.madi.ru. **до 15 апреля** и пройдите **онлайн-тестирование по математике 17 апреля**. Побеждайте и приезжайте учиться в Москву!

**Перечень образовательных программ международного интеллектуального конкурса „Все дороги ведут в МАДИ“ в 2021/22 учебном году:**

08.03.01 Строительство (профиль: „Автодорожные мосты и тоннели“, „Автомобильные дороги“, „Аэродромы“).

13.03.02 Электроэнергетика и электротехника (профиль: „Электрооборудование автомобилей и электромобили“).

23.03.01 Технология транспортных процессов (профиль: „Организация перевозок и управление на транспорте“, „Организация и безопасность дорожного движения“).

23.03.03 Эксплуатация транспортно-технологичесих машин и комплексов (профиль: „Автомобильный сервис“).

38.03.02 Менеджмент (профиль: „Логистика и управление цепями поставок“, „Менеджмент организации“, „Управление проектом“).

**Международный интеллектуальный конкурс „Все дороги ведут в МАДИ“ пройдет в онлайн формате на сайте grant.madi.ru и состоит из двух этапов:**

**I ЭТАП (подача заявок — регистрация на участие в Конкурсе) пройдет с 15.02.2021г. по 15.04.2021г.;**

**II ЭТАП (тестирование): 17.04.2021г. — математика. Результаты будут объявлены 28 апреля.**

**Более подробная информация: grant.madi.ru**

**КОНТАКТЫ: e-mail: grant@madi.ru**

**Телефон: +7-499-155-01-71**

**Горячая линия Конкурса: +7-928-497-55-55 (WhatsApp / Telegram / Viber, ежедневно с 10:00 до 20:00)**

# 27-მა ამერიკულმა ორგანიზაციამ ბაიდენს თხოვნით მიმართა, აღადგინოს დიალოგი რუსეთთან

**შეწყდეს უგუნური გამონათქვამები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართ და დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი რუსეთთან. წერილი ამ მოთხოვნით 27-მა ორგანიზაციამ გაუგზავნა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს.**

წერილის ავტორები მიუთითებენ, რომ ისინი ღრმად არიან შეშფოთებული ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გამწვავებით. აშშ-ის პრეზიდენტს მოუწოდეს, მოსკოვთან გაააქტიუროს მოლაპარაკებები შეიარაღების საკითხებზე, ამასთანავე, ბაიდენს შეახსენეს მისი განცხადება, რომ დიპლომატია იქნება აშშ-ის პოლიტიკის ცენტრში.

წერილს ხელს აწერენ უფლებადამცველები, იურისტები, ჟურნალისტები და სხვ., მათ შორის არიან ბაიდენის მომხრეებიც.

**Vesti.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



# გამოვლინდა მოსახლეობისთვის მიუღებელი პარტიები

**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის მიხედვით, კითხვაზე — „რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას არავითარ შემთხვევაში“, გამოკითხულთა 27% „ქართულ ოცნებას“ ასახელებს, 26% ხმას არ მისცემდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას — გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშიას“, 9%-მა „პატრიოტთა ალიანსი“ დაასახელა, 8%-მა კი — „გირჩი“.**

გამოკითხულთა 8%-მა განაცხადა, რომ ხმას არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა პარტია „გაერთიანებულ საქართველოს“, 5%-მა „ლეიბორისტული პარტია“ დაასახელა, 5-5%-მა — „მოქალაქეები“ და „ევროპული საქართველო“, 4%-მა — პარტია „სამართლიანობისთვის“, 4%-მა — პარტია „ლელო“, 2-2%-მა — „სტრატეგია აღმაშენებელი“ და რესპუბლიკური პარტია დაასახელა.

ipn.ge

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894